F75 N833

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებისა, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 2 ოქტომბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 228 (2271)

დღიური

- სისხლისმღვრელი შეტაკება გერმანელ წითელ - ფრონტელებსა და რესპუბლიკანური დროშის წევრებს შორის.
- გერმანიაში გაფიცვას მოელიან გემების სამშენებლო სახელოსნოებში.
- შეერთ. შტატებმა დე-იურე იცნო ნანკინის მთავრობა.
- გერმანიის გაზეთები ერთხმად აღიარებენ ერთა ლიგის უკანასკნელი პლენუმის სრულ კრახს.
- საფრანგეთის მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის ყრილობამ საჭიროდ სცნო მზადება საყოველთაო გაფიცვისათვის.
- საბერძნეთის პრემიერი ვენიზელოსი პარიზში ჩავიდა.
- მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი ნერვო-პატალოგი პროფ. როსსოლიმო.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი

არასოდეს ისე მკაფიოდ არ გამომჟღავნებულა ინგლის-ამერიკის მეტოქეობა, როგორც ეხლა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო „კომპრომისის“ დადების შემდეგ. ვაშინგტონის მთავრობის ნოტა ამ შეთანხმების შესახებ გვიჩვენებს ინგლის-ამერიკის ინტერესთა შეურიგებლობას და ამ ქვეყნების ურთიერთობის გამწვავებას.

როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, ხსენებული საზღვაო კომპრომისი მიმართულია ამერიკის წინააღმდეგ, რამდენადაც ის ითვალისწინებს ისეთი სამხედრო გემების (დიდი კრეისერების) მშენებლობის შეზღუდვას, რომელნიც ყველაზე მეტად სწორედ ამერიკის იმპერიალიზმს ესაჭიროება. ვაშინგტონის ნოტა ამაზე ხაზსგასმით მიუთითებს. ნოტა ამასთან აცხადებს, რომ ეს შეთანხმება „არაჩვეულებრივად გააძლიერებს იმ სახელმწიფოთა შეტევითი უნარს, რომელთაც მოეპოვებათ დიდი კომერციული ფლოტი. ასეთ სახელმწიფოებს შეუძლიათ მშვიდობიან დროს დაიწყონ მზადება კომერციული ფლოტის გემებზე ექვს დიუმიან ზარბაზნების დასადგმელად“. თუმცა არ არის მოხსენებული, მაგრამ, ცხადია, რომ აქ ნაგულისხმევია ინგლისი, რომელსაც დიდი კომერციული ფლოტი გააჩნია და რომელსაც მისი გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის ყოველთვის შეუძლია. შეიარაღებულ კომერციული ფლოტით და წვრილი საზღვაო-სამხედრო ერთეულებით, რომელთა განუსაზღვრელი მშენებლობა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით ნებადართულია, ინგლისს საშუალება მიეცემა ამერიკის ფლოტს ომის შემთხვევაში გზები გადაუჭრას.

ყველაფერი ეს ამერიკის მესვეურთ კარგათ ესმით და ამიტომ მათ თავისი ქვეყნისათვის მიუღებლად მიაჩნიათ ინგლის-საფრანგეთის კომპრომისი. კიდევ მეტი: ნოტაში ნათქვამია: „შეერთებულ შტატების მთავრობა ფიქრობს, რომ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, რომელიც შეუზღუდველად სტოვებს ფლოტის საგრძნობ ნაწილს და სამხედრო გემების მრავალ ტიპს, ეფექტიურად უწყობს ხელს განიარაღების ყოველგვარ კონკურენციის ძირითად მიზეზების ჩაშლას“. ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები ცდილობენ დაახასიათონ საზღვაო შეთანხმება, როგორც გზა შეიარაღების შემცი- [illegible] ბიანობის მოყვარულების როლი და შეიარაღების ხელის ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა ამერიკას გადააბრალონ. თავის მხრივ უკანასკნელს ინგლისი და საფრანგეთი გამოჰყავს განიარაღების ხელის შემშლელებად. თავის თავად ცხადია, ამ ქვეყნების იმპერიალისტები ერთმანეთს არ ჩამორჩებიან განიარაღების საბუტაჟის საქმეში და თავიანთ „პაციფიზმის“ ნამდვილი ღირებულების შესახებ შეცდომაში ვერავის შეიყვანენ.

რანაირი ძალით „განწყობილება“ იქმნება ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისთან დაკავშირებით? როგორც ეტყობა, ამერიკას არ აშინებს ამ სახელმწიფოების სამხედრო ბლოკი. „შეერთებულ შტატების მთავრობას არავითარი აქვს საწინააღმდეგო, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა დასდონ ისეთი შეთანხმება, რომელიც მათ სახარგებლოდ მიაჩნიათ... მაგრამ თვითონ იგი ვერ წავა ასეთ შეთანხმებაზე“. აქ მჟღავნდება დოლარის იმპერიალიზმის მიერ თავისი სიძლიერის შეგნება. გარდა იმისა, რომ ამერიკის იმპერიალიზმი თავისი მსოფლიო ჰეგემონიის განსამტკიცებლად და ინგლისის პოზიციების ხელში ჩასაგდებად, ემყარება რა ურიცხვ მატერიალურ შესაძლებლობებს, ანხორციელებს საზღვაო მშენებლობის უდიდეს პროგრამას, — ის ახდენს ანტიინგლისურ ძალების მობილიზაციას. ამ მხრივ საგულისხმოა კელოგის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ამერიკა ერთი მხრით ასუსტებს ერთა ლიგას, როგორც ინგლისის პოლიტიკის იარაღს, და მის მაგივრად ცდილობს შექმნას სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია თავისი ხელმძღვანელობით; მეორე მხრით ომის, როგორც ნაციონალურ პოლიტიკის იარაღის აკრძალვა, რაც ხსენებულ ხელშეკრულების შინაარსს შეადგენს, მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ, რამდენადაც უკანასკნელისათვის ომი არის მთავარი საშუალება აღმოსავლეთის ხალხების დასამორჩილებლად. მართალია, ლონდონმა წარმოადგინა შენიშვნები, რომელთა მიხედვით კელოგის ხელშეკრულება არ უნდა გავრცელდეს ინგლისის კოლონიებზე, მაგრამ აღმოსავლეთის ხალხთა მთავრობები, უერთდებიან რა კელოგის ხელშეკრულებას, გარკვევით აღნიშნავენ, რომ ისინი ინგლისის „შენიშვნებს“ არ სცნობენ. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს მათ ინგლისის გავლენის შესუსტების მიზნით. ვაშინგტონის მთავრობის მთელი რიგი დიპლომატიური ნაბიჯები როგორც: მეგობრობის და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება „დამოუკიდებელ“ ეგვიპტესთან, რომელიც ნამდვილად ინგლისის კოლონიას წარმოადგენს, კელოგის ჩასვლა ირლანდიაში ლონდონისათვის გვერდის ავლით, ვაშინგტონის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს უკანასკნელი განცხადება, რომ ეს მთავრობა იურიდიულად სცნობს ნანკინის მთავრობას, და მრავალი სხვა, აშკარად მოწმობს, რომ ვაშინგტონი ცდილობს თავის გარშემო შემოიკრიბოს ინგლისის იმპერიალიზმით უკმაყოფილო ქვეყნები.

თავის მხრით ინგლისი ეძებს მოკავშირეებს. მას კარგად ესმის, რომ მარტო ვერ გაუმკლავდება ამერიკას. ამის გამოხატულებაა პირველ ყოვლისა სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება საფრანგეთთან. ის ცდილობს სხვა სახელმწიფოებიც ჩააბას ამ ბლოკში. იაპონია, როგორც ამერიკის მეტოქე, თანახმაა ინგლის-საფრანგეთის კავშირს შეუერთდეს. რაც შეეხება იტალიას, ის, როგორც სჩანს, ამერიკისაკენ იხრება. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, ეჭვს გარეშეა, ნაწილობრივ მაინც იტალიის ხარჯზე ხდება (ცნობილია საფრანგეთ-იტალიის ინტერესთა წინააღმდეგობა). „ჟურნალ დ'იტალია“ შეთანხმების გამო სწერს: „შეიძლება, რომ იტალია არა ნაკლებ მოუსვენრობას უნდა იჩენდეს, ვიდრე ამერიკა, ვინაიდან ამ ქვეყნებს აქვთ ერთგვარი საერთო ინტერესები, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მათი ერთნაირი დამოკიდებულება ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისადმი“. ამავე დროს იტალიის მთავრობა ცდილობს შექმნას ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მდებარე და ბალკანეთის ქვეყნების ბლოკი, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ხელშეკრულების დადება საბერძნეთთან, ალბანეთზე გავლენის განმტკიცება (რომის დახმარებით იქ მონარქიის გამოცხადება) და სხ. ამ მხრივ საგულისხმოა.

გერმანიის მესვეურთა პოზიციები მერყევია. ბრიანმა განაცხადა, რომ გერმანიასთან ურთიერთობა განისაზღვრება იმით, თუ როგორი იქნება ამ ქვეყნის საერთო ორიენტაცია. უეჭველია აქ ნაგულისხმევია არა მარტო ის, რომ საფრანგეთი ცდილობს გერმანიის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან, არამედ ისიც, რომ ლონდონი და პარიზი ლამობენ გერმანიის ჩაბმას ამერიკის წინააღმდეგ. ინგლისი და საფრანგეთი ერთი მხრით, ამერიკა მეორე მხრით აწარმოებენ ბრძოლას გერმანიაზე გავლენისათვის.

ამ გვარად, ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ ინგლის ამერიკის წინააღმდეგობა და ამასთან დაკავშირებული ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება იწვევენ ახალ გადაჯგუფებას მთელ მსოფლიოში, რასაც საბოლოო ანგარიშით არ შეიძლება ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა არ მოჰყვეს. აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატია ცდილობს მიაფუჩეჩოს იმპერიალისტური ომის საფრთხე; სამაგიეროდ ის პროვოკაციულ ხმებს ავრცელებს „საბჭოთა იმპერიალიზმის“ შესახებ. მაგრამ საერთაშორისო პროლეტარიატი სულ უფრო ჰგებს საქმის ვითარებას და აქედან მას შესაფერისი დასკვნები გამოყავს.

შეერთებული შტატების საპასუხო ნოტის გამოძახილი

ინგლის-საფრანგეთის პრესა სთვლის, რომ ამერიკის პასუხმა მეტად გაამწვავა მდგომარეობა

„ჰუმანიტე“ სწერს: „ომი ინგლის-შეერთებულ შტატებს შორის დღის წესრიგშია დასმული“

იაპონია ცდილობს დაითანხმოს შეერთ. შტატები შეთანხმებულ მოქმედებაზე მანჯურიაში

ამერიკა და ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება

საფრანგეთის პრესა ნოტის შესახებ

პარიზი, 30 სექტემბერი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა ხაზს უსვამს, რომ შეერთებული შტატების უარყოფითი პასუხი ინგლის-საფრანგეთის კომპრომისზე გამოწვეულია ინგლისის შეიარაღების ზრდის შიშით. **ეს პასუხი საფრთხეს ქმნის მთელი საერთაშორისო მდგომარეობისათვის**, აფერხებს ერთა ლიგის მუშაობას განიარაღების დარგში **და უკიდურესობამდე ამწვავებს ურთიერთობას ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის.**

მთავრობის პრესა საჭიროდ თვლის შეთანხმებას ამერიკასთან, მაგრამ ლონდონთან ერთად. მთავრობის პრესა ცდილობს დაამშვიდოს საზოგადოებრივი აზრი და ამისათვის ხაზს უსვამს ბალდუინის კაბინეტისა და ინგლის-საფრანგეთის ანტანტის სიმტკიცეს და აგრეთვე შეერთებულ შტატებთან შემდგომი მოლაპარაკების შესაძლებლობას.

რადიკალური პრესაც მხარს უჭერს მოლაპარაკებას შეერთებულ შტატებთან და არაპირდაპირ გამოსთქვამს აზრს, რომ **საჭიროა დათმობებზე წასვლა შეერთებული შტატების წინაშე საზღვაო შეიარაღების საკითხში** იმ პირობით, თუ შეერთებული შტატები დასთანხმდება კომპენსაციაზე ვალების საკითხში.

„ლ'იუმანიტე“ სწერს: **„ორი სახელმწიფო, რომლებიც მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს მთელს მსოფლიოში, ემზადება ომისათვის, რომელსაც აუცილებლად თვლიან. ამიტომ თითეული მათგანი ცდილობს უზრუნველჰყოს თავისი ბატონობა ზღვებზე. უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატების ნოტის შემდეგ გზა შეიარაღების გადიდებისა და მსოფლიო ომის მოსამზადებლად უფრო ფართედ არის გახსნილი, ვიდრე [illegible] ახლა დღის წესრიგშია დასმული!**

ბალდუინის საეჭვო დუმილი

ლონდონი, 30 სექტემბერი. გაზ. „დეილი ჰერალდ“-ში მუშათა პარტიის ლიდერი მაკდონალდი ეხება პრემიერ ბოლდუინის სიტყვას, რომელიც მან კონსერვატორთა პარტიის კონფერენციაზე წარმოსთქვა. მაკდონალდმა სთქვა: „ყველა ელოდა, რომ ბოლდუინი იტყოდა რამეს იმ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომელიც შედეგად მოჰყვა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას. მაგრამ როგორც სჩანს, ბოლდუინს ან არაფერი გაუგონია ამ შეთანხმების შესახებ, **ან ვერ შეუგნია ამ შეთანხმების მთელი სერიოზულობა, ინგლისის მომავალი მდგომარეობისათვის ერთა ლიგაში და იმ ურთიერთობისათვის, რომელსაც იგი შეუქმნის ინგლისს მთელს ევროპაში. (ადს).**

გერმანიის ეჭვები

ბერლინი, 30 სექტემბერი. გერმანიის სახალხო პარტიის ორგანომ **„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“**-მა მოათავსა ვრცელი წერილი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ. გაზეთი კითხულობს—როგორი ურთიერთობა იქნება შემდეგში გერმანიასა და ინგლისს შორის. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა მეტი გარკვეულობა იმისდა დამოუკიდებლად, ეს ურთიერთობა გაუმჯობესდება თუ გაუარესდება.

გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, რამდენადაც ეს აზრი პრესაში გამოიხატა, წინააღმდეგია ახალი სამხედრო კავშირებისა.** (ადს).

„დეილი ჰერალდი“ მდგომარეობას საშიშად თვლის

ლონდონი, 30 სექტემბერი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი“, ეხება რა ამერიკის პასუხს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაზე, აცხადებს: **ძალიან ცოტა შანსებია, რომ ამერიკის კონტრ-წინადადებები მიღებულ იქნენო. პირიქით ყველა იმას წინასწარმეტყველებს, რომ დგება ახალი ხანა გემთმშენებლობის კონკურენციისა,** რასაც ზედმეტად ამწვავებს დიპლომატიური კონფლიქტები. გაზეთი აღნიშნავს, რომ **ინგლის-ამერიკის ახალი მეტოქეობა მეტად საშიშია, რადგან მას საფუძვლად უდევს ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური კონფლიქტი. ინგლის-ამერიკის უიმისოდაც ცუდი და გამწვავებული ურთიერთობა ამის გამო კიდევ უფრო გაუარესდება**,—სწერს გაზეთი.

საჭიროა აღინიშნოს ის ფრიად დამახასიათებელი ფაქტი, რომ არც ერთმა გაზეთმა, რომელიც ეხებოდა ამ შეთანხმებას, არც ერთხელ არ აღნიშნა ამერიკის ნოტასთან დაკავშირებით კელოგის პაქტი. (ადს).

„პუანკარე-ომი“--ცხვრის ქურქში

პარიზი, 30 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პუანკარემ სიტყვა წარმოსთქვა შამბერიში, ომის დროს დაღუპულთა ძეგლის გახსნაზე. თავის სიტყვაში პუანკარემ აღნიშნა, რომ საფრანგეთი პირველი დაადგა განიარაღების გზას

„ვაშინგტონში და ჟენევაში,—განაცხადა პუანკარემ,—სამხედრო ნაწილების და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებით საფრანგეთმა გულწრფელობის მაგალითი მისცა ყველას, ჩვენი თავდაცვის საშუალების შეფასების დროს ყველასათვის ნათელი შეიქნება, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ თავდასხმის ის საშუალებები, რომლებიც სხვა ქვეყნების განკარგულებაშია.

თუ არსებობს რეპარაციების საკითხის გადასინჯვის სურვილი, ჩვენ მოვაგონებთ, რომ ამ საკითხის სათანადოდ მოგვარებამ უნდა უზრუნველჰყოს ჩვენთვის გარდა იმ საერთო თანხისა, რომელიც ჩვენ სხვების გვმართებს, აგრეთვე ანაზღაურება იმ ზარალის, რომელიც ომის დროს მოგვაყენეს. თუ მკვდრებმა გვიანდერძეს უარი არ ვსთქვათ გამარჯვებაზე და ხელუხლებლად დავიცვათ სამშობლო, მათ იმავე დროს გვიანდერძეს დავიცვათ საფრანგეთი კატასტროფისაგან და ვიზრუნოთ მშვიდობიანობაზე. ჩვენ არ დავივიწყებთ ამ ანდერძს“.

როგორ მოკლეს გენერალი ზაგურსკი

კოვნო, 30 სექტემბერი. ლიტვის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს, მიღებულს პოლონეთის გენერალური შტაბის მაიორისაგან, რომელიც ვარშავიდან გაიქცა და ლიტვას შეაფარა თავი.

მაიორმა ფიცის ქვეშ უჩვენა, რომ პოლონელი გენერალი ზაგურსკი, პილსუდსკის მოწინააღმდეგე, რომელიც გადატრიალების შემდეგ (ლაპარაკია სახელმწიფო გადატრიალებაზე, რომელიც პილსუდსკიმ მოახდინა) უგზო უკვლოდ დაიკარგა, მოკლულია პოლონეთის არმიის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ.

„ერთხელო,—აცხადებს პოლონელი მაიორი,—პილსუდსკის ახლობელმა პირებმა ვილნოში მიიღეს ბრძანება ზაგურსკის გადაყვანის შესახებ ვილნოდან ვარშავაში, ამ ბრძანების თანახმად გენერალ ზაგურსკი მიიყვანეს საიდუმლო პოლიციის პირველ განყოფილებაში, ვილნოში, იქიდან კი ის გაგზავნეს ვარშავაში, ვარშავაში გენ. ზაგურსკი ჩააბარეს პოლკოვნიკ ბეკს, რომელმაც ზაგურსკი მიიყვანა ვარშავის კომენდატის ბინაზე, თვითონ კი წავიდა პილსუდსკისთან მოხსენების გასაკეთებლად. ზაგურსკიმ კომენდატის ბინაზე დაჰყო დღენახევარი. ორშაბათს ღამით ზაგურსკი მოათავსეს ავტომობილში და მიიყვანეს რემბერტოვში, სადაც მას შეხვდა პოლკოვნიკი მეჟინსკი, პოლონეთის პრეზიდენტის ადიუტანტი, რომელიც ზაგურსკის ასეთი კითხვით შეხვდა: „გენერალო, ხომ არ აპირებთ თქვენ თქვენი შეხედულების შეცვლას“. ზაგურსკიმ უარყოფითი პასუხი მისცა და დაუმატა, რომ განზრახული აქვს გამოსცეს წიგნი პილსუდსკის მამხილებელი დოკუმენტებით.

მაშინ მეჟინსკიმ ორჯერ ესროლა ზაგურსკის, რომელიც იქვე დაეცა, მაგრამ კიდევ ცოცხალი იყო. პოლკოვნიკმა ბეკმა კვლავ ესროლა მომაკვდავ გენერალს. შემდეგ გვამი გადასცეს პოლიციის კომისარს, გენშტაბის მეორე განყოფილების თანამშრომელს“.

ბრძოლა პოლონეთის მენშევიკურ პარტიაში

პოლონეთის სოციალისტთა პარტიის უმაღლეს საბჭოს სხდომა

ვარშავა, 1 ოქტომბერი. გუშინდელი დღიდან ვარშავაში პოლონეთის სოციალისტთა პარტიის უმაღლესი საბჭოს სხდომაა, რომლის მუშაობა მით უფრო მეტ ინტერესს იწვევს, რომ ამავე დროს თათბირი აქვთ სეიმის ფრაქციების თავმჯდომარეებს; ეს თათბირი მოიწვია დაშინსკიმ მთავრობის უმრავლესობის შექმნის მიზნით. ირკვევა, რომ პილსუდსკის მომხრეთა ჯგუფი იავოროვსკის მეთაურობით საბჭოში თავს უხერხულად გრძნობს მას შემდეგ, რაც „რაბოტნიკმა“ სენსაციური ცნობები გამოაქვეყნა პილსუდსკის მომხრეთა განზრახვის შესახებ—შესცვალონ კონსტიტუცია ფაშიზმისა და ცეზარიზმის პრინციპების თანახმად. ც. კ.-ის უმრავლესობამ საბჭოში რეზოლიუცია გაიყვანა იმის შესახებ, რომ პოლონეთის სოციალისტთა პარტია უარს აცხადებს მონაწილეობა მიიღოს ოფიციალურ დღესასწაულში პოლონეთის დამოუკიდებლობის 10 წლის თავზე. კომუნისტებთან დამოკიდებულების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, კომინტერნის უკანასკნელი კონგრესის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, გადასწყდა ბრძოლის გაძლიერება კომუნისტური გავლენის წინააღმდეგ. (ადს).

ჩინეთი და იაპონია

იაპონიის მტაცებლური მისწრაფებანი

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. ვაშინგტონში ამჟამად იმყოფება იაპონიის მთავრობის რწმუნებული ბარონი უციდა. უციდა მოვიდა იმ მიზნით, რომ კულიჯთან და კელოგთან ერთად დაამყაროს საფუძვლები იაპონიის პოლიტიკისა მანჯურიაში.

ამავე დროს შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ იგი ნანკინის მთავრობას დეიურე ცნობილად სთვლისო.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში უციდამ განაცხადა, რომ იაპონია არ სცნობს ნანკინის მთავრობას იმიტომ, რომ მან გააუქმა ჩინეთ - იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულებაო. შემდეგ უციდამ განაცხადა, რომ იაპონია წინააღმდეგია ნანკინელების ხელისუფლების გავრცელებისა მანჯურიაზე. მისი აზრით, ეს გამოიწვევს ასეთსავე გაუქმებას პორტსმუტის ხელშეკრულების იმ ნაწილისა, რომელიც იაპონიას კონტროლის უფლებას ანიჭებს სამხრეთ მანჯურიის რკინის გზაზე.

„საერთოდ, — დაამთავრა უციდამ, — იაპონიას სურს აიღოს ამერიკის ბაზარზე 30 მილიონი დოლარი სესხი სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის გასაფართოვებლად. (ადს)

იაპონიის ოპოზიციონური პარტიის თათბირი

ტოკიო, 30 სექტემბერი. მოხდა თათბირი ოპოზიციონური პარტიის მინსეიტოს პრეზიდიუმისა. მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც ამბობს, რომ მთავრობის პოლიტიკა ჩინეთში ჩიხში მოემწყვდაო. კერძოდ, რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ბოლო დროს იაპონიაში ვრცელდება ცრუ ცნობები ჩინეთიდან იმ მიზნით, რომ შექმნან შთაბეჭდილება, ვითომ მდგომარეობა ჩინეთში ხელსაყრელია და სასარგებლო იაპონიისათვის.

თათბირმა დაადგინა, მთელ იაპონიაში აგიტაცია გასწიონ მთავრობის ცრუ პროპაგანდაზე დამყარებული პოლიტიკის წინააღმდეგ. (ადს)

ჩჟან-ცზუნ-ჩანის მომხრეთა შეთქმულება

ხარბინი, 30 სექტემბერი. გაზეთებში დაბეჭდილია დაწვრილებითი ცნობები ჩჟან ჩუნ-ჩანის მომხრეთა იმ შეთქმულების შესახებ ჩრდილოეთ მანჯურიაში, რომელიც ამას წინად აღმოაჩინეს. როგორც ირკვევა, შეთქმულებას ფართოდ ჰქონია ფესვები გადგმული. ხარბინში გაჩხრიკეს ჩინური პოლიციის ბევრი მოხელის ბინაც კი. გამოძიებას, ჩხრეკას და დაპატიმრებას აწარმოებენ მუკდენიდან გაგზავნილი სამხედრო მოხელენი მთავარი შტაბის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით. (ადს).

ამანულა-ხანის რეფორმები

ქაბული, 30 სექტემბერი. ფადიშაჰმა გამართა დიდი კრება, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის ყველა წევრი, დიპლომატიური კორპუსი, სახელმწიფო მოსამსახურეები, ვაჭრების და მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენელნი.

ფადიშაჰმა წინადადება მისცა დამსწრეთ მიესალმონ მოსწავლეთა ჯგუფს, რომელიც საზღვარგარეთ მიემგზავრება სწავლის განსაგრძობად. ამ ჯგუფში ქალებიც შედიან. და პირველი შემთხვევაა, რომ ავღანელი მოსწავლე ქალები საზღვარგარეთ მიდიან.

შემდეგ ფადიშაჰმა გადასცა დამსწრეთ თავისი მოგზაურობის ამბავი საზღვარგარეთ, აღნიშნა ისიც, რომ მოგზაურობის დროს შეძენილ იქნა ფაბრიკა-ქარხნებისა და სამხედრო მოწყობილობა. სხვათა შორის, შეძენილ იქნა 53.500 თოფი, 106 ზარბაზანი, 6 ტყვიამფრქვეველი და როგორც ნიმუში, 6 ტანკი და 5 ჯავშნიანი ავტომობილი.

დასასრულ, ფადიშაჰმა, მოიხსენია რა, ავღანისტანის მიერ 18 სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულება, კერძოდ აღნიშნა, რომ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დასადებად მალე დასრულდება და იმედია, უახლოეს მომავალში თვით ხელშეკრულებაც დაიდებაო“.

ავღანისტანში რკინის გზების გაყვანის შესახებ ფადიშაჰმა განაცხადა, რომ მისი მოგზაურობის დროს ფრანგულ და გერმანულ კამპანიებთან დადებულ იქნა ხელშეკრულებები ქაბულ-ყანდაგარ-გერატ-კუშკის ხაზის გამოსაკვლევად. გამოკვლევა უნდა დასრულდეს ერთი წლის შემდეგ, ხოლო სამი წლის შემდეგ წადგენილ იქნას საბოლოო პროექტები. (ადს).

საფრანგეთის მემაღაროეები საყოველთაო გაფიცვისათვის ემზადებიან

პარიზი, 30 სექტემბერი. საფრანგეთის მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის ყრილობაზე მოსმენილ იქნა კომისიის მოხსენება კაპიტალისტური რაციონალიზაციის, 8 საათის სამუშაო დღისა და შრომის ხელფასის შესახებ, მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ **საჭიროა მზადება საყოველთაო გაფიცვისთვის, რომლის ვადა უნდა დანიშნოს ფედერაციის აღმასკომმა.**

სისხლისმღვრელი შეტაკება

წითელ-ფრონტელებსა და „რესპუბლიკანური დროშის“ წევრებს შორის

ბერლინი, 30 სექტემბერი. 30 სექტემბერს გეისტჰახტის (ჰამბურგთან) სათემო არჩევნების დროს სერიოზული შეტაკებანი ხდებოდა წითელ ფრონტელებსა და „რესპუბლიკანური დროშის“ კავშირის წევრთა შორის. ერთი წითელ-ფრონტელი მოკლულია. დაჭრილთა რიცხვი დიდია. (ადს).

გაფიცვა გერმანიაში

ბერლინი, 30 სექტემბერი. პირველ ოქტომბრიდან გერმანიაში ელოდებიან მუშების გაფიცვას გემთსაშენებლებში. გაფიცვა მოსალოდნელია იმიტომ, რომ მუშებმა დიდის უმრავლესობით უარჰყვეს საარბიტრაჟო განაჩენი, რადგან შრომის სამინისტრომ სავალდებულოდ არ სცნო ეს განაჩენი.

ბეიტენ გლეივიცში (ზემო სილეზია) მუშაობა შესწყვიტა თითქმის ყველა მუშა-მშენებლებმა, რომელნიც უკმაყოფილონი არიან უკანასკნელი საარბიტრაჟო განაჩენით. ამ განაჩენით სამუშაო ხელფასს მოემატება მხოლოდ 1 ნახ. პფენიგი საათში.

რეფორმისტების პროფკავშირებმა უარი სთქვეს ამ გაფიცვის დადასტურებაზე.

რეინ-ვესტფალის რაიონის ლითონის მრეწველებმა უარჰყვეს მუშათა მოთხოვნა 15 პფენიგით სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ. მათ განაცხადეს, რომ არავითარ მომატებაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო. (ადს).

ბერლინი, 30 სექტემბერი. მიუნხენ-გლადბახის საფეიქრო საწარმოთა პატრონებმა ლოკაუტი გამოაცხადეს იმის გამო, რომ მუშები არ დათანხმდნენ მათთვის არახელსაყრელ არსებულ სატარიფო ხელშეკრულებათა გაგრძელებაზე. ლოკაუტი გამოეცხადა 40.000 კაცს. (ადს).

სამეურნეო წლის მიჯნაზე

განვლილი წელიწადი — მდიდარი გამოცდილების წელიწადია, რთული განცდებისა და ურთულესი სამეურნეო პროცესების წელიწადი; წელიწადი, როდესაც განვიცადეთ სერიოზული დისპროპორცია ბაზარზე, სერიოზული დაბრკოლებანი სამეურნეო მშენებლობაში, მაგრამ როდესაც სერიოზული მიღწევებიც მოვიპოვეთ.

ჩვენ, ეჭვი არ არის, კრიზისი განვიცადეთ სამეურნეო ფრონტის მეტად მნიშვნელოვან დარგში — პურის დამზადების საქმეში. ეს კრიზისი გამოიწვიეს როგორც კონიუნქტურული ხასიათის მიმდინარე მიზეზებმა, არახელსაყრელმა პირობებმა, შეცდომებმა სამეურნეო ხელმძღვანელობასა და მშენებლობაში, ისე იმ ღრმა პროცესებმა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ძირითად სოციალ-კლასობრივ ურთიერთობებთან, ძირითად მოვლენებთან ჩვენს ეკონომიკაში. მიუხედავად ამ კრიზისის ხანგრძლიობის და სიღრმისა პურის დამზადების საქმეში, კომუნისტურმა პარტიამ შესძლო მთელი მეურნეობის საერთო კრიზისის თავიდან აცილება. შესაძლებელი გახდა ეს იმ სწორი დიაგნოზის წყალობით, რომელიც მოგვცეს ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის და ივლისის პლენუმებმა, ბოლშევიკების ფოლადისებური სიმტკიცის წყალობით, იმ ბოლშევიკების, რომელთაც ასე დასცინიან ჩვენი მტრები. განვლილი წელიწადი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების წელიწადი იყო ჩვენს ქვეყანაში. კაპიტალისტური ელემენტები სოფლად შეეცადნენ სერიოზული იერიშის მიტანას ფასების საბჭოთა პოლიტიკაზე — შეეცადნენ ამ პოლიტიკის ჩაშლას. ქალაქისა და სოფლის ზეხმატკბილებულმა კაპიტალისტურმა ელემენტებმა სცადეს იერიშის მიტანა თვით იდეოლოგიურ დარგშიაც. მაგრამ კაპიტალისტური ელემენტების ეს იერიშები, ეჭვი არ არის, უკუგდებულ იქნენ. იდეოლოგიურ და სამეურნეო დარგში პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასს უკან არ დაუხევია, ის პრაქტიკულად ანვითარებდა შეტევას კაპიტალიზმზე და რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა მე-15 ყრილობის საერთო დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად.

მიუხედავად საგრძნობი დაბრკოლებებისა, მიუხედავად მწვავე და ღრმა კრიზისისა პურის ბაზარზე, მიუხედავად სოციალურ - პოლიტიკურ ძალთა განწყობილების სირთულისა, და, ბოლოს, მიუხედავად მერყეობისა (რომელიც ჩვენს რიგებში გამოიჩინეს იმათ, ვისაც არ სურს სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების გაგება, იმათ, ვინც მზად არის შემოგვთავაზოს ტროცკისტული „ჭეშმარიტებანი“). — განვლილი წელი წარმოადგენს კაპიტალიზმის ელემენტებზე აშკარად გამოხატული სოციალისტური იერიშის მიტანის წელს. სოციალიზმი მტკიცდება —ასეთია განვლილი წლის შედეგი.

მოსახლეობის ძირითადი მასები — მუშათა კლასი და მთელი მშრომელი მოსახლეობა, რომლებიც წინ წავიდნენ კულტურულად, —ამაგრებდნენ მუშათა კლასის დიქტატურას ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ ვსძლევთ სამეურნეო დაბრკოლებებს. ჩვენ ამ მხრივ ვიმყოფებით გარდატეხის ხანაში. აშკარად ვამჩნევთ მწვავე დისპროპორციის სულ უფრო და უფრო შემცირებას. ჩვენ შევდივართ მეურნეობის ძირითადი ელემენტების უფრო ნორმალური ურთიერთობის პერიოდში. ჩვენ აღორძინების პერიოდში ვართ — ასეთია წლის ბალანსი, ასეთია აქტიური სალდო ჩვენს სასარგებლოდ, რომელიც გადადის ახალ სამეურნეო წელიწადში და რომელიც საგრძნობ ზეგავლენას იქონიებს მთელს სამეურნეო განვითარებაზე ახალი წლის განმავლობაში.

ასეთივე ბოლშევიკური სიმტკიცით და გაკაჟებით განვაგრძობთ ჩვენ მშენებლობას ახალ წელშიაც. და ახალ წელში ჩვენ უფრო მეტ თავგამოდებით, მთელ მშრომელ მასებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, მასთან მჭიდრო კავშირის განუწყვეტლად განმტკიცებით [illegible] სოციალისტურ შეტევას. იმ მერყევ ელემენტებს ჩვენს წრეში, რომელნიც ძველს ებღაუჭებიან, რომლებსაც არ ესმით გადამწყვეტი ხაზი მუშაობაში — კიდევ უფრო მეტი სისტემატიური იერიშის გაძლიერება, — ჩვენ დავაჯერებთ, წავიყვანოთ ჩვენი გზით, ხოლო თუ საჭირო იქნება, შევსძლებთ ლაგამის ამოდებასაც. თავისთავად ცხადია, რომ ეს ხაზი უნდა ვიქონიოთ აგრეთვე იმათ მიმართ, ვისაც ეხერხება ლენინის ძირითადი დებულებების „დავიწყებულ სიტყვებად“ გადაქცევა. ჩვენ შევსძლებთ გადავლახოთ დაბრკოლებები სოციალისტური შეტევის გზაზე. ჩვენ ვდგევართ მკვიდრ ნიადაგზე და მტკიცე საფუძველზე ამ შეტევის განსახორციელებლად.

საერთოდ მიუხედავად მთელ რიგ მეტად არახელსაყრელ მომენტებისა წლევანდელი მოსავალი შარშანდელზე უკეთესია. სოფლის მატერიალური რესურსები გაიზარდა. დამაკმაყოფილებელი მოსავლის საფუძველზე სოციალისტური მრეწველობა განვითარდება ისეთი ტემპით, რომელიც მიუწვდომელია რომელიმე, თუნდაც ყველაზე უფრო დაწინაურებული კაპიტალისტური სახელმწიფოსათვის. მომავალ წელს ჩვენ დავძრავთ ყველა კუთხეს, ყველა ძალებს და საშუალებებს, რათა დავეწიოთ კაპიტალისტურ სახელმწიფოების დაწინაურებულ ტეხნიკას.

ახალ სამეურნეო წელს ჩვენ ვიწყებთ ისეთ პირობებში, როცა თანდათანობით იკეცება „მაკრატელი“ სასოფლო - სამეურნეო და სამრეწველო ფასებს შორის. მართალია, გასული წლის სამეურნეო დაბრკოლებათა გამო ჩვენ იძულებულნი ვიყავით მაკრატლის პირების დაახლოვება მოგვეხდინა უმთავრესად სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ფასების ერთგვარი მომატების გზით, მაშინ როცა ჩვენი მიზანია მოვსპოთ მაკრატელი სამრეწველო ფასების დაკლების გზით მრეწველობის რეკონსტრუქციის პროცესში. მაგრამ მაკრატლის პირების შემდგომი დაახლოვების ფაქტი ძალაში რჩება. გლეხობასთან კავშირი, რომელსაც ერთ დროს საფრთხეს უქადდა სამეურნეო სიძნელეთა გაძლიერება, განმტკიცდება; ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით, საშუალო გლეხობასთან შეკავშირებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი მიაღწევს სასოფლო მეურნეობის აღორძინების დაჩქარებას, საწარმოო კოოპერატიული გაერთიანების დაჩქარებას, სოფლად მსხვილი მეურნეობის ხვედრითი წონის გადიდებას, სოციალისტური ელემენტების საერთო გაძლიერებას. პარტიის, მუშათა კლასის და თვით გლეხობის საგრძნობი ძალები უნდა მოხმარდეს სასოფლო მეურნეობის აღორძინების დაჩქარებას, ვინაიდან სასოფლო-მეურნეობის დაქსაქსულობა და მისი განვითარების შედარებით ნელი ტემპი ხელს უშლის მთელი ქვეყნის აღორძინებას, აფერხებს ინდუსტრიალიზაციის პროცესს. რასაკვირველია, უმეტესი ყურადღება წინანდებურად მრეწველობისაკენ რჩება. რასაკვირველია, მრეწველობის აღორძინების ტემპი წინ უნდა უსწრებდეს სასოფლო მეურნეობის აღორძინების ტემპს. მრეწველობის შიგნით კი, მიუხედავად დროებითი დაბრკოლებისა, რომელსაც ადგილი აქვს ბაზარზე, უმთავრესი ყურადღება წინანდებურად მძიმე ინდუსტრიას უნდა ექცეოდეს. მრეწველობის ხვედრითი წონის გადიდება, მძიმე ინდუსტრიის როლის გაძლიერება, კაპიტალური ხარჯების მაქსიმალური ეფექტის რეალიზაცია, კურსის აღება მშენებლობის ყოველმხრივ გაიაფებაზე—აი, აუცილებელი პირობები ქვეყნის აღორძინებისათვის. ამაში გამოიხატება მისი ინდუსტრიალიზაციის პროცესი.

მიმდინარე საბაზრო ურთიერთობისათვის ფხიზელი თვალყურის დევნებით, შეცდომების და დეფექტების გამოსწორებით, სამეურნეო ელემენტების ერთმანეთთან დაახლოვებით, სამეურნეო დარგში ზე-ცენტრალიზმის და ბიუროკრატიზმის ყოველგვარი სიმახინჯის აღმოფხვრით ჩვენ წმინდა ბოლშევიკური გაქაჟებით, სიმტკიცით და შეუპოვრობით ცხოვრებაში გავატარებთ ამ ხაზს.

ჩვენ არ ვუმალავთ ჩვენს თავს მომავალ მუშაობაში მოსალოდნელ სიძნელეებს. ბაზრის მეურნეობაში ჩვენ გვექნება სუსტი ადგილები, რომლებიც დიდად შეგვაწუხებენ. შეუფარდებლობა სამრეწველო საქონლის მოთხოვნილებისა და მიწოდების შორის მოიტანს თავის შედეგს. სოფლის შემოსავალი ხომ გაიზარდა, რაც შედეგია როგორც უკეთესი მოსავლისა, ისე ფასების მომატებისა. მართალია, სამრეწველო პროდუქციაც საგრძნობლად იზრდება, მაგრამ დისპროპორცია ბაზარზე რჩება, როგორც საქონლის ნაკლებობის მოსპობის ამოცანა და ის წარმოადგენს ახალი წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ჩვენ ვიგრძნობთ მთელ რიგ ვიწრო სალტებს, რომლებიც შეასუსტებენ მაჯისცემას, შეაფერხებენ ნივთიერებათა მიმოქცევას ჩვენს სამეურნეო ორგანიზმში. უმნიშვნელოვანესი ვიწრო სალტე — ეს იქნება საგარეო ვაჭრობის დარგში. საერთაშორისო პირობების სირთულის გაძლიერების გამო, საგარეო ვაჭრობა — მანქანების, მოწყობილობების, ნედლეულის იმპორტი—ჩვენს ქვეყანაში ისეთი ტემპით ვერ განვითარდება, როგორც ეს საჭიროა.

იმპორტის რაოდენობის შეზღუდვა მტკივნეულ გავლენას იქონიებს მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე.

მაგრამ ჩვენთვის ნათელია, ის საშუალებებიც, რომელთაც ხელი უნდა ჩავსჭიდოთ, რომ დავსძლიოთ დაბრკოლებები, გავამაგროთ სუსტი ადგილები და მით ავიცდინოთ ვიწრო სალტის სიმწვავე. ეს საშუალებებია — მთელი მეურნეობის და მმართველობის განუწყვეტელი სისტემატიური სოციალისტური რაციონალიზაცია. მსხვილი სოციალისტურ მრეწველობის განუწყვეტელი განვითარება, ხარისხობრივი გაუმჯობესება, სოფლის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია. უმნიშვნელოვანეს საშუალებას, რომელსაც ხელი უნდა ჩავსჭიდოთ, წარმოადგენს აგრეთვე საქონლის ექსპორტი, ექსპორტის ყოველმხრივი გაძლიერება, რითაც შეგვეძლება გავაფართოოთ იმპორტის ვიწრო ფარგლები და მით დავაჩქაროთ ინდუსტრიალიზაციის მსვლელობა.

ჩვენ ბოლშევიკურად ხელს ჩავსჭიდებთ ამ საშუალებებს, გადაუხრელად ვიხელმძღვანელებთ ლენინის მოძღვრებით, წინაღუდგებით „მემარცხენე“ წვრილ ბურჟუაზიულ ფრაზას (რომელშიაც იფარება მემარჯვენე, ანტილენინური შინაარსი) და განსაკუთრებით აშკარა ოპორტუნისტულ ელემენტებს, რომლებიც ვერ ხედავენ სოციალისტური იერიშის მთავარ ხაზს და ახალ სამეურნეო წელშიაც მივაღწევთ პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებას, მუშათა მასების და გლეხობის შემდგომ კულტურულ და მატერიალურ აღორძინებას, მათ შემდგომ ჩაბმას შეგნებულ სოციალისტურ მშენებლობაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გაძლიერებისა და საერთო განმტკიცების საქმეში.

„პრავდა“ 1 ოქტომბერი.

სხვადასხვა

● **ვენიზელოსი პარიზში ჩავიდა.** ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ განზრახვა აქვს ეთათბიროს კემბერლენსა და ბოლდუინს.

● **ლონდონიდან თეირანში** მიემგზავრება დელეგაცია ინგლის-სპარსეთის სადაო საკითხების მოსაგვარებლად.

პროფ. როსსოლიმოს გარდაცვალება

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. 29 სექტემბერს ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო გარდაიცვალა თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი არა მარტო საბჭ. კავშირში არამედ მთელს მსოფლიოში—პროფ. **როსსოლიმო.**

პროფ. როსსოლიმოს სახელმა უკვე დიდი ხანია დაიკავა საპატიო ადგილი მედიცინის მსოფლიო ისტორიაში. როსსოლიმოს შრომები ნერვიულ სისტემის დარგში, კერძოდ კი „პროფილები“, ე. ი. გონებრივ თვისებების დახასიათება, ცნობილია მთელ მსოფლიოში და სახელმძღვანელო პრინციპებათაა აღიარებული არა მარტო ექიმებისათვის, არამედ პედაგოგებისათვისაც. განსვენებული იყო არა მარტო დიდი სამეცნიერო მუშაკი და თანამედროვე ნეროპატალოგიის ერთ-ერთი შემქმნელი, არამედ მრავალმხრივ განვითარებული საზოგადო მოღვაწე.

ამხ. რიკოვის სიტყვა

ზაპოროჟიეს საოლქო პარტკომის პლენუმზე

ხარკოვი, 1 ოქტომბერი. ზაპოროჟის საოლქო პარტკომიტეტის პლენუმზე მასიური მუშაობის შესახებ მოხსენების გამო სიტყვით გამოვიდა ს.კ.პ. (ბ) ც.კ. პოლიტბიუროს წევრი ამხ. რიკოვი.

„უდიდესი მუშაობა, რომელიც სწარმოებს ამჟამად კავშირში,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—მოითხოვს უაღრეს აღფრთოვანებას და ძალთა დაჭიმვას, რადგან ეს მუშაობა სწარმოებს კაპიტალისტური სახელმწიფოების და კაპიტალისტური კლასების ნაშთების მტრულ გარემოცვის პირობებში. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ყოველი მუშა და ყოველი გლეხი სოციალისტური მშენებლობის საერთო საქმეს უყურებდეს ისე, როგორც თავის საკუთარ საქმეს. ჩვენ უნდა ყოველდღიურ მუშაობაში ჩავაბათ პროლეტარული კადრები. დაწინაურების სისტემამ მუშებისა და მუშა-ქალების ჩასაბმელად ფაბრიკა-ქარხნების მუშაობაში სავსებით გაამართლა მოლოდინი იქ, სადაც ეს საქმე ცოტათ თუ ბევრად მოფიქრებულად არის დაყენებული.

ილიჩი ამბობდა—პროფკავშირი კომუნიზმის სკოლააო. პროფკავშირებმა, რომელნიც ებრძვიან ბიუროკრატიულ სიმახინჯეებს, ბოროტმოქმედებას და უსამართლობას, არა მარტო უნდა დაიცვან მუშათა კლასის ინტერესები, არამედ უნდა აღზარდონ კიდეც კომუნიზმის ახალი მებრძოლნი—ახალი საზოგადოების ორგანიზატორნი. ამ მუშაობას პროფკავშირები ეწევიან,—უბრალოდ რომ ვთქვათ,—არა საკმაოდ კარგად. ეს სჩანს თუნდაც იმ ახალი კადრების დაწინაურების საქმეში, რომელნიც ქვემოდან მოდიან. ჩვენ დღემდე ვერ დავიქადნით ახალ მუშაკთა სიმრავლეს, რომლებმაც ძველი მუშაკები უნდა შესცვალონ. ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი ყველაზე უფრო რევოლიუციონური პროლეტარიატია მთელ მსოფლიოში. ხდება მისი კადრების შევსება განუწყვეტლივ, მუშათა კლასის მდგომარეობა წლითწლობით უმჯობესდება, ასევე წლითი-წლობით მაღლდება მისი მატერიალური და კულტურული დონე. მუშათა კრებებზე ხშირად გაიგონებთ უპარტიო მუშების სიტყვებს, ისინი მეტად გონიერად და საქმიანად არკვევენ ჩვენი მშენებლობის ყოველდღიურ საკითხებს. როდესაც იკითხავ იყენებენ თუ არა ამ ახალ ხალხს სისტემატიურ მუშაობაში, ხშირად ირკვევა, რომ არ იყენებენ. ჩვენ დღემდე ვერ ვახერხებთ ჩვენი უძნელესი მშენებლობისათვის ახალი კადრების გამოძებნას და დაწინაურებას. ნიჭიერი, უნარიანი, ერთგული და მცოდნე ხალხი საკმაოდ ბლომად მოიპოვება მუშებს შორის, ხოლო ღარიბებსა და საშუალოთა შორის. ბლომად არიან ასეთები არა მარტო კაცებს შორის, ქალებს შორისაც, მაგრამ ის ხელი, რომელმაც უნდა გამოსძებნოს, დააწინაუროს და გამოიყენოს ეს ხალხი, მეტად ზანტად მოქმედებს და ხშირად იქითკენ არ არის მიმართული,საითკენაც საჭიროა. ერთ ერთ სიძნელეს მასიურ მუშაობაში წარმოადგენს კრიტიკის შიში. მუშები გლეხებში ჯერ კიდევ ყოველთვის არ აშკარავებენ თავიანთ აზრებს, ყოველთვის არ გამოდიან კრიტიკით, რადგან ეშინიათ, რომ მათ ამისათვის გაკიცხავენ. კრიტიკის შიშს ყველა მწვავედ გრძნობს. ეს ერთი უძლიერესი დაბრკოლებათაგანია ახალი კადრების შესაქმნელად და დასაწინაურებლად. აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ყველა აქტიური ელემენტის წახალისება. თვითკრიტიკის განვითარება ბოლოს მოუღებს, მოსპობს ამ დაბრკოლებებს. რა თქმა უნდა, თვითკრიტიკის პირველ საფეხურზე მრავალი შეცდომა იქნა ჩადენილი. მაგრამ ჩვენ სხვა საფრთხის წინაშე ვდგევართ: გვეშინია შეცდომები არ ჩავიდინოთ და ამით თვითკრიტიკის განვითარება არ ჩავფუშოთ. რასაკვირველია, ხდება ხოლმე ისიც, რომ თვითკრიტიკას პირადი ინტერესებისა და კინკლაობისათვის იყენებენ. ეს თვითკრიტიკის საყმაწვილო სენია, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ, თვითკრიტიკა კი აუცილებლად უნდა განვავითაროთ. ფართო კრებებზე უნდა დავსვათ დიდი საკითხები და მივიღოთ გადაწყვეტილებანი მათ შესახებ. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ—როგორ უყურებენ მასები ამ საკითხებს, რამდენად სწორია ეს დებულებები და პროექტები, რომ ვასწავლოთ ფართო მასებს ფიქრი, მსჯელობა, კამათი, მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივი, პოლიტიკური და მეურნეობრივი ხასიათის საკითხებში. თვითკრიტიკამ უნდა წასწიოს მასები მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის გზაზე, აგრეთვე სოციალისტური საზოგადოების აგების ურთულესი საკითხების გადაჭრის გზაზე.

ჩვენს ორგანიზაციებში დრო და დრო ადგილი აქვს გახრწნის ელემენტებს: შახტის საქმე, სმოლენსკის საკითხი, საქმე იბრაგიმოვისა, რომელიც ყირიმის ცაკის თავმჯდომარედ იყო და რომელიც ბანდიტი გამოდგა და სხვ.—ასეთ რამეებს ადგილი არ ექნებოდა, ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში, რომ მასები უფრო ხშირად იღებდნენ მონაწილეობას.

გახრწნის ამგვარი მოვლენები, პირველ ყოვლისა, აიხსნებიან იმით, რომ ზოგიერთი ფენები მოსწყდნენ ჩვენ ორგანიზაციას, აგრეთვე იმით, რომ მუშები, ღარიბები და საშუალო გლეხები ნაკლებად არიან ჩაბმულნი საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციათა მუშაობაში. ზოგიერთს თვითკრიტიკა მორიგ კამპანიად მიაჩნია. ეს სწორი არ არის, თვითკრიტიკა კამპანია არ არის, იგი ჩვენი მუშაობის ორგანიული ნაწილია, რომელიც რაც დრო გავა, მით უფრო მეტ ადგილს დაიჭერს საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ საზოგადოებრიობაში.

რა თქმა უნდა, თვითკრიტიკის განხორციელების დროს ვერ ავსცდებით ცალკე შეცდომებს, რომლებიც უნდა გავასწოროთ. თვითკრიტიკის შემწეობით უფრო და უფრო მეტად ჩავაბამთ მშრომელებს ჩვენს მუშაობაში. მისი შემწეობით მივაღწევთ იმას, რომ კავშირის მშრომელი მოსახლეობა უფრო მეტად იგრძნობს, რომ მონაწილეობას იღებს ახალი სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციის საქმეში.

პარტიული მუშაობის დარგში ჩვენი მიღწევა მეტად დიდია. ჩვენი ორგანიზაცია ფართოვდება და მისი პროლეტარული შემადგენლობა იზრდება. მაგრამ პროლეტარული შემადგენლობის ზრდა მაინც საკმაო არ არის. ჩვენ მუშაობას ზოგიერთი ნაკლი აქვს. ეს გარემოება გვავალებს—გავაუმჯობესოთ ეს მუშაობა, რათა უფრო ავამაღლოთ პროლეტარული ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება, ამასთან ავამაღლოთ დღევანდელზე ბევრად უფრო მეტად (ტაში) (ადს).

ამხ. რუძუტაკი საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების შესახებ

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. რუძუტაკმა განავითარა ზოგიერთი მუხლი თავისი სიტყვისა, რომელიც მან წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის პლენუმზე.

„ინჟინერებისა და ტეხნიკოსებისაგან შემოსული მრავალი განცხადება,— სთქვა ამხ. რუძუტაკმა,—აგრეთვე ბოლო ხანებში ინჟინერ-ტეხნიკოსთა ორგანიზაციების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი იმას ადასტურებენ, რომ ჩვენი სპეციალისტების ძირითადი მასა გზებს ეძებს კიდევ უფრო მჭიდრო კავშირისათვის საბჭოთა საზოგადოებრიობასთან და მუშათა კლასთან, ეძებს და პოულობს საქმიანი თანამშრომლობისა და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის ფორმებსა და მეთოდებს. ცხადია, ჩვენს ამოცანას შეადგენს, რომ ამ თანამშრომლობას მაქსიმალურად შეუწყოთ ხელი და შევქმნათ მისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები. ჩვენ უნდა დაუახლოვოთ სპეციალისტი მუშას და ჩავაბათ იგი საერთო მუშაობაში არა როგორც უბრალო მოხელე და ამსრულებელი, არამედ როგორც საზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც შეგნებულად მიისწრაფვის საერთო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მიზნებისაკენ. მეორე მხრივ, ჩვენ უნდა დავეხმაროთ პატიოსან ლოიალურ ინჟინერს და ტეხნიკოსსა, საერთოდ სპეციალისტს, რომ იგი გამიჯნოს იმ დამზიანებელ ელემენტებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ ძველ სპეციალისტებს შორის.

შახტის პროცესმა დაანახვა ჩვენს მტრებსა და მეგობრებს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა, ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე დგანან. ამ პროცესმა საგრძნობლად განავითარა მუშათა მასების აქტივობა, გააძლიერა სიფხიზლე და თვითკრიტიკა და გაუორკეცა ენერგია შემოქმედებითი მუშაობისათვის. ჯეროვანი პოზიცია დაიჭირეს აგრეთვე ჩვენმა სპეციალისტებმა და მათმა მასამ დაჰგმო შახტელები. მით უფრო შეუწყნარებელია ახლა განურჩეველი დამოკიდებულება სპეციალისტებისადმი. იყო შემთხვევები, როცა უნებური შეცდომა ან ვარაუდი მოტყუება კანონიერი რისკის დროს სპეციალისტს დამზიანებელი მოქმედების ცდად ჩაუთვალეს. ჩვენ საკითხი აღვძარით ამ შეცდომების გასწორების შესახებ. საჭიროა ნათელი გახდეს, რომ ჩვენ მსჯავრს ვდებთ სპეციალისტებს მხოლოდ შეგნებული დამზიანებლობისათვის, ამა თუ იმ ტეხნიკური ნორმის განზრახ დარღვევისათვის, როცა ამას საჭიროება არ მოითხოვს, თანხების გაუმართლებელი ხარჯებისათვის, არა საკმაო ყურადღებობისა და აქტივობისათვის დასასრული ამოცანის განხორციელების დროს, მაგრამ არა უნებლიე შეცდომებისათვის, რომლებიც შეიძლება ყოველ საქმეს თან ახლდეს.

მთავრობა ყოველგვარ ზომას ხმარობს აგრეთვე სპეციალისტების მუშაობის მატერიალური და საყოფა-ცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ტეხნიკური განათლების საქმის გაუკეთესებისათვის, ინჟენერ-ტეხნიკოსთა გადამზადებისათვის და ინჟენერ-ტეხნიკოსთა ახალი კადრების შექმნისათვის. სახკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დადგენილება გამოიტანა კერძოთ, იმის შესახებ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში დამატებით იქნან მიღებულნი მუშათა და გლეხთა 150 ბავშვი და სპეციალისტებისა, მეცნიერებისა—ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკთა 600 ბავშვი. მუშავდება საკითხი იმის შესახებ, რომ გაიხსნას რამდენიმე ახალი უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი, ტეხნიკუმი და ტეხნიკური სკოლა უმაღლესი და საშუალო ტეხნიკური პერსონალის მოსამზადებლად.

მე საჭიროდ მიმაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდე ჩვენი ახალგაზრდა ტეხნიკური ძალების ჩაბმაზე წარმოებაში, რაც ბოლოსა და ბოლოს საშუალებას წარმოადგენს სპეციალისტების პრობლემის გადაწყვეტისათვის. ჩემ მიერ მიღებულ წერილებში ნათქვამია, რომ ტრესტებსა და საწარმოებში საკმაო ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტებს. თუ იძულებული ვართ დავეთანხმოთ, რომ საჭიროა ახალგაზრდა სპეციალისტების თანდათანობითი დაწინაურება პასუხსაგებ ტეხნიკურ თანამდებობაზე, სამაგიეროდ ყოვლად შეუწყნარებელია უყურადღებო დამოკიდებულება მათდამი და მათი ჩვარში გამოხვევა ზოგჯერ ძველი სპეციალისტების გავლენით, ზოგჯერ ყალბად გაგებული სამეურნეო ეკონომიკის გამო. სხვადასხვა ტრესტებმა უკანასკნელ ხანებში არამც თუ არ გააძლიერა თავისი ტეხნიკური შემადგენლობა, არამედ შეამცირა კიდეც და არ გამოიყენა სათანადო უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი. ავიღოთ, თუნდაც, მაგალითად, ახალგაზრდა სპეციალისტების ჩაბმა „აზნეფტის“ სარეწაოებსა და ქარხნებში: 4 წლის განმავლობაში, 1924 წლიდან, ბაქოში დარჩა სამუშაოდ სულ 60-ზე ცოტა მეტი ახალგაზრდა ინჟენერი, ამასთანავე ინჟენრების მთელი შემადგენლობა 6 პროცენტს აღწევს, მაშინ, როდესაც ამ 4 წლის განმავლობაში ჩვენი უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები უშვებდნენ ყოველწლიურად 40-ზე მეტს სპეციალისტს ნავთის საქმეში. ის სპეციალისტებიც, რომლებიც „აზნეფტში“ დარჩნენ, ყველა არ არის საკმაოდ გამოყენებული უნარისა და ცოდნის მიხედვით.

სხვადასხვა ტრესტები არაფერს აკეთებენ თავისი ახალგაზრდა ტეხნიკური კადრების უზრუნველსაყოფად როგორც ბინების მიჩენის მხრივ, ისე განათლების შევსების საშუალებას მიცემისა და სხვა ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ. საჭიროა აღინიშნოს, რომ დღევანდლამდე სამეურნეო ორგანოებმა საკმაოდ არ შეასრულეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის დადგენილება ტეხნიკური სპეციალისტების ახალი კადრების შექმნისა და მომზადების შესახებ. უდავოა, რომ ამ საქმეში გაცილებით მეტის მოხერხება შეიძლება, ვიდრე გაკეთდა.

დასასრულ მე მინდა აღვნიშნო, რომ სპეციალისტების პრობლემა პრაქტიკულად მხოლოდ დასმულია; საჭიროა მაქსიმალური ძალ-ღონის გამოჩენა, რომ ამ რთულ პრობლემაში სათანადოდ გავერკვეთ სპეციალისტებთან ერთად და მოვახერხოთ მისი სწორი გადაწყვეტა“.

პურის დამზადება

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის ცნობებით პურის ძირითადი დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ სექტემბრის მეხუთე ხუთდღეულში დამზადებულ იქნა 330.651 ტონა პურის პროდუქტი (მეოთხე ხუთდღეულში დამზადებული იყო 298.487 ტონა).

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის (ბ) მორიგი ამოცანები

ამხ. მ. კახიანის მოხსენება საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას IV პლენუმზე

უპირველესად ყოველისა, ვიტყვი ორიოდე სიტყვას გამოსვლების და კამათის ხასიათის შესახებ. საერთოდ და მთლიანად ყველა ორატორის გამოსვლა,—აქ კი მგონი, 20 ამხანაგზე მეტი გამოვიდა,—სერიოზული და საქმიანი იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შეითვისეს აზრი საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის რეზოლიუციისა ჩვენი მოხსენების გამო; მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს ის, რომ ისინი შეეცდებიან ეს რეზოლიუცია ცხოვრებაში გაატარონ. მაგრამ იყვნენ ისეთი ამხანაგებიც, რომელთაც ამ ტონს შესამჩნევად გადაუხვიეს და, ნაცვლად იმისა, რომ ელაპარაკათ არსებითად დეფექტებსა და მიღწევებზე, მიმართეს, ასე ვთქვათ, პოლემიკურ სიმშვენიერეს, მრავალსიტყვაობას და წმინდა სიტყვიერი ხასიათის შეჯიბრებას. ეს არ იყო გამოწვეული საქმის ვითარებით.

ს.კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი მოხსენება პირველად დაისვა, თუ არ ჩავთვლით 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხ. ორჯონიკიძის მიერ გაკეთებულ მოხსენებას აგვისტოს ამბების შესახებ. მაშინ ს.კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმმა მთლიანად და სავსებით დაამტკიცა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია, რომელიც უმთავრესად ეხებოდა მუშაობას სოფლად. ამას გარდა, ს.კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პოლიტიკური რეზოლიუცია, რომელიც გვავალებდა შეგვეტანა ჩვენს მუშაობაში შესწორებათა მთელი რიგი.

ამ მიმართულებით სწარმოებდა ჩვენი მუშაობა 1924 წლის შემდეგ.

ამჟამად ს.კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს პირველად მიეცა საშუალება მოესმინა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ, საქართველოს კომუნისტებმა, იმ ქვეყანაში, რომელიც მენშევიკების ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა, რა გაკეთდა ჩვენ მიერ იმისათვის, რომ გამენშევიკებული ქვეყანა გადაგვექცია კომუნიზმის დასაყრდენად ამიერ-კავკასიაში და აღმოსავლეთში. ის შეფასება, რომელსაც გვაძლევს ს.კ.პ. (ბ) ც. კ-ი, ცხადათ მოწმობს იმას, თუ რა კოლოსალური სამუშაოა ამ მხრივ შესრულებული. ც. კ. აღნიშნავს იმ მნიშვნელოვან მიღწევებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს, მაგრამ ამასთანავე მიგვითითებს მთელ რიგ არსებით დეფექტებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

ჩემს მოხსენებაში მე აღვნიშნე საქართველოს თავისებურებანი და ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგა. საქართველოს თავისებურობანი ასეთია:

პირველი—ეროვნებათა სიმრავლე ჩვენს ქვეყანაში. საქართველო, შედის რა ამიერ-კავკ. ფედერაციაში, თვითონაც წარმოადგენს მრავალი ერის ფედერაციას, ისეთი ერების ფედერაციას, რომელნიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სდგანან.

მეორე თავისებურობა — მრეწველობის სუსტი განვითარება. საქართველო კოლონია იყო ცარიზმის დროს, კოლონიადვე დარჩა ის მენშევიკების დროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მენშევიკები სცდილობდნენ საქართველო გადაექციათ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების დამატებად.

მესამე თავისებურობა საქართველოსი არის ის, რომ საქართველო გლეხთა ქვეყანაა უფრო მეტად, ვიდრე რ.ს.ფ.ს.რ., მიწის მწვავე სიმცირით და მოსახლეობის სიჭარბით მიწის რაოდენობასთან შეფარდებით, რაც ახასიათებს საქართველოს სახოფლო მეურნეობის მდგომარეობას.

მეოთხე—წარსულში ძლიერი მენშევიზმისა, თავად-აზნაურებისა და თავად-აზნაურულ ინტელიგენციის არსებობა.

აი, დაახლოებით, ის ძირითადი თავისებურობანი, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს მდგომარეობას. აქედან გამომდინარეობენ ის მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე იდგა: ეროვნული საკითხის სისწორით გადაჭრა, ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება, მენშევიზმთან და ნაციონალიზმთან დაუნდობელი ბრძოლა, ლენინური აღზრდა და შემჭიდროება ჩვენი რიგებისა.

ს.კ.პ. (ბ) ც. კ-მა მიიღო მხედველობაში ეს თავისებურობანი და ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგნენ, იქონია მსჯელობა ჩვენს მიღწევებსა და დეფექტებზე და საქართველოს კომპარტიის ც. კ. მოხსენების შესახებ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია. ის ამჟამად საერთო პარტიული ხასიათის დოკუმენტს წარმოადგენს. მე ვფიქრობ, ჩვენი მოვალეობაა, მთელი ჩვენი პარტიისა და ორგანიზაციის მოვალეობაა შევითვისოთ ის რეზოლიუცია, რომელიც განუყრელ წიგნაკად უნდა გადაიქცეს საქართველოს ყოველი კომუნისტისათვის. რეზოლიუცია უნდა დაგვეხმაროს იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან. შემდგომი მუშაობა ცენტრალური კომიტ. და მთელი ჩვენი პარტორგანიზაციებისა უნდა ჩატარდეს იმ მკაფიო დირექტივების საფუძველზე, რომლებიც მოგვცა საკავშ. კომპარტიის (ბ) ც. კ-მა—ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანომ.

სოფლის მეურნეობის საკითხები და მუშაობა სოფლად

ახლა გადავდივარ იმ არსებითად შენიშვნებზე, რომლებიც გამომდინარეობენ ამ რეზოლიუციიდან. რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს რეზოლიუცია განვახორციელოთ? რეზოლიუციის პირველ თავშივე აღნიშნულია,—და აღნიშნულია არა შემთხვევით,—ის ამოცანები, რომლებიც სდგანან სასოფლო მეურნეობის დარგში. აქ ითქვა: რაკი პირველ რიგში სდგას საკითხი სასოფლო მეურნეობის შესახებ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამით მეორე რიგში აყენებენ ინდუსტრიალიზაციის საკითხს. მე ვფიქრობ, რომ ასე არავინ არ უნდა გაიგოს ეს რეზოლიუცია. ც. კ. უფრო მეტი ყურადღება მიაქცია იმას, რაც დღევანდელი მომენტისათვის მას უფრო საჭიროდ მიაჩნია. უფრო აქტუალურია საკითხი სასოფლო მეურნეობის ამაღლების შესახებ, რომელიც ჩამორჩენილია მთელ საბჭოთა კავშირში. ეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს პირობებში უფრო მეტი ხაზ გასმითაა აღნიშნული იმ მდგომარეობის წყალობით, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით.

რეზოლიუციაში ნათქვამია: „სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპი აშკარად საკმარისი არ არის". სწორია თუ არა ეს? აბსოლიუტურად სწორია. ვარ თუ არა მე ამ განმარტების თანახმა? აბსოლიუტურად თანახმა ვარ იმისა, რომ მართლაც არ იყო პარტორგანიზაციების მხრივ საკმარისი ყურადღება მიქცეული, არ გაკეთებულა ის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა. მაგრამ ამასთან ვიტყვი,—და ვერავინ ვერ უარჰყოფს იმას,—რომ ც. კ.-ის რეზოლიუცია, იხსენიებს რა არა საკმარის ყურადღებას, არც ერთს მუხლში არ ამბობს, რომ მთელი პარტიული ხელმძღვანელობის მხრივ სოფლად მუშაობა არ იყო [illegible] შეფასებული.

როგორ უნდა გვესმოდეს ინტენსიფიკაცია

ახლა იმის შესახებ, თუ რა წინადადებას გვაძლევს ჩვენ ცეკა:

„ცეკა წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიას მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანებს—შრომის ტევადი ტეხნიკური კულტურების განვითარებას—კოოპერაციისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე მოწყობით, რასაც საქართველოში მიწის მწვავე სიმცირის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს" (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 1928 წლის 8 სექტემბრის დადგენილებიდან).

ამხანაგებო, ეს სრული სიმართლეა საქართველოს პირობებში. რას ნიშნავს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია? სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მიწის რაოდენობის გაფართოვება არ არის. ინტენსიფიკაცია ნიშნავს მიწის დამუშავების თვისების გაუმჯობესებას, დამუშავების ახალი გაუმჯობესებული ხერხების შემოღებას, რომ გადიდებულ იქნას მიწის ერთეულის შემოსავლიანობა. ვრჩებით რა მიწის იმავე სივრცეზე, ჩვენ უნდა ვეცადოთ გავადიდოთ შემოსავლიანობა. ჩვენ გვაქვს ამის შესაძლებლობანი. ავიღოთ სუბტროპიკული კულტურა. მაგალითად, ჩაი იმავე გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში ან აჭარისტანში. იქ გლეხს მეურნეობა აქვს მ—შ ან ერთ დესეტინაზე და მარტო სიმინდსა სთესავს. იმას თითქმის არავითარი შემოსავალი არა აქვს სოფლის მეურნეობიდან, ზოგჯერ ზარალიც აქვს. მიწის ამ რაოდენობიდან რომ თუნდაც დესეტინის მესამედი ჩაის დაეთმოს, მაშინ სულ სხვა სურათს მივიღებთ, მაშინ მისი მეურნეობა არ იქნება დეფიციტიანი; ის ისეთ შემოსავალს მისცემს, რომ შესაძლებელი გახდება, ნაწილი გადაიდოს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, ნაწილი კიდევ შესანახ ფონდში. აი ასე უნდა გვესმოდეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, და ყოველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შეიცვალოს მიწის დამუშავების ტეხნიკა. ზემოდ ნათქვამი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, ვითომ ჩვენ ცოტა ყურადღება უნდა მივაქციოთ მარცვლეულ კულტურათა განვითარებას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ადგილი აქვს ძვირფასი კულტურების განვითარებას, იმ მიწებიდან რომლებიც ითესება, 90 პროცენტზე მეტი მარცვლეულ კულტურებს უჭირავს. მაშასადამე, ამ კულტურათა შემოსავლიანობის გადიდებას ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. აი, მარცვლეულ კულტურათა შემოსავლიანობის გადიდებასთან ერთად რათ უნდა მივაქციოთ ყურადღება ინტენსიფიკაციას, დამუშავების გაუმჯობესებულ ხერხებს და, ამას გარდა, მიწით სარგებლობის ფორმების შეცვლას.

აი, ის ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს პარტიას. სოფელთან დაკავშირებული ჩვენი სადგილ-მამულო ორგანოები და ორგანიზაციები ამ იდეებით უნდა განიმსჭვალონ და გლეხთა მასებში შეიტანონ. ეს საკითხი ახლახან იდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კომიტეტის ივლისის სხდომაზე. იქ ყურადღება მიექცა იმას, რომ ეხლა ჩვენს წინაშე ისახება სწორედ ეს აქტუალური პრობლემა—მიწათმოქმედების გაძლიერება, რადგან ყველაზე ნაკლებად სწარმოებს მისი განვითარება, რაც ხელს უშლის სახალხო მეურნეობის განვითარებას. ამიტომ იყო ნათქვამი, რომ ჩვენ უფრო საფუძვლიანად უნდა მოვეკიდოთ მთელი ეკონომიკის გარდაქმნის საკითხს. ამხ. ლენინი თავის დროზე ამბობდა:

სამი ძირითადი ამოცანა

„წვრილი მიწათმოქმედების გარდაქმნა, მთელი მისი ფსიქოლოგიისა და ჩვეულებათა გარდაქმნა ისეთი საქმეა, რომელსაც რამდენიმე თაობა დასჭირდება. ამ საკითხის გადაჭრა წვრილი მიწათმოქმედების მიმართ, ასე ვთქვათ, მთელი მისი ფსიქოლოგიის გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტეხნიკას, ტრაქტორებისა და მანქანების მასიური მასშტაბით გამოყენებას მიწათმოქმედებაში, ელექტროფიკაციას მასიური მასშტაბით. აი, რა გარდაჰქმნიდა ძირიან ფესვიანად და დიდის სისწრაფით წვრილ მიწის მეურნეს" (ტომი მე-18, ნაწილი 1, გვ. 139, ლენინი).

1928 წლის ივლისის პლენუმზე ამხ. სტალინმა განავითარა ამხ. ლენინის აზრი და შემდეგი სთქვა:

„როგორ შეგვიძლია საერთოდ გარდავქმნათ, გადავაკეთოთ გლეხი, მისი ფსიქოლოგია. მისი წარმოება მუშათა კლასის ფსიქოლოგიასთან დაახლოების აზრით, წარმოების სოციალისტური პრინციპის მიხედვით? რა არის ამისათვის საჭირო? ამისათვის საჭიროა, პირველყოვლისა, კოლექტივიზმის უფართოესი აგიტაცია გლეხთა მასებს შორის. ხოლო საამისოდ საჭიროა: ჯერ ერთი, კოოპერატიული საზოგადოებრიობის დანერგვა და საგლეხო მეურნეობათა მილიონების უფრო და უფრო მასიურად მოქცევა ჩვენს მომმარაგებელ გამსაღებელ კოოპერ. ორგანიზაციებში. უდავოა, რომ ჩვენი კოოპერაციის ფართოდ განვითარების გარეშე გლეხთა შორის არ მოხდებოდა ის გარდატეხა კოლექტიურ მეურნეობათა სასარგებლოდ, რომელსაც ამჟამად ვამჩნევთ, ვინაიდან მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერაციის განვითარება ჩვენს პირობებში წარმოადგენს გლეხობის მზადებას კოლექტივიზმზე გადასვლისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ არის საკმარისი გლეხობის გარდასაქმნელად, სოციალიზმის საფუძველზე გლეხების გარდაქმნის საქმეში მთავარ ძალას შეადგენს ახალი ტეხნიკა მიწათმოქმედებაში, მიწათმოქმედების მექანიზაცია, გლეხის კოლექტიური შრომა, ქვეყნის ელექტროფიკაცია".

მაშასადამე, ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის გაძლიერება ძირიან-ფესვიანად დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის საკითხთან, ელექტროფიკაციის განვითარებასთან. როდესაც საკითხი ასე სდგება, ჩვენ ძირითადი თვალსაზრისი უნდა გვქონდეს მუშაობაში. მთავარი თვალსაზრისი აქ მოცემულია, აქედან გამომდინარეობს სამი მთავარი მომენტი.

პირველი—მცირე და უმცირეს ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა გაძლიერება, ვინაიდან კიდევ დიდ ხანს დაგვჭირდება ჩვენი სახელმწიფოსათვის საჭირო საგნების მიღება იქიდან. ეს ამოცანა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, მაგრამ ეს ახლა საკმარისი არ არის. მეორე ამოცანა ის არის, რომ მცირე და უმცირესი მეურნეობანი შევაყენოთ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა ლიანდაგზე. შევქმნათ საფუძველი მიწათმოქმედებაში სოციალისტური მეურნეობისათვის და მესამე—განვავითაროთ საბჭოთა მეურნეობანი.

ეს სამი ამოცანა სოფლის მეურნეობის დარგის ძირითადი ამოცანებია. ვინც ხელოვნურად აცალკევებს ერთ ამოცანას და მეორეს ივიწყებს, ის ისეთ შეცდომას სჩადის, რომელსაც შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს. ამიტომ ეს არ უნდა ჩავიდინოთ. ჩვენი მიდგომა დიფერენცირებული უნდა იყოს, მაგრამ ასეთი მიდგომის დროსაც ამოცანა მაინც ერთი და იგივე რჩება.

„ფილოსოფია" მექანიზაციის წინააღმდეგ

როდესაც ჩვენ ამ საკითხს უდგებით საქართველოს პირობებში და ვკითხულობთ: ნამდვილად შეითვისა თუ არა ყველამ ის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ც. კ.-ის დადგენილებათა მიხედვით, უნდა ვსთქვა, რომ, სამწუხაროდ, ბევრი საბუთი გვაქვს, რომ სოფლის მეურნეობის დარგის ზოგიერთმა მუშაკებმა ეს აზრი მთლად ვერ შეითვისეს.

ამას წინად გაიმართა სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საქართველოს თათბირი. მე წავიკითხე ამ თათბირის სტენოგრამა და იქ უნებურად ყურადღება მივაქციე ზოგიერთი ჩვენი სპეცის გამოსვლას. უნდა ვსთქვა, რომ იქ გაისმოდა ისეთი ჰანგები, რომლებიც მთლიანად შეხამებული არ არიან ჩვენ დროსთან. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც პროფესორი ამირეჯიბის გამოსვლა. როდესაც საქმე მიდგა მექანიზაციის შემოღებაზე, ამირეჯიბი აშკარად არ წასულა მანქანების წინააღმდეგ, რადგან ეს ამჟამად ძნელი საქმეა, მაგრამ თავის სიტყვაში მაინც აღნიშნა ისეთი ელემენტები, რომლებიც სრულებით არ ეთანხმება ჩვენს პოლიტიკას. ეს საკმაოდ დამახასიათებელია. მე ამ ადგილებს წავიკითხავ, რომ იცოდეთ, თუ ჯერ კიდევ რანაირი აზრები ახასიათებს ჩვენს სპეციალისტებს, რომელთა საშუალებითაც გვინდა გავატაროთ ჩვენი პოლიტიკა. პროფესორი ამირეჯიბი შემდეგს ამბობს:

„საქართველოში, როგორც თქვენ იცით, მეტისმეტად ძნელი პირობებია ნიადაგის მხრით შედარებით სხვა ქვეყნებთან. ეს არის ნიადაგის წარმოშობის სპეციფიური პირობების შედეგი. საქართველო იმყოფება ნიადაგის მასივების მეზობლად, ნიადაგს ახასიათებს კომპაქტობა ხოლო ნიადაგის კომპაქტობა ერთგვარ მოთხოვნილებებს უყენებს მიწის დამმუშავებელ მანქანას. სოფლის მეურნეობაში მანქანა ისეთ როლს არ ასრულებს, როგორც საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში. როდესაც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ არ შეგვიძლია მანქანას ისეთი როლი მივაკუთვნოთ, როგორსაც ის თამაშობს საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ყველაფერი დამოკიდებულია მანქანაზე, მანქანა უნივერსალურია; არხანგელსკში დავდგამთ მას თუ ასხაბადში, ეს მანქანა ერთნაირად იმუშავებს.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მანქანას, მას ასეთი უნივერსალური ხასიათი არა აქვს სოფლის მეურნეობაში. რატომ? იმიტომ, რომ მეტად უმნიშვნელოა მისი მონაწილეობა მცენარის მოყვანაში და ცხოველის გამოზრდაში. აქ სწარმოებს ფიზიოლოგიური პროცესები ჩვენი ნებისყოფის გარეშე. რა მონაწილეობა შეგიძლიათ თქვენ მიიღოთ, როცა მცენარე იზრდება მინდვრად? მცენარეს ასაზრდოებს ნიადაგი, მზე ზრდის მას. თქვენი მონაწილეობა იმაში მდგომარეობს, რომ მცენარეს ცოტად თუ ბევრად ხელისშემწყობი პირობები გაუჩინოთ გასახარებლად. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო მანქანას უნდა ვაფასებდეთ: „იმდენად-რამდენად" რამდენადაც მანქანა პლიუსს გაძლევთ ამა თუ იმ კულტურისათვის, იმდენად ეს მანქანა მისაღებია; რამდენადაც იგი განსაკუთრებულ პლიუსებს არ იძლევა, იმდენად ეს მანქანა სრულიად მიუღებელია".

ეს, ამხანაგებო, სხვა არაფერია თუ არა ერთგვარი ეჭვი მექანიზაციის შემოღების საქმეში სოფლად.

„მონოკულტურის" მოტრფიალე

უნდა ვსთქვათ, რომ ამ გამოსვლას მარტო მე არ ვაფასებ ასე. სპეციალისტმა ავალიშვილმა, უპარტიო კაცმა, სთქვა, რომ ამირეჯიბის გამოსვლა საეჭვოდ ხდის მექანიზაციის საკითხს. ის ამბობს, რომ მანქანების საეჭვოდ გადაქცევა არ შეიძლება, რადგან ისინი საჭირონი არიან სოფლის მეურნეობის ეკონომიკის გარდაქმნისათვის. ამას ამბობს ავალიშვილი, არა კომუნისტი, ისეთივე მუშაკი, როგორც ამირეჯიბი. მან გაიგო, რომ ამირეჯიბის სიტყვის კილო არ შეეფერება იმას, რაც ახლა საჭიროა. მაგრამ პროფესორი ამირეჯიბი უფრო შორს მიდის და თავის გამოსვლაში შემდეგს ამბობს:

„შეხედეთ დასავლეთ საქართველოს. დასავლეთი საქართველო—სამოთხეა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მთელს მსოფლიოში ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც შესაძლებელი მონო-კულტურა. დამისახელეთ სხვა ქვეყანა, სადაც 100 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ნიადაგზე წლითი-წლობით სიმინდს სთესდნენ. ამ ნიადაგს ამუშავებენ უბრალო წესით, სჩიჩქნიან მას და ამოყავთ, მე არ ვიტყვი, უდიდესი მოსავალი მეთქი, მაგრამ მაინც მოსავალი".

ხედავთ, ამხანაგებო, თურმე ჩვენში „სამოთხე, იდეალური ქვეყანა" ყოფილა. წინათ მარქსიზმის ბურჟუაზიული კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ დანია იდეალური ქვეყანა არისო და სიბრძნეს-სიბრძნეზე ალაგებდნენ მანქანების წინააღმდეგ.

ახლა თურმე დასავლეთი საქართველო ყოფილა იდეალური ქვეყანად თავისი სიმინდის „მონოკულტურით". არ ვიცი, ამხანაგებო, თუმცა მე სპეციალისტი არა ვარ, აგრონომი არა ვარ, მაგრამ მაინც მესმის, რომ ასეთ აგრონომიული „ანბანა" არაფრად ვარგა. ჩვენ ახლა ვიცით, რომ საჭიროა გადასვლა მონოკულტურიდან კულტურათა ცვლაზე, რიგრიგობაზე, სწორ თესვათა ბრუნვაზე, პროფესორი ამირეჯიბი კი ანვითარებს სხვა თეორიას „მონოკულტურის", „მონოხარის", „მონოთოხის" შესახებ და სხვა. ასეთი მსჯელობა გვაგონებს ძველ დროს, როდესაც ლენინს ბრძოლა სჭირდებოდა ყველა ბურჟუაზიულ კრიტიკოსთან, რომლებიც გამოდიოდნენ მარქსიზმის წინააღმდეგ ასეთივე საბუთებით, რომ მანქანა არ ვარგა მიწათმოქმედებისათვის იგი უფრო შეეფერება მრეწველობასაო. უდავოა ის, რომ მრეწველობა უკეთესად იყენებს მანქანებს, რომ ტრაქტორები ყველგან არ ვარგა. ჩვენში ისეთი მთიანი ადგილებია, რომ თუ იქ ტრაქტორს აიტან, ჩამოვარდება და დამსხვრევა, როგორც ეს მოხდა შორაპნის მაზრაში.

ხარები და კამეჩები, როგორც ტვირთის მზიდავი ძალა, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნებიან საჭირონი საქართველოს პირობებში, უამათოდ ხოლმად ვერ წავალთ. მაგრამ აქედან ის არ უნდა დავასკვნათ, რომ უნდა უარვყოთ მანქანა იქ, სადაც შესაძლებელი იქნება მისი კარგად გამოყენება საქართველოს პირობებში. ასეთი ლაპარაკი რეაქციონური აზრია, რომელიც გამოხატავს ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტის სულიერ განწყობილებას. ამ სულიერ განწყობილებას უნდა შევებრძოლოთ, რომ სწორი მიმართულება მივცეთ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

რა აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას

ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ვინაიდან საქართველოში მიწის დამუშავების განსაკუთრებით ჩამორჩენილი ფორმებია—რაიონების უმეტესობაში ჯერაც კავი და თოხია გავრცელებული—დაწყებულ იქნეს ფართო მუშაობა მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ფორმებზე (გუთანი, მანქანა) გადასასვლელად".

ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება გუთნების დამზადების გადიდების შესახებ იმისათვის, რომ უახლოეს წლების განმავლობაში რკინის გუთნებმა დაიკავონ ხის კავის ადგილი. ამ ამოცანას, რომელსაც გაძლიერებული ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, საქართველოში არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. აი რატომ არის საჭირო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ხელი ავიღოთ მიწის დამუშავების დრომოჭმულ ფორმებზე—თოხზე და კავზე და გადავიდეთ მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ფორმებზე.

როდესაც ჩვენ სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობას ეცნობიან საბჭოთა ტიპის სპეციალისტები, მათ გამოაქვთ სწორი დასკვნები. ამხ. გენძეხაძე, რუსეთის სოც. ფედ. საბ. რესპ. მიწათმოქმედების კომისარიატის მუშაკი, რომელიც მოიწვია აქ ამხ. ქართველიშვილმა, სრული სისწორით მიუდგა ჩვენი სასოფლო-მეურნეობის ამოცანებს. მას ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა იმას, თუ რა ხდება ჩვენში, და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენში ბევრია ისეთი რამ, რაც ვერ შეუწყობს ხელს სასოფლო - მეურნეობის სწრაფ აღორძინებას როგორც მიწის მოწყობის, ისე მიწის სარგებლობის ფორმების საქმეში. იგი ამბობს, რომ ჩვენ ვერ მივაღწევთ ვერავითარ საგრძნობ შედეგებს, თუ გაგრძელდა, ისევ არევ-დარევა, რომელსაც აქვს ადგილი ამჟამად სასოფლო-მეურნეობაში. აქ, ამ დარბაზში ჩვენ გვაქვს რუკა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ მიდის ჩვენში მიწათმოწყობის საქმე. ამ რუკაზე თქვენ ხედავთ, თუ როგორ შეიძლება ამ ახალი ამოცანების შესრულება. აქ თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად არეულია ერთმანეთში ცალკე მეურნეობათა ნაკვეთები. აქ თქვენ დაინახავთ 50 სხვადასხ. ადგილას მდებარე ნაჭერ მიწებით აჭრელებულ ხალიჩას, ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელია რაიმე გაუმჯობესებულ ფორმის შემოღება. ეს საქმე გამოკეთდება მაშინ, როდესაც მიწა მოიწყობა, როდესაც სათესი ტერიტორია წესიერად იქნება განაწილებული. ეს ამოცანები სდგანან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე, რომელმაც უნდა შესცვალოს თავის მუშაობის გეზი იმისათვის, რათა სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ამხანაგებს გაუადვილონ პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დაყენებული ამოცანების ცხოვრებაში გატარება.

შემდეგ ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია ეხება ჩვენ წყალთა მეურნეობის უაღრესად არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. ეს სრულიად სამართლიანია. ჩვენ მოვინდომეთ დიდი პრობლემების გადაწყვეტა, დიდ მოსარწყავ არხების გაყვანა, მაგრამ ვერ მივაღწიეთ საგრძნობ შედეგებს. მართალია, ამხ. ბაგიროვი ლაპარაკობდა აქ, რომ ჩვენში ყველაფერი რიგზეაო, მაგრამ რომელმა ჩვენგანმა არ იცის, თუ რა ცოტა მივიღეთ ჩვენ ისეთი მიწა, რომელიც მელიორაციის გატარების შემდეგ, გამოსადეგია დასამუშავებლად.

ამხ. გენძეხაძე სავსებით მართალი იყო, როცა აღნიშნავდა: „წყალთა მეურნეობის დაწესებულებები აწარმოებენ დიდ მასივების ამოშრობას და მორწყვას. მიუხედავად იმისა რომ ამ მუშაობას დიდი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს სახალხო მეურნეობისათვის, მე მაინც ვაძლევ ჩემს თავს ნებას ვთქვა, რომ მას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ყოველდღიურ მუშაობას წყლის სარგებლობის საქმის გასაუმჯობესებლად ცალკე სოფლებში. ამ მცირე ყოველდღიური დახმარების გარეშე წყლის სარგებლობის დარგში, მოსახლეობა მოკლებულია შესაძლებლობას აწარმოოს თავისი მეურნეობა". (ამხ. გენძეხაძის მოხსენებიდან).

რა თქმა უნდა, დიდ მოსარწყავ არხების გატარებას აქვს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ მეტ ეფექტს მივაღწევთ მაშინ, როდესაც ეს დაკავშირებული იქნება არსებულ მეურნეობათა მოსავლიანობის ამაღლებასთან. მომავალში მიწათმოწყობის ორგანოები უნდა მოქმედებდნენ მელიორაციის ორგანოებთან ერთად, რასაც დღემდე ადგილი არ ჰქონია.

მეტი ყურადღება დეფექტებს

სასოფლო-მეურნეობის ამაღლების ამოცანათა განხორციელების დარგში პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ეკუთვნის კოოპერაციის განვითარებას, პირველ რიგში სასოფლო მეურნეობისა და საწარმოო კოოპერაციას. ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია სრულიად სამართლიანად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩვენში ძლიერ სუსტად არის განვითარებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომ მისი განვითარება ძლიერ ნელი ტემპით სწარმოებს, განსაკუთრებით მოისუსტებს უღარიბეს გლეხთა კოოპერაციაში გაერთიანების საქმე სპეციალურ კულტურების რაიონებში, და წინადადებას გვაძლევს მივიღოთ ზომები მოსახლ. უფრო მეტად გაერთიანებისათვის კოოპერაციაში. თუ ჩვენ ავიღებთ ციფრებს, ისინი მოწმობენ განსაზღვრულ მიღწევებს კოოპერაციაში გაერთიანების მხრივ. მე გავეცანი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოკვლევის ცნობებს (ამ გამოკვლევებს დიდი ღირებულება აქვს, ამ უკანასკნელ ხანებში ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო პირისპირ მიუდგა სოფლის საკითხებს). და აღმოჩნდა, რომ შეძლებულ მეურნეობათა კოოპერაციაში გაერთიანების ტემპი საგრძნობლად სწრაფია, ხოლო უსახსრო მეურნეობათა რიცხვი კოოპერაციაში გაერთიანებულ მეურნეობათა შორის გაცილებით უფრო ნაკლებია. ეს შეეხება მემინდვრეობის კულტურათა რაიონებს. ეს ციფრები გვაჩვენებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია შემცდარ გზაზე სდგას, როდესაც სასოფლო-მეურნეობის მუშაკები ანგარიშობენ, ისინი აცხადებენ, რომ ყოველივე რიგზეა, რომ პარტიის დირექტივა შესრულებულია და ამბობენ, რომ ამდენი და ამდენი საშუალო და ღარიბულ მეურნეობათა პროცენტია კოოპერაციაში გაერთიანებული. მაგრამ, როდესაც საკითხს ახლო გაეცნობი და დაუკვირდები, ვინ ერთიანდება პირველ რიგში კოოპერაციაში, დაინახავთ, რომ პირველ რიგში კოოპერატიულად ერთიანდებიან სწორედ არა ღარიბესი მეურნეობანი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაკები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ამ გარემოებას და ნაკლებად უნდა ლაპარაკობდნენ თავის მიღწევების შესახებ. იგივე ითქმის კოლექტიურ მეურნეობათა მოძრაობის შესახებ. ამაოდ ცდილობდა ამხ. ცაგარელი დაემტკიცებია ჩვენთვის, თითქოს ჩვენ ამ მხრივ თითქმის პირველნი ვართ საკავშირო მასშტაბით. საზოგადოდ ზოგიერთი აქ გამოსული ამხანაგი ცდილობდა ეჩვენებია, რომ იგი პირველია საკავშირო მასშტაბით და, როცა ჩვენ მიღწევებზე ლაპარაკობდა, თითქმის „მსოფლიო მასშტაბამდე" აღწევდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ძლიერ კარგია, მაგრამ ამავე დროს უნდა ვეცადოთ გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა და გავასწოროთ ჩვენი დეფექტები. ვინ არ იცის, რომ ჩვენ კოლექტიურ მეურნეობებს ბევრი დეფექტები აქვთ, რომელნიც ჯერ არ არიან აღმოფხვრილნი, მიუხედავად იმისა, რომ იყო გამოკვლევებიც და მიღებულ იქნა სათანადო დადგენილებები, ამას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, საჭიროა თავიდან ავიცილოთ დეფექტები და შევქმნათ ისეთი კოლექტიური მეურნეობები, რომელნიც შესძლებენ თავის არსებობის გამართლებას. საჭიროა მოვახდინოთ გარდატეხა კოლექტიურ მეურნეობათა მოძრაობის დარგში და საქმე ისე დავაყენოთ, რომ კოლექტიურ მეურნეობათა მოძრაობას მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი, და ამასთან ერთად მივაქციოთ ყურადღება კოლექტიურ მეურნეობების ხარისხობრივ მდგომარეობას და მუშაობას, რათა ისინი შეეფერებოდნენ თავის დანიშნულებას.. ამ მხრივ ც. კ.-ის რეზოლიუცია სწორედ გულისხმობს კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობის თვისებრივ განვითარებასა და გაუმჯობესებას და, ამავე დროს, გლეხთა მეურნეობის კოოპერაციაში ჩაბმის ტემპის გაძლიერებას.

აი ის ამოცანები, რომლებიც სდგას სოფლის მეურნეობის დარგში.

პარტიის დასაყრდენი ძალა სოფლად

რაც შეეხება მუშაობას სოფელში, უნდა ვსთქვათ, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის რეზოლიუციის მეოთხე თავში ეს ამოცანები გარკვეულადაა აღნიშნული, აქ ნათქვამია:

„სოფლად მუშაობას ჯერ კიდევ აქვს მთელი რიგი დიდი დეფექტები, კერძოდ სრულიად არასაკმარისია მასების საბჭოთა პრაქტიკულ მშენებლობაში ჩაბმისადმი გამოჩენილი ყურადღება.

აღნიშნავს რა ზოგიერთ ორგანიზაციაში მტკიცე ხაზის უქონლობა ლატაკთა შორის მუშაობისა და კულაკობის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში (ფენებად დაყოფის საკითხები შეუსწავლელია, ადგილი აქვს კულაკის როლის მიფუჩეჩებას), წინადადება მისცეს, რათა მომავალში საქართველოს კომპარტიის მუშაობაში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაისვას ლატაკობისა და მოჯამაგირეობის ორგანიზაცია, უწინარეს ყოვლისა სასოფლო-მეურნეობის ახალორძინებელ პრაქტიკულ მუშაობის გარშემო".

ამხანაგებო, რამდენჯერ აღგვინიშნავს ჩვენ რომ მთელ რიგმა ჩვენმა მაზრებმა საკმარისად ვერ შეითვისა ლატაკობისა და მოჯამაგირეობის ორგანიზაციის საჭიროება. ამბობენ, რომ ეს მუშაობა ჩვენში კარგადაა დაყენებული, რომ ჩვენში ყველაფერი რიგზეა. ავიღოთ ოზურგეთის მაზრა, რომლის წარმომადგენლები პლენუმზე გართულნი არიან დიდი თეორიებით, მეტად მოყვარულნი არიან დიდი თეორიების, მაგრამ ხელს არ ჰკიდებენ პატარა საქმეს, არ შეუნიშნავთ ცხვირ წინ, თუ რა ცუდად არის დაყენებული ლატაკების ორგანიზაციის საქმე. ეს მათთვის ძნელი აღმოჩნდა. მე ვფიქრობ, რომ თეორიების განვითარებას ემჯობინებოდა გასწორება იმ კოლოსალური ნაკლთა, რომლებიც ჩვენ გვაქვს ლატაკობის ორგანიზაციის დარგში. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობის დარგში ამოცანათა შესრულების შესახებ, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამას ვერ შევსძლებთ, თუ არ გვეყოლება ის ძალა, რომელზედაც ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ სოფელში, ეს ძალა კი არის ლატაკობა. და აი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, უკანასკნელი გამოკვლევა, რომელიც ჩაატარა ამხ. ბაქრაძემ, — სოფლად მუშაობის განყოფილებიდან,—გვიჩვენებს, რომ ამ დარგში ჩვენ გვაქვს ნაკლთა მთელი რიგი. სოფლად მუშაობის განყოფილება ამჟამად ძალიან ახლო მიუდგა სოფლის საკითხებს. ამ გარემოებას ჩვენ სრულის კმაყოფილებით უნდა მივეგებოთ, რადგანაც ეს გავლენას იქონიებს ჩვენი ორგანიზაციების შემდგომ მუშაობაზე და, ცხადია, ჩვენი ამხანაგები ადგილობრივ გამოასწორებენ დეფექტებს, როდესაც დაინახავენ, რომ ცენტრში ამას ყურადღებას აქცევენ. რომ ოზურგეთის მაზრას არ ვაწყენინო, უნდა ვსთქვა, რომ სხვა მაზრებშიაც ვერაა ყველაფერი რიგზე, აი თუნდაც ზუგდიდის მაზრაში. ამხ. ბაქრაძეს მოჰყავს ფრიად დამახასიათებელი მაგალითი:

„დარჩელის თემში გლეხკომის არჩეულ ორგანოთა (გამგეობა და სარევიზიო კომისია) შემადგენლობაში 10 კაცი შედის, რომელთა შორის 3 კაცი გადარიცხულია ლატაკთა ჯგუფში. უჯრედმა განაცხადა, რომ ყველა ისინი—ლატაკებია; ამის შემოწმება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რა საჭირო იყო ღარიბთა ჯგუფის მოწყობა. გლეხკომის გამგეობის ერთად ერთი წევრი, რომელიც ჯგუფში არ შეიტანეს, აქტიური მუშაკი, კომუნისტი ქალი აღმოჩნდა საშუალო შეძლების ოჯახიდან.

ამნაირად, ისე გამოვიდა, რომ ჯგუფი მოაწყვეს ყველა ლატაკებმა, ხოლო ერთი კომუნისტი ვერ მოჰყვა იმიტომ, რომ ის საშუალო შეძლების ოჯახიდანაა. არის ასეთი „მხატვრული" გადახრები მუშაობაში. წინეთ თუ ისეთს გადახრებს ჰქონდა ადგილი, რომ, როგორც ამხ. პშენიცინი ამბობდა, ლატაკობის სხდომაზე კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდნენ საშუალო შეძლების გლეხები, მეორეს მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც ლატაკების კრებებზე არ უშვებდნენ კომუნისტებსაც კი საშუალო შეძლების ოჯახებიდან. აი, რა გადახრებს აქვს ადგილი. ეს იმას გვიჩვენებს, რომ არ სწარმოებს სისტემატიური მუშაობა, არ სწარმოებს იმის აღრიცხვა, თუ რას აკეთებენ ლატაკთა ჯგუფები და რა კეთდება საერთოდ ლატაკობის ორგანიზაციის დარგში. ამას მოწმობენ თათბირებისა და სამაზრო კონფერენციების ოქმები. თუ ასე ვიმუშავებთ, არავითარი შეკავშირებული ძალა ჩვენ არ გვეყოლება და ამას მოჰყვება ის, რომ ჩვენ ვერ გავუმკლავდებით იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კულაკური მეურნეობები იზრდება, ისინი არსებობენ აფხაზეთსა და კახეთში. კულაკობასთან შეკავშირებული ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა, რომ აგვისტოს აჯანყებამდე და შემდეგშიც ჩვენი ორგანიზაციები აწარმოებდნენ ბრძოლას თავად-აზნაურობასთან, გამოაძევეს ისინი და დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმ თავადთა და აზნაურთა გაძევებას, რომლებსაც საფუძვლიანათ მოუკალათებიათ და დღესაც მოკალათებულნი არიან თავიანთ ძველ ადგილ-მამულში, მაგრამ დაავიწყდათ, რომ საჭიროა ბრძოლა კულაკებთან, რომელნიც ამ აზნაურთა ღვიძლი ძმები და ბიძაშვილები არიან. აი, რად არის საჭირო, რომ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად გაძლიერებულ იქნას კულაკობასთან ბრძოლაც.

ხოლო ამისათვის საჭიროა დარაზმული ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხობასთან მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. სწორედ იმისათვის, რომ კავშირი საშუალო გლეხობასთან მტკიცე იქნეს, უნდა გვქონდეს ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული დასაყრდენი ღარიბი გლეხობის სახით, ვინაიდან საშუალო გლეხობა მერყევი კლასია. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ღარიბ გლეხობის დარაზმვად და საშუალო გლეხობასთან დაკავშირებულად კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აი ეს ამოცანა უნდა დაისახოს საქართველოს კომპარტიამ ერთ-ერთ ძირითად ამოცანად.

თემსაბჭოების სისტემის შესახებ

რაც შეეხება ჩვენი ქვედა საფეხურის ორგანოების მუშაობას სოფლად, ცეკას რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ აგვისტოს გამოსვლების შემდეგ ჩვენში დიდი მუშაობა ჩატარებული და ამან გამოიწვია პარტიის პოლიტიკური გამტკიცება სოფლად. უდავო ფაქტია, რომ ეხლა ჩვენი სოფელი ის აღარ არის, რაც იყო, ვთქვათ 1924 წელს და მანამდე, ეხლა ის სწორედ საბჭოთა სოფლად გადაიქცა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არაა საკმაო. საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ ის პოლიტიკური დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც ჩვენ გვაქვს სოფლად საბჭოების, ღარიბ გლეხების ორგანიზაციების და სხვ. სახით, სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული. აქ სთქვეს, ჩვენი სისტემა სავსებით სწორად ვერ არის აგებულიო, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სათემო ერთეული შეიძლება იწვევდეს სოფელზე მოწყვეტას, ვინაიდან სოფლად, ძირითად ქვედა საფეხურის უჯრედში, არ სწარმოებს მუშაობა საბჭოების გამოსაცოცხლებლად. მე უნდა ვთქვა, პირადათ იმ აზრის ვიყავი, რომ ამჟამად ჩვენ არ უნდა დავარღვიოთ ჩვენი სისტემა, რომლისდაც მას ერთგვარი ტრადიციები აქვს საქართველოში. ამაზე მე ველაპარაკე მრავალ პასუხისმგებელ ამხანაგს და ჩვენ თითქოს შევთანხმდით ამ საკითხში. აგვისტოს გამოსვლების შემდეგ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო დადგენილება, რომ ჩვენ დავბრუნებოდით სათემო სისტემას. მე მგონია, რომ ყოველივე ამის შემდეგ ამ სისტემის გადასინჯვა ეხლა მაინცა და მაინც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს. მაგრამ ერთი კი უდავოა—საჭიროა გაკეთდეს რამე, რომ ჩვენი მუშაობა სოფლად დაკავშირებული იქნეს თემსაბჭოებთან, რათა საბჭოთა მუშაობას, საბჭოების გამოცოცხლებას ყველა გრძნობდეს სოფლად. ამ მხრივ საქმე სავსებით თავის რიგზე ვერ არის. სოფლად მუშაობის განყოფილების გამოკვლევამ, რომელიც ამხ. ხოშტარიამ ჩაატარა, გვიჩვენა, რომ სოფლად სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა სისტემაა. ახალქალაქში არსებობს საბჭოების რწმუნებულთა სისტემა, სხვა ადგილებზე არიან რწმუნებულები, რომლებიც საბჭოების შემადგენლობაშიაც კი არ შედიან. გურიაში მაგალითად, მათ „ქვეკომისარებს" უწოდებენ, სხვაგან—ათის თავებს, ასისთავებს და სხვ. გარკვეული ფუნქციები მათ არა აქვთ. სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა უფლებებით არიან აღჭურვილნი. ზოგგან მათ აქვთ მოწმობების გაცემის უფლება, ზოგგან კი არა. ზოგგან ღებულობენ ჯამაგირს თვითდაბეგვრის წესით, ზოგგან კი არა. ასეთი მდგომარეობა არანორმალურია, უნდა ჩამოყალიბდეს მთლიანი სისტემა. თემსაბჭოები უნდა დაუკავშირდნენ ჩვენს სოფლებს.

საქართველოს ზოგიერთ პუნქტებში ამჟამად არსებობენ სოფლის საბჭოები, სახელდობრ ისეთ პუნქტებში, სადაც მოსახლეობა ერთფეროვანია ნაციონალურად,—ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში. თბილისის მაზრაში მთელი რიგი სოფლის საბჭო ამავე ნაციონალური ნიშნის მიხედვითაა მოწყობილი. სხვაგან სოფლის საბჭოები ეწყობა ისეთ ადგილებში, რომლებიც დაშორებულნი არიან ცენტრზე.

არსებულ სათემო სისტემაში საჭიროა შესწორებათა შეტანა, პირველ ყოვლისა ერთნაირი სახე უნდა მიეცეს სათემო საბჭოების კავშირს სოფელთან, ხოლო მეორეს მხრივ იმ ადგილებში, რომლებიც ცენტრზე დაშორებული არიან, სათემო სისტემა უნდა შევავსოთ სოფლის საბჭოების სისტემით, მხოლოდ ამით არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავადიდოთ ადმინისტრატიული ხარჯები. ამ ცოტა ხნის წინად საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა გამოიკვლია ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი და აღმოჩნდა, რომ მაშინ, როდესაც რ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში და უკრაინაში ადმინისტრატიული აპარატის ხარჯები შეადგენენ 68 ან 75 კაპიკს მოსახლეობის ერთ სულზე, ჩვენში ეს ხარჯი შეადგენენ 1 მან. 44 კაპ. სულზე, ე. ი. ჩვენს ადმინისტ. აპარატზე ორჯერ მეტი იხარჯება, ხოლო თუ ჩვენ კიდევ უფრო შორს წავედით ამ მიმართულებით, ე. ი. თუ კიდევ უფრო გავადიდეთ ეს აპარატი ადგილებზე, ეს იმას გამოიწვევს, რომ ჩვენ 1 მან. 44 კაპ. კი არა, 2 მანეთს და მეტსაც დავხარჯავთ.

ამიტომ ისე კი არ უნდა მოვიქცეთ, რომ გავადიდოთ აპარატი და გავადიდოთ ადმინისტრატიული ხარჯები, არამედ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, რათა გავამარტივოთ, გავაიაფოთ აპარატი, მოვაგვაროთ კავშირი ადგილებთან. თუ ასეთ შესწორებებს შევიტანთ ჩვენს სათემო სისტემაში, დიდ პლიუსს—მივიღებთ საბჭოების გამოცოცხლების დარგში.

კლასიური მტერის ხმა

მე ვამბობდი, რომ ჩვენში ადგილი აქვს გადახრებს სოფლად მუშაობის დარგში. მე აქ მინდა მოვიყვანო ჩვენ მოწინააღმდეგეთა აზრი. მათ სურთ ჩაშალონ ჩვენი მუშაობა. ისინი წინააღმდეგი არიან კოლექტივიზაციისაც, ღარიბი გლეხობის დარაზმვისაც და ჩვენი მუშაობის მთელი სისტემისაც.

ამ ცოტა ხნის წინად ჩვენ მივიღეთ ამ „წრეების" ერთი წარმომადგენლის გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი. გრიგოლ ლორთქიფანიძე ჩამოვიდა საქართველოში, ნახა ზოგიერთი რამ და მოისურვა თავის „შთაბეჭდილებათა" გამოთქმა. ის სწერს სოფლის შესახებ, მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ეს უნდა გვახსოვდეს იმ გადამახინჯებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი აქვს საბჭოთა მუშაობის ხაზით, სასამართლო აპარატის მუშაობის ხაზით.

ჩვენი სასამართლოები დღემდე ვერ მიჩვეულან იმას, რომ სწორად გაატარონ კლასობრივი ხაზი როგორც ქალაქში, ისე სოფლად. სახალხო სასამართლოები და სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციები მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეების გარჩევის დროს ხშირად ძლიერ ზერელედ და მსუბუქად უდგებიან ამ საქმეებს, ვერ ხედავენ კანონის დარღვევას, კიდევაც ამტკიცებენ ასეთ აქტებს და არ სჯიან იმ პირებს, რომლებიც მიწის ყიდვა-გაყიდვას აწარმოებენ. ძლიერ საინტერესოა, რომ ჩვენმა კლასობრივმა მტერმა, როგორც კი ჩამოვიდა ის საქართველოში, მაშინვე მიაქცია ამას ყურადღება. ლორთქიფანიძე ამბობს, რომ გლეხებს უნდა მიეცეს საშუალება გაჰყიდონ ცოტაოდენი მიწა. ცოტაოდენი იყიდონ, გლეხი ქალიშვილს ათხოვებს, ფული ესაჭიროება, საქონლის გაყიდვა არ ივარგებს, მაშასადამე მიწა უნდა გაყიდოსო, ან შავი დღისათვის უნდა ფულიო. სხვა ნივთების გაყიდვას, ისევ მიწის გაყიდვა სჯობიაო. გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვით, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ გლეხები თითქოს ამბობენ:

„ჩემს გემოზე და საჭიროებაზე ვერ გავყიდი, ვერ ვიყიდი, ვერ ვამზითევ, ვერ დავაგირავებ, გადაცვლაც კი შეუძლებელი ხდება".

აი რაზე დარდობს გრიგოლ ლორთქიფანიძე, მისი პროგრამა მიწის საკითხში,—ეს არის ნამდვილი ბურჟუაზიული პროგრამა, კერძო საკუთრების გამტკიცების პროგრამა. ლორთქიფანიძეს, რბილად რომ ვსთქვათ, იმდენი გამბედაობა აქვს, რომ ამბობს, თითქოს ასე ფიქრობს ქართველი გლეხობის 100 პროცენტი და კიდევ მეტიც: „ნუ გაგიცინებათო, ამბობს ის, თუ მე გეტყვით, რომ სოფლის კომუნისტებისა და კომკავშირელების 99 პროცენტი მაინც, როგორც მიწის მუშები, ისე სოფლის ინტელიგენტები, ამავე აზრის არიანო".

ეს, რა თქმა უნდა, ცილისწამებაა ჩვენს გლეხობაზე. ამ ცილს ჩვენს გლეხობას სწამებს მენშევიკი ლორთქიფანიძე, რომელიც თუმცა „რევიზიონისტია", მაგრამ არა ნაკლებ მავნეა, ვიდრე ნოე ჟორდანია. ეს მე არაერთხელ მითქვამს და შემდეგშიაც აღვნიშნავ.

მაგრამ ერთი უდავოა—ამ საკითხში ჩვენ ყველაფერი თავის რიგზე ვერა გვაქვს. მიუხედავათ ამისა, რომ ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხის გამოკვლევის საჭიროების შესახებ და მუშათა და გლეხთა ინსპექციაც თითქოს მუშაობდა ამ საკითხზე, რეალური შედეგები მაინც არა გვაქვს. ჩვენი სასამართლოები ამ საქმეებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, ისინი სამაგალითოდ არ სჯიდნენ იმ პირებს, ვინც არღვევდა მიწის ნაციონალიზაციის პრინციპს. უნდა მივაღწიოთ გარდატეხას ამ საკითხში, რათა ლორთქიფანიძისა და მის მსგავსთა აზრი გასავალს არ პოულობდეს გლეხობის ცალკე ფენებში, რათა ადგილი არ ჰქონდეს ისეთ განწყობილებებს, როცა ამბობენ: „ხომ არ შეიძლება ცოტაოდენი მიწის გაყიდვაო".

ეს იწვევს გენერალური ხაზის გამრუდებას. აი რატომ უნდა ვთქვათ, რომ სასამართლოს ორგანოებმა, მე-15 პარტყრილობის დადგენილების თანახმად ულმობელი ბრძოლა უნდა დაიწყონ მიწის ყიდვა-გაყიდვის ყველა სახის წინააღმდეგ, აგრეთვე უნდა სდევნონ ისინი, ვინც დაარღვევს კანონს ოჯახის ყველა და ყოველი სახის შესახებ.

ამხ. მ. კახიანი

აი ის დავალება, რომელიც უნდა მივცეთ ჩვენს სასამართლოს ორგანოებს ყველა იმ დეფექტის გამოსასწორებლად, რომელიც მათ ამ დარგში აქვთ.

ინდუსტრიალიზაცია და მუშათა საჭიროებანი

ახლა მე გადავდივარ მეორე საკითხზე, ესაა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხი. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ იმ მიღწევებთან, რომლებიც ჩვენ გვაქვს სამრეწველო მშენებლობაში, კერძოდ, ელექტრომშენებლობაში არის კიდევ დიდი დეფექტები, მრეწველობის საქმეში:

„ნედლეულისა და გამსაღებელი ბაზრების გაუთვალისწინებლობა, წარმოებათა დაუტვირთველობა, განსაკუთრებით კი ახლად აშენებულ წარმოებათა და სხვა.

გეგმიანობა და კიდევ გეგმიანობა

ეს, ამხანაგებო, სავსებით სწორი დასკვნაა, თუმცა ზოგიერთი ამხანაგები ამბობენ, რომ ეს ასე არ იყოო. როგორ თუ არ გვითვალისწინებია ნედლეულის გამსაღებელ ბაზრებს, ამბობენ, ისინი, მაშ როგორ ვაშენებთ? საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი სატყეო მრეწველობის დარგიდან, ახალშენებულ საწარმოთა დარგიდან, რომ ვსთქვათ, რომ დღემდე ჩვენმა ორგანოებმა არ იციან საკითხის დროზე დასმა. როდესაც ჩვენ გეგმებს ვაყენებთ, ვცდილობთ, რომ ეს გეგმები სახელმწიფო საგეგმო კომისიაში საჩქაროთ გაგვატანონ, და მერე თვითონვე ვკითხულობთ, თუ რათ მიიღო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ასეთი დადგენილება. უნდა მივაღწიოთ ძირითად გარდატეხას ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში, სოცმუშა ისე უნდა მოაწყონ, რომ არც ერთი შენობა არ იქნას დაწყებული, არც ერთი აგური დადებული მანამდე, სანამ აბსოლიუტურად ცხადი არ იქნება, როგორც ყველა ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციისათვის, ისე ცენტრალური ორგანოებისათვის, რომ ეს შენობა საქართველოს პირობებში რენტაბელური და სწორი, არავითარ პარტიზანობას, კუსტარულად მუშაობას და აჩქარებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. როდესაც ჩვენ საქმეს ვკიდებთ ხელს, კარგად უნდა ავწონოთ ის და, თუ საჭიროა, მოვიცადოთ.

რა ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში? უნდა დავკმაყოფილდეთ თუ არა იმით, რაც გაკეთებულია, თუ უნდა გავაგრძელოთ შემდგომი განვითარება ჩვენი მრეწველობის მსხვილი დარგებისა, ამასთან მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, როგორც ეს ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაშია ნათქვამი, იმ დარგებს, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებასთან. იქ ნათქვამია:

„მრეწველობის ძირითადი დარგების (შავი ქვა, სამთო, სატყეო საქმე) განვითარების გაძლიერებასთან ერთად საჭიროა მომავალში მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივ ს.-სამ. ნედლეულის (მატყლის, თამბაქოს და სხვ.) გადამამუშავებელ დარგებისა და აგრეთვე შინამრეწველობის განვითარებას".

მსხვილი მრეწველობის დარგში ჩვენს წინაშე არის ისეთი ობიექტი, როგორც, მაგალითად, მარგანეცი. დიდი ხანი არაა, რაც მარგანეცის საქმის [illegible] ჩვენს წინაშე, საქართველოს კომუნისტების წინაშე, სდგას დიდი ამოცანა—ხელი მივყოთ მარგანეცის მრეწველობის ორგანიზაციას, რომელსაც, უკვეველად, დიდი მნიშვნელობა აქვს, და ეს საქმე დაუკავშიროთ ფერო-მარგანეცის ქარხანას, რადგან ამისთვის არის ხელსაყრელი პირობები. ამიტომ, მე ვფიქრობ, ამ საქმეს სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი, და ეს საკითხი დავაყენოთ, როგორც ადგილობრივ ორგანოების წინაშე, ისე ცენტრის წინაშე.

უნდა შევქმნათ ეროვნულ უმცირესობათა პროლეტარიატი

მეორე ამოცანაა ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობის განვითარება. ეს დიდი ამოცანაა, რომელსაც საერთო საკავშირო მნიშვნელობა აქვს. ამჟამად ჩვენ ახლო მივუდექით ამ ამოცანას და მივაღწიეთ იმას, რომ ვიწყებთ დამუშავებას ნახშირის ბუდობებისა და აგრეთვე მარაგისას, რომელიც იქ უსაზღვროდ დიდია. ეს საკითხი დაკავშირებულია აგრეთვე შავი ზღვის რკ. გზ. გაყვანასთან, რომელიც შეტანილია ხუთწლიან გეგმაში. ასეთი მსხვილი ობიექტები ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის და, კერძოთ აფხაზეთის, აღორძინებას. ამას უნდა მოვესალმოთ, ვინაიდან, ჩვენ გვეუბნებიან, რომ ავტონომიურ და ნაციონალურ ოლქებში მრეწველობა სუსტად ვითარდებაო, ჩვენ ვუპასუხებთ: „მოგვეცით საშუალება, დაგვეხმარეთ, რომ დროზე განვავითაროთ ეს სამრეწველო დარგები და თქვენ მიიღებთ ინდუსტრიალიზაციას ამ ქვეყნებისა, რომელნიც გიგანტიური ნაბიჯებით წავლენ წინ". გარდა ამისა, ამხანაგებო, აჭარისტანში „აჭნევრსტროი"-ს გამყავს ნავთსადენი, რომელსაც კოლოსალური მნიშვნელობა აქვს. პარტიული ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს. აგრეთვე ხელი უნდა შევუწყოთ ნავთის გადამხდელ ქარხნების აგების დასრულებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა ვიფიქროთ ადგილობრივ ეროვნებათაგან მუშათა კადრების აღზრდის შესახებ. არ შეიძლება ვილაპარაკოთ ისე, როგორც ამბობს ამხ. ა. ფანცხავა, რომ ეს თითქმის შეუძლებელი იყოს. რასაკვირველია, სოც. მშენებლობაში კოლოსალური სიძნელეები გვხვდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ადგილობრივი მუშებიდან კადრის მომზადების ამოცანას. რასაკვირველია, არ შეიძლება მუშათა კლასის ხელოვნურად შექმნა, მაგრამ მუშათა კადრების აღსაზრდელად ეხლავე უნდა იქნას ზომები მიღებული. ამიტომ სწორია აჭარისტანის საოლქო კომიტეტის და საქართველოს ცენტ. კომიტეტის გადაწყვეტილება 30—40 აჭარელის გამოგზავნის შესახებ ბაქოში, რომ მათ იქ ისწავლონ და შემდეგ, როდესაც ქარხნები გაიღება, შესაძლებელი გახდეს მათი დაყენება სამუშაოზე. იგივე ეხება აფხაზეთსაც. არსად არ არის ნათქვამი, რომ პლანტაციებზე, ფაბრიკებში და ქარხნებში მუშაობაში არ უნდა იქნან ჩაბმული მუშები, ეროვნებით აფხაზნი. მართალია, ეს მეტად ძნელი და რთული საქმეა და შრომის ნაყოფიერებაც ხანდისხან ამით ზარალობს, მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ, რაკი ნაყოფიერება ფერხდება, უნდა უარვყოთ აზრი ადგილობრივი კადრების აღზრდის შესახებ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აჭარისტანსა და აფხაზეთში შევქმნათ სამრეწველო მუშათა კადრები ადგილობრივ ეროვნებათაგან.

ტეხნიკური პერსონალი

ამხანაგებო, რაც შეეხება საინჟინერო-ტეხნიკურ ძალებს, ასეთი ძალები ცოტა გვყავს და ამიტომ ჩვენი მუშაობაც ბრკოლდება. აქ ჩვენს წინაშე დგება ამოცანა—მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ შევქმნათ კადრები ახალი ინტელიგენციისა, ახალი სპეციალისტებისა. მაგრამ ეს რამდენიმე წლის საქმეა, დღეს კი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის კადრები, რომლებიც ჩვენ გვყავს. ჩვენ არ ვამბობთ, რასაკვირველია, მავნებლების შესახებ. მავნებლებთან ბრძოლასთან ერთად, უნდა გამოვიყენოთ ყველა სპეციალისტი, რომელიც ამჟამად გვყავს, მოვუაროთ მათ, თუნდაც ისინი არ იყვნენ მთლიანად საბჭოთა ელემენტები; უნდა ვაიძულოთ იმუშაონ საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს ხაზი საჭიროა შევითვისოთ, სხვანაირად ჩვენ თავს ვერ დავაძლევთ იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც სდგას ჩვენი სამრეწველო მშენებლობის დარგში.

საბინაო საკითხები

ამხანაგებო, ჩვენთვის საჭიროა ყოველმხრივი ყურადღება მივაქციოთ იმ მუშების კულტურულსა და ყოფა-ცხოვრების საჭიროებათ, რომლებიც ჩაბმული არიან ჩვენს მრეწველობაში. ამჟამად მრეწველობა ვითარდება, შენდება ფაბრიკები და ქარხნები, მაგრამ ხშირად ივიწყებენ, რომ ამისათვის საჭიროა მუშათა კადრები. და აი, აქ პირველ რიგში სდგება საბინაო საკითხის სიმწვავე, ჩვენი მუშებისათვის ბინების მოუწყობლობა. ეს არის თბილისშიაც და მუშათა პუნქტებში, ტყიბულში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და სხვ. მე მგონია, რომ აქ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ახალ საბინაო მშენებლობას, რადგანაც ძველი ბინები იმდენად ცვდებიან, მათი ფართობი იმდენათ მცირეა, რომ აქედან დიდ ეფექტს ვერ მივიღებთ. უნდა მეტი ყურადღება მივაქციოთ ახალი მშენებლობის განვითარების საქმეს. როდესაც დღეს ფაბრიკებსა და ქარხნებს ვაშენებთ, სანამ [illegible] შევუდგებოდეთ, უნდა გავითვალისწინოთ საბინაო საკითხი, ისე კი არ უნდა მოხდეს, როგორც ეს იყო მარელისში, სადაც ჯერ ფაბრიკა ააგეს და შემდეგ მოაგონდათ ისეთი „წვრილმანი", როგორიცაა ბინა მუშებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მე უნდა ვსთქვა, რომ, როდესაც ჩვენ თბილისში უპატრონო სახლთა მუნიციპალიზაცია ჩავატარეთ, ამან მოგვცა ერთგვარი შედეგები. უეჭველია, როგორც ღონისძიება, სახლების მუნიციპალიზაცია სავსებით სწორია, ვინაიდან მან საშუალება მოგვცა ჩვენ თბილისის აღმასკომის განკარგულებაში მყოფი საბინაო ფონდი აგვეყვანა 14-დან 40 პროცენტამდე და ზევით. ამნაირად ის ფართობი, რომელიც აღმასკომის განკარგულებაშია, გადიდებულია თითქმის ორჯერ. მაგრამ ამასთან ერთად მე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ მთელ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ხაზის გამრუდებას, რადგანაც ხშირი იყო მაგალითები, როდესაც ჩამორთმეულ იქნა არა მარტო მსხვილი, არამედ მეტად წვრილი სახლებიც. ამიტომ საჭიროა ზოგიერთ პატარა შესწორებათა შეტანა ამ დარგსა და მუშათა კლასის ინტერესების მიხედვით სისწორით ჩატარებულ საქმეში.

კულტურული მშენებლობა და ეროვნული საკითხი

ახლა, ამხანაგებო, გადავიდეთ კულტურული მშენებლობის საკითხზე და ეროვნულ საკითხზე. ც. კომიტეტის რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს კულტურული მშენებლობის დარგში, მაგრამ ამავე დროს დიდი განსხვავება არის იმ მაზრების კულტურულ დონეს შორის, რომლებმაც თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგეს წინ და იმ მაზრებისა, რომლებიც მეტის-მეტად ჩამორჩნენ; ასეთი ჩამორჩენილი მაზრები არიან, კერძოთ, ეროვნული უმცირესობებით დასახლებული მაზრები და ავტონომიები.

მეტი დახმარება ჩამორჩენილ რაიონებს

ეს, ამხანაგებო, სრულიად უდავოა, მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომელიც გამოჰყავს ამხ. ბარამიძეს: ვითომც ცენტრალური კომიტეტი უბრძანებდეს ოზურგეთს შეჩერდეს, დაიცადოს ვიდრე დანარჩენი მაზრები არ დაეწევიანო. არა, ჩვენ ოზურგეთს შეჩერებას არ უბრძანებთ. დეე, ის კიდევ წინ წავიდეს, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ, რომ ჩამორჩენილი მაზრები უფრო სწრაფად განვითარდნენ, ვიდრე დღევანდლამდე ვითარდებოდნენ. აი, აქედან რა გამომდინარეობს; როდესაც ბიუჯეტის მიხედვით ფულის განაწილება ხდება, რატომღაც ისე ჰგონიათ, რომ მეტი უნდა მიეცეს იმას, ვისაც ყველაზე მეტი აქვს: თუ შენ მეტი სკოლა გაქვს, მეტი ფული მოგეცეს, თუ მეტი კოლექტიური მეურნეობა გაქვს—მეტი ფული მოგეცეს. ასე ჩვენ ვერაფერს შევქმნით იმ მაზრებსა და ოლქებში რომლებიც უამისოდაც ჩამორჩენილები არიან. ამას წინათ დავესწარი ფულის განაწილებას შინამრეწველობის საჭიროებისათვის. ამბობდნენ, რომ შინამრეწველობა აფხაზეთში არ არსებობსო და თუ მას 5.000 მანეთს მივცემთ, ესეც ბევრიაო. მე უთხარი: „ეს გარემოება თქვენს სასარგებლოდ არ ლაპარაკობს, ვინაიდან თუ აფხაზეთში შინამრეწველობა არ არსებობს, უნდა მიეცეს არა 5.000 მანეთი, არამედ 25.000 მანეთი, რომ იქ რაიმე შეიქმნას, ხოლო შემდეგ, როცა იქ ბევრი რამ იქნება გაკეთებული, ნაკლები ფულის მიცემა შეიძლება".

ჩვენი აპარატის მუშაკებს ისე არა აქვთ ტვინები უჯრედებად მოწყობილი, რომ გაითვალისწინონ: ვისაც რამ ნაკლებად გააჩნია, ვინც უკან ჩამორჩენილია, იმას მეტი მიეცეს, რომ სხვებს დაეწიოს. აი ასეთია ჩვენი საბჭოთა კომუნისტური თვალსაზრისი, და ამაში მე არავითარ ზიანს არ ვხედავ. ეს უნდა შევაგნებინოთ ჩვენს მუშაკებს, მაგრამ ხშირად ასე არ არის საქმე.

ავიღოთ სულ ახლანდელი მაგალითი: სწარმოებდა თესვის კამპანია, მოეწყო კომისია, ყველაფერი, რაც საჭირო იყო, განაწილდა ფული, მერე კი აღმოჩნდა, რომ აფხაზეთს არაფერი მისცეს, ახალქალაქს არ მისცეს. ვეკითხები რატომ არ მიეცით? მიპასუხებენ, განცხადება არ შემოსულაო. იქნებ იქ თესვის კამპანია არ სწარმოებს? შეიძლება სწარმოებს, შეიძლება არც სწარმოებს. ამას ამბობენ პასუხისმგებელი მუშაკები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კომპეტენტური ხელმძღვანელები. რას ჰგავს ეს? ეს არის აშკარა უმსგავსოება, ჩვენი ხაზის აშკარა დამახინჯება.

გაუმართლებელი გულმავიწყობა

პარტიის ცენტრ. კომიტეტი გვავალებს, რომ ბიუჯეტის განაწილების დროს, პირველ ყოვლისა ყურადღება მიექცეს ეროვნულ ავტონომიებს და მათ საჭიროებათა გათვალისწინებას. თუ განცხადება დროზე არ შემოუტანიათ, კეთილ ინებოს აპარატმა და გაისარჯოს. ჩვენ ახლა ელვა ტელეგრამებიც გვაქვს და თუ 10—15 წუთში მოსკოვს გამოველაპარაკებით, რატომ არ შეგიძლიათ შეეკითხოთ აფხაზეთს ან ახალქალაქს, თუ რა აქვთ მათ? საიდანაა ასეთი გულმავიწყობა ზოგიერთი მაზრით მიმართ? (ხმები ადგილებიდან—დაავიწყდათ). დაავიწყდათ იმიტომ, რომ თურმე ახალქალაქის წარმომადგენელი იქ არ იჯდა. უეჭველია მეტი მისცეს სხვა მაზრებს და ოლქებს, რომლებსაც ზოგჯერ ტყუილ-უბრალოდ უყვართ თბილისში ხეტიალი. არ ვარგა, როცა ადგილ. მუშაკები ფიქრობენ, რომ რაც მეტ ხანს სხედან მაზრების წარმომადგენლები თბილისში, მით უფრო მეტ ფულს მიიღებენ. ახალქალაქისა და სხვა მაზრებს, რომლებიც თბილისში მგზავრობით ნაკლებად იწუხებენ თავს, მეტი ფული უნდა მიეცეს, ვინაიდან, ისინი, მაშასადამე, საქმიანი ხალხი ყოფილან, პრაქტიკულ მუშაობას მისდევენ და დრო არა აქვთ, რომ რკინის გზით ავიდ-ჩამოვიდნენ და მალ-მალე ეწვიონ დედა-ქალაქ თბილისს (ტაში). ზოგიერთ ამხანაგებს ეს ჩვეულება უნდა დავავიწყოთ, რაც ძალიან სასარგებლო იქნება ადგილებისათვისაც და ცენტრისათვისაც. მე ვფიქრობ, რომ ამ პლენუმზე ეს უნდა განვაცხადოთ გულწრფელად და [illegible].

დამოკიდებულება ინტელიგენციასთან

გადავდივარ ჩვენი ინტელიგენციისა და მისი სულიერი განწყობილების საკითხზე. სრულიად გარკვევით უნდა ვთქვა, რომ ჩვენი მუშაობის ამ ფრონტზე დიდ გარდატეხას მივაღწიეთ. ჩვენ ახლახან მოვახდინეთ ორი უმაღლესი სასწავლებლის აგრონომიული და საინჟინერო ფაკულტეტების რაციონალიზაცია. საუწყებო ხასიათის წინააღმდეგობის გარდა, რომელიც ყოველთვის არის ხოლმე, იმ კონსერვატიზმის გარდა, რომელსაც განათლების სახალხო კომისარიატი იჩენს ასეთი საკითხების გადაწყვეტის დროს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა საკითხში, ჩვენ აქ საქმე გვქონდა აგრეთვე დამატებით დაბრკოლებასთან, ეროვნულ მომენტებთან; მიუხედავათ იმისა, რომ წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ერთის მხრით, პროფესურის რუსულმა ნაწილმა, მეორე მხრით კი პროფესურის ქართულმა ნაწილმა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ ამ საკითხის გადაჭრა. ეს, უეჭველია, ჩვენი დიდი დამსახურებაა.

რასაკვირველია, ეს გარემოება ადასტურებს ჩვენი პარტიის გავლენას ინტელიგენციაზე, რამდენადაც ჩვენ შევძელით ჩვენი გადაწყვეტილების სწრაფად და უმტკივნეულოდ განხორციელება. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ არა გვყავდეს მტრულად და ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის დიდი რაოდენობა, რომელიც სისინებს და სურს საბჭოთა საქმის წახდენა. ჩვენს წინაშე ამჟამად ამოცანად სდგას ბრძოლის გაძლიერება ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ახლა, როდესაც ჩვენ ვასრულებთ დიდ ამოცანას, როდესაც ვავიწროებთ კერძო ვაჭრებს ქალაქადაც და სოფლადაც, როდესაც ჩვენ შეტევას ვაწარმოებთ კაპიტალისტურ ელემენტებზე,—ნაციონალიზმთან ბრძოლის ამოცანა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან, როცა უტევენ ამ ელემენტებს, შეტევას წინააღმდეგობა მოსდევს, ისინი იწყებენ ჭყივილს და ანთხევენ თავიანთ მტრულ იდეოლოგიას. ეს ხდება საქართველოშიაც. ამ ნაციონალიზმის მაჩვენებელია გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი. იგი ჩვენი კლასობრივი მტერია, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ჰანგები, რასაკვირველია, უფრო სუსტად, გაისმის თითო-ოროლა კომუნისტისაგანაც. ამას ვლაპარაკობდი წინა პლენუმზე. ამას ვიმეორებ ახლაც, რათა ის კომუნისტები, რომლებსაც ასეთი ჰანგები კიდევ გააჩნიათ, ჩაუფიქრდნენ საქმეს და სთქვან: „როდესაც სარკეში ვიცქირები, მე ვხედავ ჩემი კლასობრივი მტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის მახინჯ ფიზიონომიას"-ო.

ლორთქიფანიძის შოვინისტური ჭორი

აი რას ამბობს გრიგოლ ლორთქიფანიძე: „საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის პროცესი მოგვაგონებს იმ სანთელს, რომელსაც თავსა და ბოლოში უკიდია ყალბად გაგებული ინტერნაციონალიზმის ცეცხლი და სწვავს მას. ზევიდან მას უკიდია რუსული „ზაკფედერაციის" ალი, ხოლო ქვევიდან რუსულად და თურქულად სწვავს და აღნობს მას ეროვნულ უმცირესობათა საკითხის არა ინტერნაციონალისტური, არამედ ობიექტიურად ანტიქართული გადაჭრა".

ხედავთ? მას სრულებით არ მოსწონს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მას სრულებით არ მოსწონს, რომ ჩვენში არსებობდნენ ეროვნული უმცირესობანი და რომ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკებთან—აფხაზეთთან და სამხრეთ-ოსეთთან ურთიერთობა გვაქვს რუსული ენის შემწეობით. ის ფიქრობს, რომ ეს აზარალებს ჩვენს „დიდ სახელმწიფოს"—საქართველოს. როგორ? ქართული ენა შეზღუდულია და ისიც საქართველოს ფარგლებში? ზოგიერთ მაზრებთანაც კი (ბორჩალო, ახალქალაქი) მიწერ-მოწერა სწარმოებს არა ქართულ ენაზე. მას აქედან თავისი დასკვნები გამოჰყავს. ამ კაცს, რომელიც დროებით მოვიდა საქართველოში, თავხედობა შესწევს, რომ გვირჩიოს: საჭირო არ არის ამიერ-კავკ. სხვადასხვა დაწესებულება, საჭირო არ არის ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის საბჭო. აქვე უნდა ვსთქვა, დადგენილება სახ. მეურნეობის საბ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ქოს შექმნის შესახებ პარტიამ იმიტომ გამოიტანა, რომ ეს ორგანო სამეურნეო ბაზას შეუქმნის ამიერ-კავკ. ფედერაციას.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა, რომელიც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა წამოაყენეს, სრულიად სწორია და იგი გამოიწვია ამიერ-კავკ. ფედერაციის პოლიტიკურმა და სამეურნეო პირობებმა.

ბოლოს, ეს კაცი ასეთ რეცეპტს გვაძლევს: „საჭიროა ამიერ-კავკ. ფედერაციის გაუქმება და საბჭოთა კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლა, აქედან გამომდინარე შედეგებით“. ეს იმას გულისხმობს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია საჭირო არ არის, ყველა თავ-თავის სახლში უნდა წავიდ-წამოვიდეს, საქართველო კი საბჭოთა კავშირში შევიდეს „აქედან გამომდინარე შედეგებით“. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღგვითქვამს მოქ. ლორთქიფანიძე ყოველმხრივ დახმარებას და „ლოიალურად დაუჭერს მხარს საბჭოთა კონსტიტუციას, იბრძოლებს მისი განმტკიცებისათვის“. ჩვენ ამის პასუხად უნდა განვაცხადოთ, რომ მოქალაქე ლორთქიფანიძის დახმარებაზე უარს ვამბობთ, იგი სრულიად არ გვესაჭიროება, ხოლო ამისთანა პირებს მოშორებით დავიჭერთ. როდესაც ასეთი მავნე და ბოროტი ლაყბობა იწყება, იგი გზას იკვლევს მუშებისა და მშრომელთა წრეში და ზოგჯერ გასავალს პოულობს ჩვენი პარტიის ზოგიერთ ელემენტებშიაც კი, რომლებიც იწყებენ ლაყბობას, რომ ამიერ-კავკასიის ორგანოები გვავიწროვებენ და სხვათ. ყოველივე ამას შეუძლია აშკარა ზიანი მიაყენოს ჩვენს ორგანიზაციებს.

აი ამიტომ ულმობელად უნდა მოვიშოროთ და განვდევნოთ ასეთი ელემენტები. ხოლო საქართველოს კომპარტიამ უნდა განაგრძოს მტკიცე ინტერნაციონალური პოლიტიკა ყოველგვარი შოვინიზმის წინააღმდეგ, ქართული იქნება იგი, აფხაზური, რუსული თუ სხვა. მე მგონია, რომ ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწევთ, თუ გახურებული შანთით არ ამოვწვით ყოველგვარი ნაციონალიზმი. როდესაც ამბობენ, ვთქვათ, აფხაზეთში ჩვენი დადგენილებები სწორ გამოხმაურებას ვერ პოულობენ, ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი ჩვენი ქართული ორგანო სწორად, მოხერხებულად ვერ უდგება ავტონომიურ რესპუბლიკებს. ეს უდაო ფაქტია და ფაქტი, რომელიც მე მოვიყვანე, და მრავალი სხვ. მაგალითი იმას მოწმობს, რომ იქ ერთგვარი უნდობლობა ებადებათ და აფხაზეთში ისეთი კომკავშირელებიც კი მოიპოვებიან, რომლებიც ამბობენ, რომ საქართველო სჩაგრავს აფხაზეთსო. ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ჩვენი ყრილობა და მოვითხოვოთ საქართველოდან ჩამოშორება და საბჭოთა კავშირში უშუალოდ შესვლაო. მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთის კომუნისტების მოვალეობაა, ისეთივე სიმტკიცით, როგორც ჩვენში, ებრძოლონ აფხაზურ ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოხატულებას.

მართალია ეს პატარა ნაციონალიზმია, მაგრამ ისეთივე მავნე, როგორც ქართული ნაციონალიზმი, რომელიც თავს იჩენს ავტონომიური რესპუბლიკების მიმართ.

გავაძლიეროთ ინტერნაციონალური აღზრდა

ამასთან დაკავშირებით, მე უნდა ვთქვა, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას მასების ინტერნაციონალურად აღზრდისათვის, მტკიცედ უნდა გატარდეს ლენინური პოლიტიკა და საშუალება მიეცეს ავტონომიურ რესპუბლიკებს თავის მშობლიურ ენაზე გაიგონ ის, რასაც აქედან ვსწერთ. აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის და აჭარისტანის ყოველგვარ ინიციატივას ამ მიმართულებით ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი. ხოლო ჩვენი განათლების სახალხო კომისარიატი, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ერთგვარ კონსერვატიზმს იჩენს. ჩვენი სახელგამი პირდაპირ უმსგავსოდ იქცევა. ის არ ასრულებს ცეკას დირექტივებს ნაციონალურ ენებზე სათანადო ლიტერატურის გამოცემის შესახებ. ეს ყოვლად დაუშვებელია. ისინი, ვინც ამ საქმეს მეთაურობს, ფორმალურად კი არ უნდა უდგებოდნენ საკითხს, არამედ კომუნისტურად. საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ის დადგენილება, რომელიც გამოტანილია ამ საკითხზე, ვინაიდან ეს საკითხი განსაკუთრებით სათუთი და საფრთხილოა. მე მგონია, რომ თუ ჩვენ ასე მოვიქეცით, თვალსაჩინოდ გამოვასწორებთ მდგომარეობას ამ დარგში და შევქმნით სრულ ურთიერთ გაგებას და ნდობას, რაც ამდენად საჭიროა ცალკე ეროვნებათა განვითარებისათვის საბჭოთა პირობებში.

უვარგისი ბელეტრისტიკა

ამხანაგებო, კულტურის საკითხზე კიდევ უნდა ვთქვა, რომ ჩვენს პროლეტარულ ლიტერატურაშიაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ კიდევ გვხვდება შეუფერებელი კილო. საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ პროლეტარულ მწერლებს უდიდესი მიღწევები აქვთ. პროლეტარული მწერლები თანდათან ხდებიან ხელმძღვანელ ძალად და ბურჟუაზიული მწერლები ამას აშკარად გრძნობენ. საქართველოში პროლეტარული ლიტერატურის განვითარება უდაო ფაქტია. საქართველოს პირობებში ეს დიდი მიღწევაა, მაგრამ ამასთან ერთად გადახრებსაც აქვს ადგილი. მაგალითად, ამას წინად პროლეტარული მწერლების ჟურნალში დაიბეჭდა სამსონიძის მოთხრობა „ბლინძა უვირილაძე“. ეს ძალიან ახირებული სათაურია. ამხ. სამსონიძე ბელეტრისტიკის წერას შეუდგა. ბელეტრისტიკა ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ არის სხვადასხვა ხასიათის ბელეტრისტიკა და აი სწორედ ეს ბელეტრისტიკა სავსებით კარგი ღირსების ვერ არის. ამ მოთხრობაში სამსონიძეს გამჭავს აზრი, თუ როგორ მოხდა გარდატეხა ინტელიგენციაში: ინტელიგენტები ერთხელ შეიკრიბნენ და სთქვეს, რომ ბოლშევიკები მუშები და გლეხები არიან, ინტელიგენტები კი—ნასწავლი ხალხიო. ბოლშევიკებს ნასწავლი ხალხი აკლიათ, მივიდეთ მათთან და ვუთხრათ: თქვენ მუშები და გლეხები ხართ, ქვეყნის მართვა არ შეგიძლიათ, ჩვენ კი, ნასწავლ ხალხს, შეგვიძლია დაგეხმაროთ. ბოლშევიკები დათანხმდებიან და ამრიგად გავაბრიყვებთ მათო. და მეტი არაფერი. აქ თავდება მოთხრობაც და მთელი ზღაპარიც.

აი, როგორ წარმოუდგენია ამხ. სამსონიძეს, თუ როგორ იბრუნა პირი ინტელიგენციამ საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ეს არის ჩვენი ხაზის აშკარა გამრუდება და გადამახინჯება. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გარდატეხაზე ინტელიგენციის შორის, მხედველობაში გვაქვს სერიოზული პროცესი, რომელიც აუცილებლად ხდება ჩვენი სამეურნეო ზრდის საფუძველზე, ჩვენი კულტურული მიღწევების საფუძველზე. ჩვენი სამეურნეო და კულტურული ზრდა არის იმის მიზეზი, რომ ამ ხალხმა პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. სამსონიძე კი ისე გვიხატავს საქმეს, რომ ჩვენ თითქოს მართლაც გაუნათლებელი ხალხი ვართ და კულტურულმა ხალხმა უნდა გვიხსნას. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ასეთ „სიბრძნეს“ და არ უნდა დავუშვათ, რომ პროლეტარული მწერლების ორგანოში ასეთ რამეებს ჰქონდეს ადგილი. ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველგვარ ნაწარმოებს მაინც და მაინც ძალიან არ არჩევენ და ისე ბეჭდავენ. ადგილი არა აქვს შეჯიბრებას, შეჯიბრება კი პროლეტარულ მწერლებს შორისაც უნდა ხდებოდეს. არსად არ არის ნათქვამი, რომ ჩვენ ნიჭს უარვყოფთ ხომ შეიძლება დავუშვათ ისეთი შეჯიბრება, რომ კარგი მოთხრობები იბეჭდებოდეს, ხოლო ცუდი სარედაქციო კალათში ვარდებოდეს. ეჭვს გარეშეა, სამსონიძის მოთხრობა ჟურნალის მაგიერ სარედაქციო კალათში რომ ჩავარდნილიყო, ამით არაფერი ცუდი არ მოხდებოდა. (სიცილი).

ყურადღება ენის სისუფთავეს

აქ აგრეთვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საერთოდ ჩვენს ლიტერატურაში, და კერძოდ საქართველოს პროლეტარულ მწერლობაშიაც ჯერ კიდევ მრავალ დეფექტს აქვს ადგილი, ლიტერატურა კიდევ მოიკოჭლებს. მოიკოჭლებს ქართული ენა, სტილი აშკარად სუსტია. ამას მე მიტომ კი არ ვამბობ, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე გავახარო, არამედ იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ, კომუნისტები, ენის სიწმინდეზე უნდა ვზრუნავდეთ. ლენინი სწერდა, რომ დიადი რუსული ენა დაამახინჯეს და შერყვნეს, ვინაიდან მასში შეიტანეს მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც არავისთვის გასაგები არაა, და უცხო სიტყვები, რომლებიც სრულიად გაუგებარი არიან მუშისა და გლეხისათვისო. ლენინი იცავდა რუსული ენის სიწმინდეს. ასევე ენერგიულად უნდა ვიცავდეთ ჩვენც ქართული ენის სიწმინდეს. როდესაც „კომუნისტში“ კითხულობ მოხსენებებს, სიტყვების და რეზოლიუციების თარგმანს, ზოგჯერ რაღაც უსიამოვნებას გრძნობ. ნუ თუ, მართლაც შეუძლებელია გამოინახოს პარტიის ცენტრალ. ორგანოსთვის ისეთი პირები, რომლებსაც შეეძლოთ რიგიანად სთარგმნონ რეზოლიუცია ქართულ ენაზე. მაგრამ მარტო თარგმანები კი არა, ორიგინალური წერილებიც ზოგჯერ ცუდად იწერება. მე მქონდა ასეთი შემთხვევა: ერთ დაწესებულებაში შევედი, იქ კითხულობდნენ „კომუნისტში“ ერთი ნასწავლი კაცის წერილს. ამ ნასწავლ კაცს უცხო სიტყვები უყვარს. წერილში ეწერა, „კაპიტალის მაგნატები“. ერთი ეკითხება, მეორეს, რას ნიშნავს ეს „მაგნატებიო“, მეორე უხსნის: ალბათ ეს მაგნიტიაო (სიცილი). სწორედ ასე გაიგო ამ კაცმა, რომ არსებობს მაგნიტის კაპიტალი (სიცილი). რა საჭიროა ასეთი „ბრძნული“ სიტყვები? ნუ თუ ქართულ ლექსიკონში არ მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც გასაგები იყოს ყოველი მუშისათვის და ყოველი გლეხისთვის. გაზეთები მათთვის არსებობს, მათთვის იწერება, ამ გაზეთებში ისინი თითონვე სწერენ. უნდა მოვთხოვოთ ჩვენს მწერლებს, რომლებსაც კი უყვართ ჩვენი ენა, და ყველა იმათ, ვისაც სურს ამ ენაზე მუშაობა, რომ მათ სწერონ უფრო ნათლად და მარტივად და მუშათა და გლეხთა ფართო მასებისათვის გასაგებად. ეს სავალდებულო მოთხოვნილებაა, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

პარტიის მშენებლობა და პარტიის ამოცანები

გადავდივარ უკანასკნელი ჯგუფის საკითხებზე—პარტიის მშენებლობისა და პარტიის ამოცანების შესახებ.

კომკავშირში მუშაობის შესახებ ბევრს არ ვილაპარაკებ, რადგან ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაში ნათლადაა ნათქვამი, რომ ჩვენ ამ დარგში დიდი მიღწევები გვაქვს მუშაობის გაღრმავებისა და გლეხთა ახალგაზრდობის მოზიდვის მხრივ. მაგრამ არ სწარმოებს საკმაო მუშაობა მიღწევათა განმტკიცებისათვის. ეს კი არ ნიშნავს იმას, თითქოს კომკავშირის როლი არ გაძლიერებულიყოს სოფლად და ქალაქშიც. სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ კომკავშირის როლის გაძლიერება არ არის საგრძნობი ამჟამად ქართულ სოფელში. ყოველ ადგილობრივ მუშაკს შეუძლია დაადასტუროს, რომ კომკავშირის როლი გაიზარდა, რომ კომკავშირი გადაიქცა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციად. მაგრამ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით ამ მიღწევებით. საჭიროა ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობის ხარისხი არსებულ მიღწევათა განსამტკიცებლად.

სამწუხაროდ, ამას ჯერ არა აქვს ადგილი და კომკავშირს დიდი მუშაობა მართებს ამ მიმართულებით.

რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, წარსულ პლენუმზედაც იყო აღნიშნული დიდი დეფექტები ამ დარგში. დღევანდელ პლენუმზე ამის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია იმ რეზოლიუციის შემდეგ, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა, მე ვფიქრობ, ჩვენი მუშაობა ცენტრში და ადგილებზე უფრო სწორი გზით წავა და დადებით შედეგებს მოგვცემს უახლოეს მომავალში.

მე მინდა შევეხო ჩვენ კავშირს მუშათა და გლეხთა ინსპექციასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიასთან. ჩვენთვის მეტად ძნელია ყველაფერს გავსწვდეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით. ჩვენ ვსაჭიროებთ ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დახმარებას როგორც მასალის გარჩევის საქმეში პარტიისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ხაზით, ისე იმ დეფექტების გამოსწორებაში, რომელთაც ადგილი აქვთ საბჭოთა ხაზით. ამასთან ერთად საჭიროა მოვახდინოთ გარდატეხა ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოთა მიმართ, მივაწოდოთ მათ მეტი მუშაკები, განვამტკიცოთ ეს ორგანოები იმისათვის, რომ მათ მეტი ავტორიტეტი ჰქონდეთ ადგილებზე, რომ მათ ანგარიშს უწევდნენ ადგილობრივი პარტორგანიზაციები. სრულიად დაუშვებელია, მაგალითად, როდესაც ადგილობრივი ორგანიზაციის მდივანი ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს დაუპირისპიროს თავისი თავი ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პარტიის ყრილობაზე არჩეულ ორგანოებს. ასეთი სკანდალური გამოსვლების ახსნა შეიძლება მხოლოდ ყოყოჩობით და იმ ამოცანათა შეუთვისებლობით, რომელნიც გამომდინარეობენ მე-15 პარტყრილობის დადგენილებებიდან. ეს ორგანოები შექმნილნი არიან ამხ. ლენინის აზრით, როგორც ისეთი ორგანოები, რომელნიც კოლოსალურ მუშაობას ატარებენ და მათდამი ზერელე დამოკიდებულება ყოველგვარ გაკიცხვის ღირსია.

მე რამოდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა იმ უახლოეს ამოცანების შესახებ, რომელნიც სდგანან პარტიის წინაშე. მე არ შევეხები პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხს, რადგანაც ამ საკითხის ირგვლივ სწარმოებდა კამათი წარსულ პლენუმზე და ამ საკითხის მდგომარეობა თითქოს ნორმალურია.

დაუნდობელი ბრძოლა ტროცკისტებთან

მე ვფიქრობ, რომ ეხლა უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ტროცკისტულ ოპოზიციის ნაშთებთან. შემცდარი აზრი იქნება ვიფიქროთ, რომ ოპოზიცია სამუდამოდ დასამარებულია. ის ცნობები, რომელიც მოგვეპოვება ამ უკანასკნელ ხანებში, მოწმობენ მუშაობის ერთგვარ გაცხოველებას. ეს შეეხება კავშირის ყველა ნაწილს. თუ თქვენ წაიკითხავთ ამხ. უგლანოვის მოხსენება, თქვენ გაგახსენდებათ, რომ მოსკოვში მთელ რიგ წარმოებებში თავი წამოჰყვეს ტროცკისტებმა. საქართველოში ეს უფრო მოსალოდნელი იყო, რადგანაც ქართველი ტიპის უკლონისტი—ტროცკისტის ყველაზე უფრო გამოუსწორებელი და დამუავებული ტიპია. ქართველი—უკლონისტი—ქართული მენშევიზმის გაუარესებული გამოცემაა. ეს დასკვნა ბუნებრივია.

ჩვენ გავანადგურეთ მენშევიკები, თუმცა ისინი არსებობენ ცალკე ერთეულებად სურებში და სხვა ადგილებშიაც. მენშევიზმი მაინც იჩენს თავს ადგილ-ადგილ და ასეთ მოვლენას ჩვენ უნდა ვებრძოლოთ.

მე უკვე გამოვაქვეყნე ერთი დოკუმენტი, სადაც თავს იჩენს მენშევიზმი—ეს იყო ლორთქიფანიძის წერილი. ხეით დევდარიანი გამოვიდა ამ დღეებში საგეგმო კომისიაში გამართულ თათბირზე და სთქვა, რომ კომუნისტებმა ჯერ მიიღეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა და შემდეგ გადავიდნენ სამხედრო კომუნიზმზე—ამას წინად პურის დამზადება ჩაატარეს საგანგებო წესითო, შემდეგ კი ისევ დაუბრუნდნენ ახალ ეკონომიური პოლიტიკასო.

დევდარიანს აგრეთვე ისეთი დასკვნა გამოაქვს მე-6 კონგრესზე გაკეთებულ მოხსენებებიდან, რომ კაპიტალისტური ქვეყნებში სწარმოებს ერთგვარი აღორძინება და ეკონომიკა სცილდება ომის წინადროინდელ ნორმასო. ამან გაახარა ხეით დევდარიანი, და მან აქედან გააკეთა მისებური მენშევიკური დასკვნები. მენშევიზმი დროგამოშვებით იჩენს თავს ჩვენს სინამდვილეში, ვინაიდან წვრილი ბურჟუაზიული პირობები ხელს უწყობენ მენშევიკური ელემენტების ქიმიურად გამოყოფას. მაგრამ ამავე დროს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს ამჟამად ტროცკისტული ოპოზიცია საქართველოში. მას შეუძლია საგრძნობი ზიანი მოგვაყენოს ქალაქში და სოფლად მუშაობის ხაზით. მე არ ვიტყვი, რომ მას შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს ჩვენი მუშაობის მსვლელობაზე, მაგრამ მას შეუძლია ხელი შეუშალოს ჩვენს მშენებლობას, ჩვენს წინსვლას. ეს ეჭვს გარეშეა, რადგანაც ისინი ლაყბობენ ქალაქში, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ხელფასს დროზე არ იძლევიან, და, თუ რუსეთში ამ ნიადაგზე ადგილი აქვს ერთგვარ უკმაყოფილებას, ჩვენ ძალაზე არ უნდა ვცადოთ აქაც შევქმნათ ასეთი უკმაყოფილებაო. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ ჩვენს დაწესებულებაში, მაგალითად, ლითონის ტრესტში და ტყის ტრესტში აგვიანებენ ხელფასის გაცემას. ასეთი მდგომარეობა ცხადია, არ არის ნორმალური, მაგრამ ამავე დროს მე უნდა ვსთქვა, რომ კომუნისტები არ უნდა აჰყვნენ მათ, არ უნდა ინერვიულონ, რადგანაც ხელფასი ხომ თვეებით არ იგვიანებს. სამაზრო აღმასკომების და რაიონების მუშაკები კი ასტეხავენ ხოლმე ტელეფონების რეკვას და გვეხვევიან გარს საჩივრებით, თითქოს ხელფასი თვეობით იგვიანებდეს. ამით ისინი აღრმავებენ იმ ნერვიულობას, რომელსაც აქვს ადგილი, იმის ნაცვლად, რომ გააქარწყლონ გაუგებრობა და დაეხმარონ ჩვენს სამეურნეო მუშაკებს. სამეურნეო მუშაკებიც ხომ კომუნისტები არიან, ისინი ასრულებენ უაღრესად სერიოზულ მუშაობას, არ შეიძლება მათ დავაკისროთ ყოველივე. სამეურნეო მუშაკი—იგივე პარტიული მუშაკია, ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მან ყოველივე თავის ზურგით უნდა ზიდოს თქვენ კი, პარტიული ამხანაგები, თქვენ—პროფესიონალური მუშაკები ხშირად მთელ დანაშაულს აკიდებთ სამეურნეო მუშაკებს.

ეს ზოგჯერ ხდება ჩვენში (ხმები: „მართალია“) თვითკრიტიკა სრულებით არ გულისხმობს იმას, თითქოს სხვას უნდა აკრიტიკებდე, შენ თავს კი არა. არ შეიძლება ყოველივეს გადაბრალება ადმინისტრაციაზე, დაუშვებელია წაქეზება სამეურნეო მუშაკთა წინააღმდეგ, ეს არ არის სახარბიელო საქმე და აქ საჭიროა დავეხმაროთ ჩვენს სამეურნეო მუშაკებს იმ სიძნელეთა დასაძლევად, რომელნიც აუცილებელია მათ მუშაობაში.

მენშევიზმის უცუდესი გამოცემა

იმ დროს, როდესაც ჩვენში ადგილი აქვს ოპოზიციის მუშაობას, იმ ოპოზიციის, რომელიც მზად არის ხელოვნურადაც კი შექმნას უკმაყოფილება, პარტიულმა ამხანაგებმა უნდა შეიგნონ მდგომარეობის მთელი სირთულე, რადგან სიძნელენი აუცილებელია. ქალაქში ოპოზიცია ცდილობს გამოიწვიოს ბუზღუნი და უკმაყოფილება, სოფელში კი იგი ამბობს, რომ პურის დამზადების საქმე სუსტად მიდის, და მას სიხარულს გვრის ეს გარემოება, თუ მაგალითად, ჩვენი ბორჩალოელი ამხანაგები მოხერხებულად ვერ მოქმედებენ. მე უნდა აღვნიშნო, თუ პურის დამზადების გეგმა ვერ არის შესრულებული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველივე სამაზრო ორგანიზაციებს უნდა გადავაბრალოთ. აქ ცენტრსაც მიუძღვის დანაშაული. არ ჩატარებულა საკმაო მოსამზადებელი მუშაობა ამ დიდი კამპანიისათვის. ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ეს არ ამართლებს იმ მაზრებს, რომლებმაც არ გამოიჩინეს საკმაო სიმტკიცე. ტროცკისტული ოპოზიცია ამას სულ სხვანაირად უყურებს. იგი ამბობს: „თქვენ ხომ ვერ შესძელით პურის დამზადების გეგმის სავსებით შესრულება! გამოვიყენოთ ეს!“ ერთი მხრივ იგი ეწევა დემაგოგიას, რომ საჭიროა დავაწვეთ კულაკს და გამოვალებინოთ მას პური, ხოლო, როდესაც პური არ შემოდის, იგივე გაჰკივის ამის წინააღმდეგ და ავრცელებს პროვოკაციას. ეს წარმოადგენს მენშევიკური ხასიათის პროვოკაციას. ოპოზიცია ცდილობს ჩაშალოს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი.

აი რატომ ვამბობ მე, რომ ოპოზიციონერები მენშევიკებად გადაიქცნენ და საჭიროა ვაწარმოოთ სისტემატიური ბრძოლა მათ წინააღმდეგ. საჭიროა როგორც ამაზე მიგვითითებდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, ვაწარმოოთ ბრძოლა ორ ფრონტზე—ტროცკიზმის წინააღმდეგ და პარტიის იმ ცალკე წევრების განწყობილებების წინააღმდეგ, რომელნიც ივიწყებენ კლასობრივ ბრძოლას, ივიწყებენ მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა გავაძლიეროთ შეტევა სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ორ ფრონტზე წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის აუცილებელ ამოცანას.

ოპოზიცია აწარმოებს პროვოკაციულ მუშაობას ქალაქში და სოფლად, ავრცელებს პროვოკაციას ჩვენ შინაურ პარტიულ საქმეების შესახებ, აქეზებს ერთმანეთის წინააღმდეგ კომუნისტებს, პარტიის ზოგიერთი წევრი კი ხშირად აჰყვება ხოლმე მას და ეწევა უპასუხისმგებლო ლაყბობას. ვისთვის არის ეს საჭირო? აძლიერებს ეს პარტიას? აიარაღებს ეს მუშათა კლასს? აიარაღებს ეს გლეხობის ძირითად მასებს? აიარაღებს საბჭოთა საქართველოს? არა, არ აიარაღებს, პირიქით, ყოველივე ეს მის განიარაღებას ემსახურება. და თუ ეს ასეა, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მათ ბოლშევიკური ოსტატობის ყველა კანონების მიხედვით. ისეთი პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელიც ამოდის ქართული უკლონიზმის წიაღიდან, უნდა შევიარაღდეთ მკვეთრად—ბოლშევიკურად.

წინ, ლენინის დროშით!

საქართველოს კომპარტიამ რამდენიმე წელი გაატარა უკლონიზმთან ბრძოლაში და გამოსჭედა ლენინური იარაღი. საქართველოს კომპარტიას არაფერი დაუკარგავს იმით, რომ სრულებით განდევნა პარტიიდან სამი ასეული გაუსწორებელი ტროცკისტი, ხოლო სამაგიეროდ შეინარჩუნა ის მძლავრი კომუნისტური რაზმი, რომელმაც უნდა აშენოს სოციალიზმი და განაგრძოს მუშაობა ჩვენი უმაღლესი ორგანოსი—საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მკაფიო გადაწყვეტილებათა თანახმად. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს პარტიის წევრთა მთელი მასა შეითვისებს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა დადგენილებას.

მომავალ 5 პლენუმზე უნდა გამოვააშკარავოთ ჩვენი დეფექტები, არ უნდა ჰქონდეს ადგილი უშინაარსო კამათს, არამედ საჭიროა სერიოზულად, ბოლშევიკურად გამოსვლა და თქმა იმისა, თუ რა გვაქვს ჩვენ ცუდი და რა—კარგი.

თუ ჩვენ ჩავატარებთ ამ მუშაობას, უეჭველია, შევასრულებთ იმ პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებსაც გვაკისრებს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, როგორც ვიცით, ჩვენს მუშაობას ბევრი ნაკლი აქვს. ისინი ხელს გვიშლიან ჩვენ. ამ დეფექტების დაძლევით შინაპარტიულ დემოკრატიის განვითარებისა და თვითკრიტიკის მეთოდების საფუძველზე, ჩვენ შემდგომ ნაბიჯს გადავდგამთ საქართველოს კომპარტიის განვითარების გზით, ჩვენ წავსწევთ წინ საქართველოს მუშებსა და გლეხებს სოციალიზმისაკენ. (მქუხარე ტაში).

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-7 ყრილობა

მეექვსე დღე

კვირას, დილის სხდომაზე, ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გერმანიის წითელფრონტელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლეოვი.

ამხ. ლეოვის სიტყვა

ნება მიბოძეთ გერმანიის წითელფრონტელთა კავშირის 200.000 წევრის და გერმანიის მრავალმილიონიან პროლეტარიატის სახელით მივესალმო ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-7 ყრილობას. მე მოვედი აქ, რათა გავეცნო მუშათა მოძრაობას და დავამყარო მასთან მჭიდრო კავშირი. მსოფლიო ბურჟუაზიას ისევე ეჯავრება წითელფრონტელები, როგორც წითელი არმია და საერთოდ საბჭოთა კავშირი, მაგრამ რამდენადაც დიდია ბურჟუაზიის სიძულვილი, იმდენად უფრო მეტად იზრდება გერმანიისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის თანაგრძნობა და სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი.

წითელფრონტელთა კავშირი დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს იმ სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც საბჭოთა კავშირში სწარმოებს.. ჩვენ დიდად გვაინტერესებდა და დაწვრილებითაც შევისწავლეთ საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ. ჩვენც გვიხდება მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიაში. იყო დრო, როცა გერმანიის პროლეტარიატს ხელში ეჭირა ძალაუფლება, მაგრამ მენშევიკების მოღალატეობის წყალობით მუშათა მოძრაობა სისხლში ჩაახრჩვეს და პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები — კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი ქურდულად დახოცეს.

ამჟამად გერმანიის წითელფრონტელთა კავშირის უმთავრესი ამოცანაა ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იმპერიალისტების ამ სამზადისში მსოფლიო მენშევიზმიც აქტიურ მონაწილეობას იღებს. მეორე ინტერნაციონალის ბრიუსელის კონგრესმა მასების თვალის ასახვევად მიიღო ომის საწინააღმდეგო რეზოლიუცია ხოლო გერმანიის მენშევიკ-მინისტრებმა გამოიტანეს დადგენილება ჯავშნოსანის აგების შესახებ.

მიუხედავად ბურჟუაზიის ასეთი გააფთრებული მზადებისა, თუ იმპერიალისტები გაბედავენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ მივმართავთ თქვენს მაგალითს და იმპერიალისტურ ომს გადავაქცევთ სამოქალაქო ომად. გერმანიის პროლეტარიატი საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან მჭიდრო კავშირით შესძლებს ძალაუფლების დაპყრობას. გაუმარჯოს წითელ არმიას, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს.

რკინისგზების დამცველი რაზმის სახელით ყრილობას მიესალმა აგრეთვე ამხ. კოზეევი.

ამხ. ვილლი ლეოვი რკინის გზელთა ყრილობის დელეგატებს შორის: 1) ამხ. ვ. ლეოვი, 2) ამხ. პოზდეევი, 3) რკინისგზელთა პროფკავშირის ცეკას წევრი ამხ. ლაპიერი.

მეშვიდე დღე

გუშინ, დილის სხდომაზე, რკინისგზების ცალკე დარგების ხელმძღვანელებმა: ამხ. აქსენოვმა, აბუაშვილმა, ქავთარაძემ, ლამბაროვმა და ხაჩატუროვმა პასუხი გასცეს შემოსულ შეკითხვებზე. შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პოზდეევმა.

ამხ. პოზდეევის საბოლოო სიტყვა

მთავარი საკითხი, — ამბობს ამხ. პოზდეევი, —რომელსაც კამათში მონაწილე დელეგატები შეეხნენ, იყო სატარიფო რეფორმის საკითხი. ჩვენ გვისაყვედურეს, რომ ახალმა რეფორმამ ჯერ გააუმჯობესა რკინისგზელების ეკონომიური მდგომარეობა და აგრეთვე შექმნა ერთგვარი არევ-დარევა ხელფასის წონასწორობაში. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჯერ რეფორმის გატარება დასრულებული არ არის. 1-ლ იანვრიდან ახალი რეფორმა გატარდება ყველა თანამშრომელზე და შემდეგ ასეთ გაუგებრობას აღარ ექნება ადგილი.

კონფლიქტების გამოწვევაშიაც გვდებენ ბრალს, მაგრამ ხშირად ზოგიერთი თანამშრომელი ისეთ პრეტენზიებს გვიყენებს, რომლის დაკმაყოფილება ჩვენ არ შეგვიძლია. თვითეული ჩვენგანი უნდა გაიმსჭვალოს სახელმწიფოებრივი შეგნებით და სიფრთხილით მოეპყრას სახელმწიფო თანხებს. პირადი ინტერესები საერთო ინტერესებს უნდა ვანაცვალოთ.

სპეცტანსაცმლის შესახებაც ისმოდა საყვედურები, მაგრამ ამაში გზების გამგეობა არაა დამნაშავე, ვინაიდან ბაზარზე ნაკლებად მოიპოვება ისეთი ღირსების საქონელი, რომელიც სპეცტანსაცმლებისათვის გამოდგება და ეს აფერხებს ამ საკითხის მოგვარებას. ასევე ითქმის სარემონტო მასალებზედაც. ხშირად ძალზე ცუდი ღირსების მასალებს გვაწოდებენ და გამომუშავებული პროდუქციაც დაბალი ღირსების გამოდის.

ზოგიერთი დელეგატის სიტყვით, გამგეობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს საბინაო კოოპერაციას. ამ საკითხის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე ჩემს მოხსენებაში. ჩვენ ვფიქრობდით საბინაო კოოპერაციისათვის დახმარება გაგვეწია ცენტრ. კომუნალური ბანკის საშუალებით, მაგრამ ეს არ მოხერხდა. რაც შეეხება მასალების მიწოდებას, მას ვაწვდით ნაღდ ფულზე, როდესაც ასეთი მოგვეპოვება.

ერთ-ერთი დელეგატი შეეხო გამგეობის უყურადღებობას პრესის შენიშვნის მიმართ. ეს სამწუხაროდ მართალია. ჩვენ თვეში პასუხი უნდა გავცეთ მარტო თბილ. გაზეთებში მოთავსებულ დაახლოვებით 2.500 შენიშვ. აქამდე ეს საკითხი მოუწესრიგებელი იყო. ამჟამად ჩემს მიერ დასმულია საკითხი გამგეობასთან სპეციალური ბიუროს ჩამოყალიბების შესახებ 4 კაცის შემადგენლობით, რომელიც ბასთან სპეციალური ბიუროს ჩამოყალიბების შეეხნენ აგრეთვე თანხების გადახარჯვის საკითხსაც და ამაში ბრალი დასდეს გამგეობას. ხაგზაო კომისარიატის კომისიამაც გადაათვალიერა ეს ხარჯები და გამოიტანა დასკვნა, რომ გამგეობას მიუძღვის ბრალიო. ეს გადახარჯვა უმთავრესად გამოიწვია ზედმეტი თანამშრომლების შრომის ხელფასმა, დანარჩენი კი გამოწვეულია ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულ ორთქმავლების შეკეთებაზე დახარჯული ზედმეტი საათებით და არა გამგეობის დაუდევრობით. ორთქმავლების კაპიტალურ შეკეთებას გათვალისწინებულ 13 ათასი საათის ნაცვლად ვანდომებდით 1½ ათას საათს.

მარცხისა და შრომის დისციპლინის საკითხები განსაკუთრებით მწვავედ სდგას აღმოსავლეთ უბანზე. აქ საჭიროა პროფკავშირთან ერთად კამპანიის ჩატარება მუშათა კრებებზე შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

შემდეგ ამხ. პოზდეევი შეეხო რაციონალიზაციის, დაწინაურების და საფ.-საქარხნო სკოლებიდან გამოსულ მუშა-ახალგაზრდობის ადგილებზე მოწყობის საკითხებს და აღნიშნა, რომ ყველა მოკამათენი ერთხმად მიგვითითებენ ჩვენ ნაკლზე, მაგრამ არავის არ დაუსახელებია კონკრეტული ღონისძიებები, თუ როგორ უნდა აღმოვფხვრათ არსებული დეფექტები. ნაკლის აღმოფხვრა, ტრანსპორტის საქმის გაჯანსაღება, შესაძლებელია მხოლოდ გამგეობისა და რკინის გზელების შეერთებული ძალით. აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი თვითეული ჩვენგანის ყურადღება.

—:—

ყრილობამ გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. გრიგორიანმა, საიდანაც გამოირკვა, რომ ყრილობას ესწრება 180 დელეგატი, აქედან 174 მამაკაცია, ხოლო 6 ქალი.

საღამოს სხდომაზე სატრანსპორტო კოოპერაციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აკიმოვმა.

სატრანსპორტო კოოპერაციის საქმიანობა

(ამხ. აკიმოვის მოხსენება).

მუშათა კლასის რეალური ხელფასის შენარჩუნებაში სამომხმარებლო კოოპერაციის როლი დიდია. ა.-კავ. ყველა რკინისგზელის ბიუჯეტი 35—40 მილიონს უდრის. ჩვენმა კოოპერაციამ 10 თვის განმავლობაში შესძლო 17 მილიონი მანეთის საქონლის განაღდება. მაშასადამე 50 პროცენტით დაკმაყოფილება იმ მოთხოვნილების, რომელიც რკინის გზელებს აქვთ. გასულ წელთან შედარებით სქაონლის ბრუნვა 46 პროცენტით გადიდდა. ამ მხრივ გვაქვს მიღწევები, მაგრამ არა საკმაო.

მტკიცეთ ვატარებთ ცხოვრებაში შინავაჭრობის კომისარიატის მიერ გამომუშავებულ ფასებს. გასულ წელს საქონლის ფასები შევამცირეთ 10 პროცენტით. შემდეგში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ეს ფასები ოდნავად გადიდდა, რაც შეეხება მრეწველობის პროდუქტებს, მისი ფასები დარჩა ისეთივე, როგორც შემცირების შემდეგ.

მთელ ხაზზე გვაქვს 222 სავაჭრო პუნქტი, საანგარიშო ხნის განმავლობაში სავაჭროების რიცხვი 65-ით გავადიდეთ. ამით ვაახლოვებთ მომხმარებელს კოოპერაციასთან.

გასულ საანგარიშო წელში აპარატის შენახვად იხარჯებოდა 12 პროცენტი, მიმდინარე წელში შევსძელით მისი 10,7 პროცენტამდე შემცირება. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვიღებთ ზომებს, რომ ეს ხარჯები 5—6 პროცენტამდე დავიყვანოთ.

„ზაკტპო“-ს მთელი თანხები ამჟამად უდრის 4.700 ათას მანეთს. აქედან საკუთარი თანხაა 1.400 ათასი მანეთი. საკუთარი თანხებიდან ვაჭრობაში დაბანდებულია 968 ათასი მანეთი, დანარჩენი კი მოდის ინვენტარზე. საკუთარ თანხის თვითეულ მანეთზე ნასესხები გვაქვს 2 მან. 50 კაპეიკამდე. ნასესხ თანხებში ერთი წლის განმავლობაში ჩვენ მოგვიხდა 127 ათასი მანეთი პროცენტის გადახდა, რაც ზედმეტად დააწვა საქონლის ზედნადებ ხარჯებს.

საპაიო კაპიტალი მე-6 ყრილობის დროს უდრიდა 233 ათას მანეთს, ამჟამად უდრის 361 ათას, ე. ი. გაიზარდა 50 პროცენტით, მაგრამ ჩვენი ამოცანაა საპაიო თანხით შევქმნათ ისეთი კაპიტალი, რომ აღარ დაგვჭირდეს ფულის სესხება. საპაიო კაპიტალი უნდა გროვდებოდეს ხელფასის მიხედვით, ვინც მეტს იღებს, მან მეტი უნდა გადაიხადოს. ეს პრინციპი ყრილობამ უნდა დაადასტუროს. 5 წლიან გეგმაში გათვალისწინებული გვაქვს თვითეული წევრის საშუალო საპაიო კაპიტალი უდრიდეს 40 მანეთს.

შემდეგი საკითხია მომხმარებლის მომარაგება პურით, სურსათ-სანოვაგით და მანუფაქტურით. ამ საქმეში ჩვენ დახმარება უნდა გაგვიწიოს გზების გამგეობამ და პროფორგანიზაციამ.

ამჟამად „ზაკტპო“-ს წევრთა რიცხვი 33 ათას კაცზე მეტია. ვიღებთ ზომებს, რათა ყველა რკინის გზელი გავხადოთ კოოპერაციის წევრათ.

საპაიო კაპიტალის შეგროვების კამპანია დამაკმაყოფილებლად ჩავატარეთ, თუმცა ბაქოს უბანში ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები არაა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კერძო ვაჭრობასთან ბრძოლის საკითხს, ქალთა მასების ჩაბმას კოოპერაციაში, კულტგანმანათლებელ მუშაობას და სხვა.

—:—

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიხსნა კამათი ამხ. აკიმოვის მოხსენების შესახებ.

საძირკვლის ჩაყრა პურის საცხობ ქარხნისათვის

კვირას. 30 სექტემბერს დღის 12 საათზე მოხდა პურის საცხობ ქარხნის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. საძირკვლის ჩაყრას დაესწრო პარტიული, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები და თბ. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ბოლქვაძე.

საზეიმო სხდომა გახსნა მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ერისთავმა.

შემდეგ ილაპარაკა ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბოლქვაძემ, რომელმაც აღნიშნა უკანასკნელ წლებში ქალაქში აღმშენებლობის ზრდა და ხელისუფლების ღონისძიებები ქალაქის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შემდეგ ილაპარაკეს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და კოოპერაციის მუშაკებმა.

დასასრულ საძირკველში ჩატანებული იქნა თუჯის ყუთი, რომელშიაც მოთავსებული იყო თბილისის ყველა გაზეთების—„კომუნისტი“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს, „ზარია ვოსტოკას“, „მუშას“, სომხურ გაზეთის „პროლეტარის“ და თურქულ გაზეთის „ენი ფიკერი“-ს თითო ნომერი და აგრეთვე საცდელ მობილიზაციის შესახებ გამოშვებული ფურცლები. ყუთში აგრეთვე ჩატანებული იქნა წერილი სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ხელის მოწერით. წერილში აღნიშნული იყო, რომ ქარხნის ასაგებათ პირველი მუშაობა დაიწყო საცდელი მობილიზაციის გამოცხადების დღეს და რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთ და იმავე დროს აწარმოებს, როგორც ქვეყნის დაცვის გაძლიერების საქმეს, ისე აღმშენებლობას მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

პურის საცხობი პირველი ქარხანა შენდება ორჯონიკიძისა და ფეიერვერკერის ქუჩების კუთხეში.

ახალგ. კომინტერნის კონგრესის დელეგატები თბილისში

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესის დელეგატთა ერთი ჯგუფი 11 კაცის შემადგენლობით. ჯგუფში შედიან: ამხ. ბადლიჩი (სამხ.-სლავია), ლოვერა, ფრანკი და ბარბისი (იტალია), ანდრე (საფრანგეთი), ფილიპს (ზანგი ჩრდ. ამერიკიდან), მახმუდ (ინდოეთი), ჩარლი ლინჩ (ინგლისი), შეილიკე და ვებერი (გერმანია).

დელეგატების ჩამოსვლის მიზანია გაცნობა კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობასთან.

— ჩვენს ქვეყნებში დაბრუნებისას,—განაცხადეს დელეგატებმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში,—გადაწყვეტილი გვაქვს გავაცნოთ მშრომელ ახალგაზრდობას ყველაფერი ის, რასაც საბჭოთა კავშირში ვნახეთ. ბურჟუაზიულ ახალგაზრდათა ორგანიზაციები საბჭოთა კავშირზე ისეთ ცნობებს აქვეყნებენ თავიანთ გაზეთებში, თითქოს საბჭოთა კავშირის მთელი კულტურულ-ეკონომიური სიძლიერე მარტო ლენინგრადსა და მოსკოვში იყოს თავმოყრილი, ხოლო სხვა ადგილებში საშინელი ჩამორჩენილობა და სილატაკე მეფობდეს. ჩვენ კი მოწმენი ვართ, იმის, თუ როგორ დღითი დღე იზრდება და ძლიერდება სოფელიც და ქალაქიც როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულათ.

ამხ. ლეოვის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან ბათომში გაემგზავრა გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვილლი ლეოვი. თბილისში მან ინახულა ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლები და ესტუმრა ა.-კ. რკინის გზელთა ყრილობას.

ამხ. ლეოვმა თბილისიდან წაიღო მასალები საქართველოსა და ა.-კ. პროფესიონალური ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამხ. ლეოვს განზრახვა აქვს კვლავ დაბრუნდეს თბილისში წითელფრონტელთა კავშირსა და ა.-კ. პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის კავშირის დასამყარებლად.

წითელი არმია მანევრებზე

ტერიტორიალური ნაწილების მანევრები

მანევრები დაიწყო

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიამ დაასრულა ერთთვიანი საერთო ტერიტორიალური შეკრება. დივიზია შეუდგა მანევრების ჩატარებას, რითაც იგი ჯამს გაუკეთებს განვლილ მეცადინეობას და განამტკიცებს შეკრების დროს მიღებულ ცოდნას.

მანევრებზე გასვლამდე თქვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა დივიზიის შტაბის უფროსს ამხ. ნ. ზედევანიშვილს, რომელმაც მანევრების შესახებ განაცხადა შემდეგი:

დივიზია წინასწარ ემზადებოდა მანევრებისათვის, რათა იგი ჩაეტარებინა წარმატებით, ლეგიონებმა მიიღეს დაწვრილებითი მითითებები საორგანიზაციო, ადმინისტრატიულ და სამეო დარგებში. მანევრების მსვლელობის დროს ნაწილებს მიეცემა განკარგულებები და მითითებები ოპერატიულ დარგში.

მანევრები გასტანს ოთხ დღეს.

მიმდინარე მანევრები იქნება მეტად საინტერესო, რადგან დამუშავებული იქნება საბრძოლო ოპერაციების სხვადასხვა სახეები ბრძოლის დროს გამოყენებული იქნება თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ყველა საშუალებები. მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ჯავშნიანი ნაწილები, ავიაცია და ქიმიური ნაწილები.

მანევრები ჩატარდება გორსა და ქარელს შუა.

მანევრების დასაწყისში გაიმართება პარტიზანული ბრძოლა ქვეითი და ცხენოსან ჯარების გამოყენებით. მოეწყობა აგრეთვე საჰაერო-ქიმიური თავდასხმა.

წელს დივიზია მომზადებული გადის მანევრებზე და იმედია, რომ იგი წარმატებით შეასრულებს დასახულ მიზნებს—ამის თავდებია ის გარემოება, რომ ნაწილების პოლიტიკურ მორალური მდგომარეობა საუკეთესოა“.

ე. ხუციშვილი.

ქ. გორი, 1 ოქტომბერი.

გორიდან ქარელამდე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დილის სამი საათია. წვიმამ გადაიღო და არე-მარე უხვად გაანათა სავსე მთვარის სხივებმა.

განგაშის ხმამ ბანაკი გააღვიძა. წითელ-არმიელებმა სასწრაფოდ ჩაიცვეს ტანსაცმელი და სალაშქროდ გამზადებულნი, გამწკრივდნენ კარვების წინ.

— „ნაბიჯით იარ!“—გაისმა განკარგულება და დივიზია გაუდგა გზას.

წითელ-არმიელები მიდიან ჩქარი ნაბიჯით, ჩუმად. არ ისმის არავითარი ხმაური. დივიზიამ ისე დასტოვა გორი, რომ მცხოვრებლებს არაფერი გაუგიათ ამის შესახებ.

განთიადი მოახლოებულია, აღმოსავლეთი ცა შეწითლდა; მზე მალე ამოჰყოფს თავს და სინათლესთან ერთად მოიტანს სითბოსაც.

დივიზიის ნაწილები მიდიან ფრთხილად, ყველა საჭირო ზომების დაცვით, მიღებულია ცნობა, რომ გორიდან მოყოლებული ქარელამდე იმყოფება „მოწინააღმდეგის“ რაზმები, რომლებიც ეცდებიან დაეცნენ მიმავალ ნაწილებს და მიაყენონ ზიანი. მოსალოდნელია პარტიზანული „ომის“ გაჩაღება.

გორის სად. სდგას გასამგზავრებლად გამზადებული ჯავშნიანი მატარებელი. მან უნდა დაიცვას დივიზიის ნაწილები პარტიზანების თავდასხმისაგან და, შესძლების დაგვარათ, უნდა „გაანადგუროს“ პარტიზანული რაზმები.

დივიზიის ნაწილებმა დასტოვეს გორი და გაუხვიეს აღმოსავლეთით ს. ქარელისაკენ. ჯერ კიდევ მოსჩანს ნახევრად დანგრეული, უძველესი გორის ციხე და კარავებისაგან თეთრად აჭრელებული კვერნაკის მთა.

გზა მალე ილევა. ორი—სამი კილომეტრი —და გორი უკვე აღარ მოსჩანს.

გზა მიდის. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ტრიალ მინდორზე. გამოჩნდა გორი—ჯვრის გოგირდის აბანოს ახალი შენობა და იმის ზევით, მთაზე, გორის-ჯვრის ძველი მონასტერი. ერთ დროს ეს მონასტერი დიდათ იყო განთქმული თავისი „ძლიერებით“. აუარებელი მლოცველნი იკრიბებოდნენ აქ გორი-ჯვრობას და მოჰქონდათ ფულთან ერთად უამრავი საკურთხი და შესაწირი. ეხლა კი მონასტერი მიტოვებულია, აღარა ჰყავს მრევლი. გორის მიწის ძვრის დროს ეს მონასტერიც დაინგრა ძირიან-ფესვიანად: ვერ უშველა ძველ კედლებს და მტკიცედ ჩაყრილ საძირკველს „უფლის“ მადლმა და „წმინდა გიორგის“ „ძალამ“. რამდენიმე გორელ მორწმუნეს უნდოდა მონასტრის „რესტავრაცია“, მაგრამ მათაც ამჯობინეს თავისი სახლების კედლების შეკეთება.

გამოჩნდა სადგური სკრა.

პარტიზანებმა იხელთეს დრო და დაეცნენ დივიზიის ერთ-ერთ ნაწილს. გაიმართა „ბრძოლა“. ორივე მხარე მოქმედებდა საუკეთესოდ, მაგრამ პარტიზანები იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ უკან, რადგან ჯავშნიანმა ავტომობილმა დააყარა მათ შრაპნელი.

დივიზიამ, ცოტა ხნის შეფერხების შემდეგ, განაგრძო გზა.

აი სოფელი სკრა, გლეხები მთლიანად მინდვრათ არის გასული, მიწები მოხნულია, ეხლა მინდვრათ გატანილია ფარცხები, მალე დაიწყება რთველი; ვენახებიდან გამოიყურებიან შებრაწული ყურძნის მტევნები.

წითელ-არმიელების ყურადღებას იპყრობს სკრის სახელმწიფო მამული—სანერგე, რომელიც საუკეთესოდ არის მოვლილი და შენახული.

შუადღე მოახლოებულია. ცოტათი ჩამოცხა, შემოდგომის მზეს მაინც და მაინც აღარა აქვს ძალა.

ვუახლოვდებით სოფ. ურბნისს, რომელიც ლამაზად გადმოიყურება მტკვრის მარცხენა ნაპირიდან.

აქ, სადაც ეხლა გაშენებულია სოფელი ურბნისი, ძველად იყო დიდი ქალაქი, ამას მოწმობს თვით სოფლის სახელწოდებაც. ურბს-ლათინურად ქალაქს ნიშნავს. არქეოლოგიურ გათხრების დროს აქ იპოვეს მრავალი ძველი ნივთი და ფულის ნიშნები.

მოსახლეობა მისდევს მევენახეობას და პურის მოყვანას. სახნავი მიწა აქ მცირეა და გლეხობა გადის სოფლიდან სხვადასხვა სამუშაოს საძებნელად.

უკვე გამოჩნდა სად. ქარელი, სადაც დივიზიის ნაწილებმა უნდა შეისვენონ, ნაწილები უახლოვდებოდნენ სოფ. ქვემო-ხვედურეთს. პარტიზანებმა ერთხელ კიდევ ეცადნენ დასცემოდნენ თავს მიმავალ ნაწილებს. „ბრძოლა“ იყო ცხარე, პარტიზანები „იბრძოდნენ“ თავგანწირვით.

ჯავშნიანმა მატარებელმა, რომელიც იმყოფებოდა ახლო, აამუშავა თავისი ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები. გამოჩნდნენ ჯავშან-ავტომობილებიც. პარტიზანები ხელმეორედ გაიქცნენ.

დივიზია დაბანაკდა სოფ. ქარელში.

მტკვარზე, წინასწარ წამოსულ მესანგრე ასეულის მიერ მოწყობილია საუკეთესო ნავტიკებიანი ხიდი, რომელზედაც გადავა დივიზია და გაუდგება გზას სოფ. არადეთისაკენ.

ე. ხუციშვილი.

სად. ქარელი, 1 ოქტომბერი. 1928 წ.

მანევრების დღიური

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ამხ. ლევანდოვსკი მანევრებზე

1-ლ ოქტომბერს დილის 8 საათზე, ს. ქარელში ჩამოვიდა კავკ. წით.-დრ. არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი, რომელიც დაესწრება ტერიტორიალური დივიზიის ნაწილების მანევრებს.

მოძრავი კინოები

სახ. სამხედრო კინო-მრეწველობის ამიერ-კავკასიის განყოფილებამ მანევრებზე წამოიღო ოთხი მოძრავი კინო-აპარატი და რამოდენიმე სურათი. იმ სოფლებში, სადაც ნაწილებს მოუხდებათ დგომა, ნაჩვენები იქნება კინო-სურათები.

კოოპერაცია მანევრებზე

დივიზიის ნაწილებს თან დასდევს სამხედრო კოოპერატივის მოძრავი დუქნები და სასადილო.

დაბანაკების დროს ეწყობა სასადილო და დუქნები ჰყიდიან სხვადასხვა საქონელს.

წითელ-არმიელებს გარდა სამხედრო კოოპერატივით სარგებლობენ გლეხებიც.

„წითლები“ და „ლურჯები“

პარტიზანული „ომის“ შემდეგ დივიზია გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი „ლურჯები“ გავიდა მდ. მტკვარს სოფ. ურბნისის პირდაპირ და დაბანაკდა სოფ. რუისის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობებზე.

„წითლები“ გავლენ მტკვარს ს ქარელთან და დაბანაკდებიან სოფ. არადეთის მიდამოებში.

2 ოქტომბერს, მოხდება შეხვედრითი ბრძოლა „წითლებსა“ და „ლურჯებს“ შორის.

ავიაქიმი მანევრებზე

თავდაცვა-ავიაქიმის გორის ორგანიზაციამ გამოჰყო 60 წევრი მანევრებში მონაწილეობის მისაღებათ.

კორესპონდენტები მანევრებზე

მანევრების მსვლელობის გასაშუქებლად პრესაში, მანევრებს ესწრებიან თბილისის ყველა რუსულ და ქართულ გაზეთების კორესპონდენტები.

რა დაგვანახვა მანევრებმა

(საუბარი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე ამხ. პუგაჩოვთან)

თბილისში ჩამოვიდა ამჟამად შვებულებაში მყოფი საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე ამხ. პუგაჩოვი. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. პუგაჩოვი შეეხო წითელი არმიის უკანასკნელ მანევრებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში და იმ ამოცანებს, რომელთაც ისახავენ ეს მანევრები თავდაცვის თვალსაზრისით.

— წითელი არმიის მანევრები,—ამბობს ამხ. პუგაჩოვი,—თავის ძირითად მიზნათ ისახავენ იმის გამორკვევას, თუ რამდენათ მომზადებულია წითელი არმია ერთად-ერთი პროლეტარული სახელმწიფოს დასაცავად.

ამ მიზნით წლევანდელ მანევრებში ჯარის გამოყვანილი იყო უკანასკნელი ტექნიკური მოწყობილობებით, რათა ყოველი წითელ-არმიელი შესჩვეოდა მათ გამოყენებას, ხოლო უფროსთა შემადგენლობა კი გასცნობოდა სამხედრო ტექნიკის მიღწევების თანახმად შეიარაღებული ჯარის ხელმძღვანელობას. მანევრების შედეგებიდან სჩანს, რომ ეს ძირითადი ამოცანა უკვე მიღწეულია და ჩვენმა წითელმა არმიამ გამოაშკარავა საუკეთესო საომარი თვისებები. ის გარემოება, რომ წითელმა არმიამ მანევრების დროს გამოცდა შესანიშნავად დაიჭირა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აღარ ვიზრუნოთ მისი ბრძოლის უნარიანობის შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის.

უკანასკნელი მანევრები იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ აქ წითელ არმიასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა, პარტიულ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მშრომელი მასის ისეთი მტკიცე კავშირი წითელ არმიასთან, როგორიც გამოაშკარავდა წლევანდელ მანევრებზე, წითელ არმიას გადააქცევს უძლეველ ძალათ, რომელიც ფოლადისებური სიმტკიცით დაიცავს საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას.

ლოვანი ახალი საკითხი წამოაყენეს. ეს ახალი საკითხები მოითხოვენ ყურადღებით დამუშავებას და საჭიროდ ხდიან, რომ მათ შესასწავლად მოვიზიდოთ ყველა სამეცნიერო ძალები—ინჟენრები, ქიმიკოსები, ექიმები და სხვ. მე ვფიქრობ, რომ მიღწეული შედეგების საერთო ფონზე ჩვენ უნდა შევუდგეთ იმ ახალი ელემენტების დამუშავებას, რომლებიც ახასიათებენ ნამდვილ საომარ მდგომარეობას.

ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა ის არის, რომ მთელს ჩვენს შემდგომ ტექნიკურ და სამოქალაქო მშენებლობაში შევიტანოთ ის მოთხოვნილებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამხედრო-საჰაერო თავდაცვის ინტერესებს.

შემდეგ საჭიროა განვუმარტოთ ფართო წრეებს, რომ ომში მონაწილეობის მიღება მოუხდება არა მარტო წითელ არმიას და მუშათა კლასის ორგანიზაციებს, არამედ ყველა მშრომელს,—ფრონტზე მყოფი მებრძოლიდან გლეხის უკანასკნელ კომლამდე. აქედან გამომდინარეობს ძირითადი ამოცანა საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელისათვის: შეისწავლოს სამხედრო საქმე და გაადვილოს თავდაცვის მრავალი მომენტი ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ყოველ შეგნებულ მოქალაქეზეა დამოკიდებული. ეს არის რევოლიუციონური წესრიგის დაცვა და ერთმანეთისათვის ხელის შეწყობა, განსაკუთრებით გაზის საწინააღმდეგო თავშესაფრებით სარგებლობაში, კოლექტიური იქნება ეს თავშესაფარი, თუ ინდივიდუალური.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბაქოს მანევრებში მონაწილეობას ღებულობდა ნახევარ მილიონამდე მოსახლეობა და უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მანევრების ჯერ უნახავი მასშტაბისა, არც ერთ ექსცესს, არავითარ დაზიანებას ადგილი არ ჰქონია. მანევრების მიზანი იყო ბაქოს თავდაცვის ძალების შემოწმება. ავიაცია მხოლოდ ის ელემენტი იყო, რომელიც ჰქმნიდა საომარ მდგომარეობის პირობებს. მომავალი მანევრების დროს ჩვენ ბაქოს წარვუდგენთ თავდაცვის ყველა მოთხოვნილებას, და თავდამსხმელ ავიაციას განვიხილავთ, როგორც „რეალურ“ მტერს. შემდეგ ბაქოს მანევრების საფუძველზე ჩვენ თანდათან მოვემზადებით იმისათვის, რომ ასეთი მანევრები ამიერ-კავკასიის ფედერაციის სხვა ქალაქებშიაც ჩავატაროთ.

ამ ახალ საქმეში ჩვენს პირველ გამოცდილებას უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო წარმატება მოჰყვა. ეს წარმატება იმის საწინდარია, რომ რეალური ომის პირობებში ჩვენ შევსძლებთ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებსაც წამოაყენებს ჩვენს წინაშე ჩვენი პროლეტარული პარტია და საერთაშორისო პროლეტარიატი“. (ადს).

ამხ. ლევანდოვსკი ბაქოს მანევრების შესახებ

ბაქო, 1 ოქტომბერი. ბაქოს საჰაერო-ქიმიური მანევრების შედეგების შესახებ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალმა ამხ. ლევანდოვსკიმ პრესის თანამშრომლებს აცნობა შემდეგი:

„ბაქოში ჩატარებული საჰაერო-ქიმიური განგაში თავისი მასშტაბით და დასახული გეგმით პირველია საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ ავიაციის სამჯერ თავდასხმას, რომელთაგან ერთი ღამით მოხდა. პირველი პირობა, რომელმაც წინასწარ განსაზღვრა განზრახული მანევრების საუკეთესო შედეგები, იყო ის, რომ ბაქოში ჩვენ გვყავს მუშების მტკიცედ დარაზმული მასა. უკანასკნელმა თავისი მორალური ჰავლენით და რევოლიუციონური ენტუზიაზმით, რომელიც გამოიჩინა მან საჰაერო-ქიმიური განგაშის დროს, განსაზღვრა საბჭოთა საზოგადოებრიობის ყველა დანარჩენი ფენის დამოკიდებულება მანევრებისადმი. მეორე პირობას წარმოადგენდა დარაზმული, მტკიცედ შეკავშირებული კომპარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩატარდა მანევრები.

დასასრულ, მესამე პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო წარმატების მიღწევას, დისციპლინიანი და ბრძოლისუნარიანი წითელი არმია, რომელიც მონაწილეობას იღებდა როგორც თავდასხმაში, ისე ქალაქის თავდაცვაში.

როგორია მანევრების მთავარი შედეგები? უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ბაქოს მშრომელი მასების ღრმა შეგნება და უდიდესი დისციპლინა. მანევრებში პარტიული, პროფესიონალური, კომკავშირის, ქალთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობა ამტკიცებს, რომ ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ გადასწყვიტონ საბრძოლო ამოცანები რეალურ საომარ პირობებში. რაც შეეხება წითელ არმიას, ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს დიდი წარმატება სამხედრო გაწვრთნისა და დისციპლინის მხრივ. აგრეთვე უნდა აღინიშნოს წითელი არმიის მიერ თავისი რევოლიუციონური მოვალეობის კლასობრივი პროლეტარული შეგნება.

რა თქმა უნდა,—სთქვა შემდეგ ამხ. ლევანდოვსკიმ,—მანევრებმა მრავალი დეფექტიც გამოააშკარავეს, და მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი ახალი საკითხი წამოაყენეს.

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხი

კამპანიის შედეგები 1-ლ ოქტომბრისათვის

(ამიერ-კავკ. ფინსახკომის ცნობებით)

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით 1-ლი ოქტომბრისათვის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელისმოწერის შედეგები ასეთია: საქართველოში გასაღებულია—5.300.000 მანეთის ობლიგაცია, აზერბეიჯანში—5.500.000 მანეთის და სომხეთში—1.500.000 მანეთის, სულ მთელ ამიერ-კავკასიაში—12.300.000 მანეთის. საკავშირო ფინსახკომის განაწილებით ამიერ-კავკასიაში გასაღებული ობლიგაციების ღირებულება განსაზღვრული იყო 10.500.000 მანეთით, აქედან საქართველოზე მოდიოდა—4 მილიონი მანეთი, აზერბეიჯანზე 5.500.000 მანეთი და სომხეთზე —1 მილიონი მანეთი.

ამიერ-კავკ. ფინსახკომმა ამ თანხას სათადარიგოთ დაუმატა 2 მილიონი მანეთი, ასე რომ ამიერ-კავკ. ფინსახკომის ვარაუდით სულ ამიერ-კავკასიაში უნდა გასაღებულიყო 13 მილიონის ობლიგაცია. მაგრამ ობლიგაციების რეალიზაციის დროს გამოირკვა, რომ სესხის განაღდების საქმე უფრო მეტი წარმატებით მიდის, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო და სესხის კამპანიის დასასრულისათვის ამიერ-კავკასიაში წინასწარ განსაზღვრულ თანხაზე (10.500.000 მან.) 40—50 პროცენტით მეტი იქნება გასაღებული.

სესხის რეალიზაცია დიდის წარმატებით მიმდინარეობს უმთავრესად დიდ ქალაქებში (თბილისი, ბაქო, ერევანი). თბილისში, 1-ლი ოქტომბრისათვის განაღდებული იყო — 3.200.000 მან. ობლიგაციები, ბაქოში — 4.500.000 მან. და ერევანში 1 მილ. მანეთის. შედარებით უფრო ნელის ტემპით სწარმოებს სესხის რეალიზაცია სასოფლო ადგილებში. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ სოფლად სესხის კამპანიისათვის მზადება გვიან დაიწყო. დღემდე საქართ. მაზრებში გასაღებულია — 1.700.000 მანეთის ობლიგაცია, აზერბეიჯანის სოფლებში—1.000.000 მან. და სომხეთის სოფლებში—500.000 მანეთის.

აქედან ობლიგაციების 75 პროცენტი მოდის სამაზრო ცენტრების მუშა-მოსამსახურეებზე, ხოლო 25 პროც. გლეხ მოსახლეობაზე.

იმ მიზნით, რომ სოფლად დაჩქარებულ იქნეს სესხის კამპანიის განვითარება, გადაწყვეტილია გაძლიერდეს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა. სესხისათვის ხელისშემწყობ სამაზრო კომისიებს წინადადება მიეცათ გამართონ საუბრები სესხის მნიშვნელობის შესახებ და გლეხთა მასებს აუხსნან სესხის მნიშვნელობა.

ალავერდის ბაზრობა

თელავი, 30 სექტემბერი. 26 სექტემბერს ალავერდის ბაზრობაზე, რომელმაც მიიზიდა 10.000 კაცი, უმთავრესად გლეხები და მთიულები, მოხდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა. გამოფენის პავილიონი გაშიმული იყო რამდენიმე ათეულ საჟენზე. გამოფენილი იყო 3.000-მდე სასოფლო-სამეურნეო ექსპონატი. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, კახეთის აღმასკომმა, აღმასკომის მამულების ტრესტმა, ურიათუბნის საცდელმა სადგურმა, „საქართველოს აბრეშუმმა“, 10 აგროუბანმა, 6 სასოფლო სამეურნეო ამხანაგობამ, 5 არტელმა და მრავალმა გლეხმა. განსაკუთრებით კარგად იყო წარმოდგენილი მევენახეობისა და მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, ტექნიკური კულტურების და მებოსტნეობის განყოფილებანი.

ნაშუადღევის 4 საათიდან აგრონომები პავილიონებთან განუწყვეტლივ განმარტებებს აძლევდნენ გლეხებს. გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გამოფენასთან მოწყობილი იყო რადიო და კინო. უჩვენებდნენ სასოფლო-სამეურნეო სურათებს. მოხდა ტრაქტორების და სას.-სამეურნეო მანქანების დემონსტრაცია. დახხეს ღარიბების მიწები.

27 სექტემბერს, 12 საათზე, გაიმართა დოღი; რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მიწსახკომის ცხენებმა. მეორე შეჯიბრებაში გაიმარჯვა ხევსურის პატარა, უშნო ცხენმა, რომელმაც კილომეტრის სამი მეოთხედი 5 წამში გაირბინა.

საგამოფენო კომიტეტმა გამოჰყო განსაკუთრებული კომისია ექსპონატების დასაჯილდოებლად. პრემიებად დარიგდა: 1 ტრიერი, რომელიც მიიღო ხევსურების არტელმა მერძეობისათვის, 2 გუთანი, 5 აპარატი ვერძორეულისა, დარიგდა ათზე მეტი ქების ფურცელი.

გლეხებმა არავითარი ინტერესი არ გამოიჩინეს „ალავერდობისადმი“, როგორც ეკლესიის დღესასწაულისადმი. (ადს)

საქ. ახ. ლენინ. კომკავშირის თბილის კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, სახ. ლენინის ოპერის შენობაში მოწვეულია

საქ. ახ. ლენინელთა კომკავშირის თბ. ორგანიზაციის

აქტივის საერთო საქალაქო სხდომა

დღის წესრიგშია: ახალგაზ. კომინტერნის აღმასკომის გენერალური მდივნის ამხ. ხითაროვის მოხსენება ახალგ. კომინტერნის მე-5 კონგრესის შედეგების შესახებ.

სრულ. საკავშირო ახ. ლენინ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, ც. კ.-სა, თბილისის კ-სა და სარევ. კომისიის წევრები კრებაზე შედიან თავისი მანდატებით; დანარჩენები—იმ ბილეთებით, რომლებიც დარიგდება სათანადო სარაიონო კომიტეტებში.

საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილ. კომ. პასუხისმგებელი მდივანი აზარაშვილი.

მუშკორთა საყურადღებოდ

დღეს საღამოს 7 საათზე, რედაქციის ბინაზე მოწვეულია ჩვენი გაზეთის იმ მუშკორების თათბირი, რომლებიც მიმაგრებული არიან კედლის გაზეთებზე მუშაობის გამოსაკვლევად. მუშკორებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის მოკლე ანგარიში

ქრონიკა

საკავშირო თათბირი საბჭოების არჩევნების შესახებ

საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხების განსახილველად ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნება საკავშირო თათბირი, რომელზედაც საქართველოდან გაიგზავნა 5 დელეგატი. მათ შორის საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებიდან ამხ. კვირიკაშვილი, აჭარისტანიდან— **ზოიძე**, აფხაზეთიდან— **ფიულ აზიზოვი**, თბილისის აღმასკომიდან—აკოფოვი და ერთი თემის მუშაკი გორის მაზრიდან.

საფრანგეთის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან კავკავში გაემგზავრა საფრანგეთში არსებული საბჭ. კავშირის მეგობართა საზოგადოების დელეგაცია. დელეგაციამ თბილისში, გარდა გამსახლისა და ზაჰესისა დაათვალიერა ქალაქის წარმოებები და ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხნები.

გზათა დამცველი რაზმის მე-6 წლის თავი

გზათა დამცველი რაზმის მე-6 წლის თავზე, 30 სექტემბერს საზოგადოება „დინამოს“ პლაცზე გაიმართა ამიერ-კავკასიის რკ. გზათა და ამიერ-კავკასიის ნავთსადგურთა დამცველი რაზმის ნაწილების აღლუმი. აღლუმზე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა თბილისში ჩამოსულმა გერმანიის წითელი ფრონტელების კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ლეოვმა, რომელსაც უპასუხა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. პოზდეევმა. იმავე საღამოს ქავთარაძის სახელობის კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა.

ამხ. ცაგარელის გამგზავრება

ამ დღეებში მოსკოვში გაემგზავრა კოლმეურნეობათა ცენტრის პრეზიდიუმის სხდომაზე დასასწრებათ ამხ. ვ. ცაგარელი.

აგრონომების ექსკურსია

მიწათმოქმედების კომისარიატი პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან ერთად რ. ს. ფს რ.-ის სასოფლო-მეურნეობის ცენტრალურ ადგილებში აწყობს სამაზრო და რაიონულ აგრონომების ექსკურსიას. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ 16 მაზრის აგრონომები: ექსკურსიის მარშრუტი: ყირიმი, ოდესა, მოსკოვი, ხარკოვი და სხ.

სასტუმროების ტრესტი

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების განკარგულებაში არსებული სასტუმროები დღემდე იჯარით გადაცემული იყო კერძო პირებზე, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სასტუმროების მოვლის საქმეს. გარდა ამისა ზოგიერთი სასტუმრო გადაქცეული იყო გარყვნილების ბუდეთ. საერთოდ სასტუმროები ანტისანიტარულ პირობებში იმყოფება.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ეს აღნიშნული მდგომარეობა, დაადგინა: სასტუმროები ჩამოერთვას კერძო მოიჯარადრეებს და მოეწყოს სასტუმროების ტრესტი.

თბილისის აღმასკომში

◆ **მილიციონერების** საერთო საცხოვრებლის მოსაწყობათ თბილისის აღმასკომმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას ადმინისტრატიულ განყოფილებას გადასცეს ერთ-ერთი სასტუმრო.

◆ **მუშათა თეატრისათვის** თბილისის აღმასკომმა დოტაციის სახით გადასდო 38.000 მანეთი.

◆ **განთავისუფლება გადასახადისაგან.** თბ. აღმასკომმა დაადგინა განთავისუფლებულ იქნეს ადგილობრივი გადასახადისაგან ქალაქში სოფლებიდან სამუშაოდ ჩამოსული მეურმე გლეხები.

◆ **თბილისის მეხანძრეთა** რაზმს აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ამიერიდან ეწოდება „თბილისის ხანძრისაგან დაცვის სამმართველო“.

◆ **სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახელოსნოების** გასაფართოებლად თბილისის მაზრაში აღმასკომმა გადასდო 700 მანეთი.

◆ **თბ. მაზრის გლეხკომებს** თბილისის აღმასკომმა დოტაციის სახით გადასცა 8741 მანეთი.

◆ **აგურ-ქარხნების** მექანიზაციისათვის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ აღმასკომიდან გამოითხოვა 150.000 მანეთი.

◆ **ბავშვთა მეგობართა** საზოგადოებას თბილისის აღმასკომმა ყოველთვიური დახმარება გაუდიდა 10 პროცენტით.

სხვადასხვა

◆ **ქართული ენის კაბინეტში** (მე-14 შრ. სკოლა) დღეს საღამოს 6 საათზე შესდგება ქართული ენის მასწავლებელთა კრება.

◆ **ახალი საბავშვო მოედნები.** პროფსაბჭომ გადასწყვიტა პროფკავშირის წევრთა ბავშვებისათვის გახსნას ახალი საბავშვო მოედნები.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები:** ესენტუკიდან—არუთინოვს, სლავიანსკიდან — ორლოვს, ქუთაისიდან — მანჯავიძეს, ბაქოდან — პეკანოვს, ხონიდან—ქუთათელაძეს.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

სახელმწიფო თურქული დრამა

თურქული დრამის დასი უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას. რეპერტუარში შეტანილია 11 ორიგინალური პიესა და 22 თარგმნილი. დასის შემადგენლობა შემდეგია: ქალები—ალიხანოვა, ნვარდ ხანუმ, ბეგლიაროვა თარლან, გაბჯისკაია ფატმა, კულიევა ხანუმ, ოლინსკაია ნინა; ვაჟები— აბასოვი, ალიევი, აფშანლი; ჯუმ-ჯუმა, გუსეინოვი, ყურბანოვი; მამედოვი; შირვანლი; ოსმანლი; ხალილოვი; შეხსაბახლი, ემინ-ბეილი; რეჟისორი და სამხატ ნაწილის გამგე: მ. ქერბან-შახლი, მხატვარი—ოსტაპოვი.

სეზონი გაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

—:—

◆ **პანაიტ ისტრატის „კირა კირალინა“ ქართულად.** ტიციან ტაბიძემ გადმოთარგმნა პანაიტ ისტრატის „კირა კირალინა“. წიგნს სცემს გამომცემლობა „შრომა“. ქართული გამოცემისათვის პ. ისტრატიმ დასწერა სპეციალური წინასიტყვაობა.

◆ **მოხსენება ტოლსტოიზე.** შაბათს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში ამხ. ლისოვსკი წაიკითხავს მოხსენებას ტოლსტოის შემოქმედების შესახებ.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში.** 5 და 6 ოქტომბერს დანიშნულია შეჯიბრება ქართულ კვარტეტის პირველ ვიოლონისტის ადგილზე.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს ფაფაზიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“.

გეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ წელს სხვადასხვა რაიონებში გაგზავნა რამდენიმე გეოლოგიური ექსპედიცია სხვადასხვა სახის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოსაკვლევად.

კუდაროს რაიონში (სამხ.-ოსეთში) მუშაობს ერთი ასეთი ექსპედიცია, გეოლოგიის პროფესორ **ბოგაჩოვის** ხელმძღვანელობით. ექსპედიცია სწავლობს ტყვია-ცინკის მადნების მდებარეობის რაიონს. რომლის დაგეგმვაც უკვე დამთავრებულია. მადნების რაიონში გაყვანილია ახალი გვირაბები, ამოღებულია ორმოები და თხრილები. აღნიშნულ სამუშაოთა მიზანია გამორკვეულ იქნეს მადნეულობის მთავარი ბუდობების ადგილები.

სოფ. გუმბრის მახლობლად (ქუთაისის მაზრა) მუშაობს მეორე ექსპედიცია ინჟ. **კამპანიონის** მეთაურობით. აღნიშნული ექსპედიცია აწარმოებს ფლორიდინის მადნების მარაგის გამოანგარიშებას და ფლორიდინის ახალი ნიმუშების გაშინჯვა-შესწავლას.

მესამე ექსპედიცია მუშაობს ბიტუმის მადნის შესასწავლად ნატანების რაიონში. ექსპედიციას ხელმძღვანელობს გეოლოგი **ბახტაძე.** აღნიშნულ რაიონში სწარმოებს ადგილების ამორჩევა ბიტუმის ამოსაღები ჭაბურღილებისათვის და მადნის მარაგის გამოკვლევა. მადნის მდებარეობის აგეგმვა უკვე დასრულებულია.

შავი ზღვის სანაპიროებზე, ნატანებს და სუფსას შუა სწარმოებს მაგნიტური რკინაქვიშის მადნების გამოკვლევა. აქ მუშაობას აწარმოებს უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთაგან შემდგარი ექსპედიცია გეოლოგ **კონიუშევსკის** ხელმძღვანელობით.

შემოდგომის თესვა

თბილისის მაზრაში

თბილისის აღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების ცნობით თბილისის მაზრაში შემოდგომაზე უნდა დაითესოს სულ 40.000 ჰექტარამდე მიწა. შარშან დათესილი იყო 83.000 ჰექტარი. ამჟამად მთელს მაზრაში მიწების მოხვნა სავსებით დამთავრებულია და ამ დღეებში დაიწყება თესვა.

მაზრისათვის გარდა ადგილობრივ დამზადებულ თესლისა, გამოთხოვილი იყო 80.000 ფუთი სათესლე მასალა. აქედან დღემდე მიღებულია და ადგილებს შორის განაწილებულია მხოლოდ 10.000 ფუთი.

ასე რომ თუ თესლი საჭირო რაოდენობით არ იქნა მიღებული თავის დროზე, მოსალოდნელია კამპანიის შეფერხება.

დღემდე მაზრაში განაწილებული იქნა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო მანქანები: 3 ტრაქტორი, 264 გუთანი, 17 ფარცხი, 2 სათესი მანქანა და 1 ტრიერი. გარდა ამისა მაზრაში არსებულ გამქირავებელ პუნქტებს მოეპოვებათ 194 გუთანი და ორი ტრაქტორი.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების განკარგულებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, კოლექტივების მიწების მოხვნის შემდეგ გამოყენებული იქნა ღარიბებს გლეხების მიწების დასამუშავებლად. ამ რიგათ მაზრაში ამჟამად დახნულია ყველა ნაკვეთები, საჭიროა მხოლოდ თესლი, რომ ყველა დახნული მიწები დაითესოს.

თესვის კამპანიის ჩასატარებლად კოლექტივებს სესხად დაურიგდა 11.000 მანეთი, ხოლო ღარიბებს გლეხებს შორის ინდივიდუალურ სესხის სახით განაწილებული იქნა 5.200 მანეთი.

კოლმეურნეობათა ცენტრში

ტრაქტორები შემოდგომის თესვისათვის

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ, შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად გაანაწილა 15 ტრაქტორი. აქედან თბილისის მაზრას მიეცა 3, გორის მაზრას—4, კახეთის მაზრას —4, ბორჩალოს მაზრას—1, ხოლო დანარჩენ სათეს რაიონებს—3.

ახალი კოლექტივები

საქართველოს ეკ. საბჭოსთან არსებულ საკოოპერაციო სამმართველოს კოლეგიამ ამ დღეებში განიხილა და დაამტკიცა შემდეგ კოლექტივების წესდებები.

თბილისის მაზრაში განხილულ და დამტკიცებულ იქნა 7 სას. სამ. არტელის წესდება 3 მერძევეთა არტელის, ერთი მეღვინე-მევენახეთა ამხანაგობა და ერთი მონადირეთა კოლექტივი. კახეთის მაზრაში—2 მერძევეთა არტელი, 2 სას.-სამ. არტელი და ერთი საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა. ქუთაისის მაზრაში— ფეხსაცმელების დამამზადებელი არტელი და ერთი მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა. გორის მაზრაში—6 სას.-სამ. არტელი, ორი საზოგადო შრომის ამხანაგობა. ბორჩალოს მაზრაში—2 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა. ახალქალაქის მაზრაში—ორი მეთევზეთა არტელი. სენაკის მაზრაში—ერთი სასოფლო-სამეურნეო არტელი, ოზურგეთის მაზრაში— დაუმტკიცა წესდება ამხ. ფ. მახარაძის სახელობის სას.-სამეურნეო არტელს.

რკინის გზეზე

დაჯახება

30 სექტემბერს, სადგ. ხარაგოულში ორთქლმავალი № 1498, რომელსაც მართავდა მემანქანე **განძელი** დაეჯახა, სადგურის მეოთხე ხაზზე მდგომ ვაგონებს. დაჯახების გამო ლიანდაგს ასცდა 2 ვაგონი. აღნიშნული შემთხვევის გამო მოძრაობა შესწყდა ორ ხაზზე. სწარმოებს კვლევა-ძიება.

შემთხვევა ბაქოში

ქ. ბაქოს მეორე სადგურში, მანევრების დროს ერთი მატარებლის შემადგენლობა დაეჯახა მეორე მატარებელს. დაჯახების გამო ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი და ორი დახურული ვაგონი. დაჯახების დროს ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

სასამართლო

გამფლანგველის გასამართლება

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გაარჩია სამსონ მიხეილის ძე ბეკურაშვილის საქმე.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ბეკურაშვილს 1926 წლის ოქტომბრიდან 1927 წლის ოქტომბრამდე ეჭირა ცეკავშირის სტამბის გამგის თანამდებობა.

ბეკურაშვილი ამავე დროს ასრულებდა მოლარის თანამდებობასაც. ერთი სიტყვით, მთელი სტამბის ბედი მის ხელში იყო. დაკვეთების მიღება, დაწესებულებებიდან დავალიანების ანგარიშში თანხების მიღება, დავთრებში გატარება, ფულის შენახვა და სხვ. ოპერაციები ბეკურაშვილის ხელში იყო.

ბეკურაშვილის ერთი წლის მუშაობის შემდეგ სარევიზიო კომისიას დიდი ჯაფა დასჭირდა, რომ გარკვეულიყო იმ ქაოსში, რომელსაც წააწყდენ სტამბის ანგარიშწარმოებაში.

ეს ქაოსი კი შექმნილი იყო იმისათვის, რომ ბეკურაშვილს დაეფარა თავისი ბოროტმოქმედების კვალი.

საინტერესო ის არის, რომ როცა სარევიზიო კომისიამ გაფლანგული თანხა აღმოუჩინა ბეკურაშვილს, უკანასკნელმა იმის მაგიერ, რომ დატრიალებულიყო და სადმე გაეჩინა ფული გაფლანგული თანხის დასაფარავად, კიდევ დამატებით გაფლანგა 300 მანეთი და ეს იმ დროს, როცა მის დაწესებულებაში სარევიზიო კომისიის წევრები ისხდნენ და ოფლში იწურებოდნენ გაფლანგული თანხის სისწორის გამოსარკვევად.

საბოლოოდ ბეკურაშვილს გაფლანგული აღმოაჩნდა 2.255 მანეთი.

ბეკურაშვილმა სასამართლოში თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ დანაკლისი მისი „ზედმეტად დატვირთულობის“ (!) ბრალია. ვერ აუვიდა ამდენ საქმეს (!) და სადღაც „გადააყოლა“.

სასამართლო გამოძიებით ბეკურაშვილს დაუმტკიცდა ზემოდაღნიშნულ თანხის სისტემატიურად გაფლანგვა, რისთვისაც **მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით სასტიკი იზოლიაციით.**

მსჯავრდადებულს შეეფარდა ამნისტია, რომლის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

ბეკურაშვილმა უნდა გადაუხადოს ცეკავშირის სტამბას გაფლანგული თანხა—2.255 მანეთი.

ერთმანეთს გადააბრალეს

ამიერ-კავკ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოებას სად. ძირულაში აქვს თავისი ფარდული.

აი ამ ფარდულის გამგე იყო **პავლე ტაბატაძე**, რომელთანაც პასუხისმგებელ ნოქრად მუშაობდა **შალვა დევდარიანი.**

გამგე და ნოქარი „მუშაობდენ“ შეთანხმებულად და სარევიზიო კომისიის მისვლამდე მოასწრეს 834 მანეთის გაფლანგვა.

როცა საქმე იმაზე მიდგა, თუ ვის ეგო პასუხი გაფლანგულ თანხისათვის, თანხმობა დაირღვა და ერთმანეთს გადააბრალეს ბოროტმოქმედება.

ხარაგოულის უბნის სასამართლომ ორივეს გაუნაწილა პასუხისმგებლობა და **მიუსაჯა თვითეულს თავისუფლების აღკვეთა ორ-ორი წლით.**

პავლე ტაბატაძეს და შალვა დევდარიანს ეკისრებათ აგრეთვე გაფლანგული თანხის ანაზღაურება სოლიდარულად.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შემოიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

—:—

ხულიგნები

მოქ. **გიორგი გეორქიანცი და ანა ჩერნიშოვა** მთვრალები შედიან უმუშევართა კოლექტივის სადილოში (რუსთაველის გამზირზე).

რამდენიმე კვარტი ღვინის დამატების შემდეგ გეორქიანცი იწყებს გინებას, რასაც აგრძელებს მისი თანამეინახე ანა ჩერნიშოვა.

მთვრალი მოქალაქეებს მოუწოდებენ წესრიგისაკენ. მაგრამ დაწყნარების მაგიერ ისინი სულ ჭკუას ჰკარგავენ, იწყებენ ღრიალს, აქცევენ სკამებს და მაგიდებს.

რუსთაველის პროსპექტზე მათმა ყვირილმა შეაგროვა ხალხი. ადმინისტრაციის წარმომადგენლებს განსაკუთრებული ზომის მიღება დასჭირდათ, რომ ხულიგნები წარედგინათ კომისარიატში.

სასამართლომ ორივე ხულიგნებს მიუსაჯა ორ-ორი თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუცვალა შრომით ერთი წლის ვადით.

ვერ.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

30 ოქტ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე კოტენკომ (მცხოვ. ლენინის ქ. № 43) ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე მოიწამლა თავი და შემდეგ დანა დაირტყა გულში. კოტენკო გადაგზავნეს საავადმყოფოში.

დაჭრა

30 ოქტომბერს დღით აბანოს ქუჩაზე მდებარე სახაიეში გულ გუსეინ მამედ-ზადემ დანით დასჭრა გეიდარ ალი-ოღლი. დამნაშავე შეიპყრეს.

უცნობი ბოროტმოქმედნი

29 სექტემბერს ღამის ათ საათზე ნესტორ შურღაიას ბინაში (ახალციხის ქ. № 11) შევიდა ორი უცნობი პირი და სახ. პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომლების სახელით უნდოდათ ბინის გაჩხრეკა. შურღაიამ შესძლო ამის შესახებ ცნობის მიცემა მილიციისათვის, რის შემდეგ ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

შეპყრობა

შეიპყრეს სერგო პეტრეს ძე მალვანი ფეხსაცმელების მკერავთა კოლექტივიდან ფეხსაცმელების მოპარვისათვის.—დააპატიმრეს მიხეილ არსენისძე ალავერდოვი, მიხეილ აბრამიძის ბინიდან 300 მ. ნივთების მოპარვისათვის.—ცენტრალურ ბაზარში შეიპყრეს ქურდი მინადორა ანტონის ასული ამიაშვილი და მიხა არუთინიანცი.

ქურდობა

29—30 სექტემბერს გაქურდეს ვასო ბიძინაშვილის ბინა (უნივ. ქ. № 19).—ლუკა ბაქრაძეს მოჭადრაკეთა კლუბში მოპარეს პალტო. ივანე ფირუმოვის ბინიდან (ჟუკოვსკის ქ. № 12 მოიპარეს 150 მან. ნივთები;—გაქურდეს სურენა სარქისოვის ბინა (ლაზარევის ქ. № 3),—გაქურდეს შოთა ცურავას ბინა (ლუარსაბოვის ქ. №3);—გაქურდეს ნინო უშვერიძის ბინა (არაგვისპირელის ქ. № 61); —ალექსანდრე კოზანოვის ბინიდან (ნორიოს ქ. 6) მოიპარეს 400 მ. ნივთები. გაქურდეს ყარამან სუთიძის ბინა (ტატიანას ქ. № 13).

28 სექტემბერს გაქურდეს ზაქარია კაზიევის ბინა (სასამ. ქ. № 4),—ერასტი გაბუნიას ბინიდან (ჟუკოვსკის ქ. № 15) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ოგანეზ ნახიტერიანის ბინა (პლეხ. პრ. № 10).—ტრამვაის ვაგონში ვასილ გამცემლიძეს ამოართვეს 65 მანეთი.

ჯიბგირობა

29—30 სექტ. ევდოკი იაკოვლევს თავისუფლების მოედანზე ამოაცალეს 100 მ.; ტრამვაის ვაგონში ალექსანდრე მურმანოვს ამოართვეს 300 მ.; მიხეილ ჩოლომბარგიას კირკის ქუჩაზე ამოაცალეს ვერცხლის სათუთუნე; კარლ მარქსის მოედანზე ისაკი ბაბლიძეს მოპარეს ფული და პროფკავშირის წიგნაკი.

აფერისტების შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გაბრიელ გერასიმესძე ასკოვსკი და ივანე კარპისძე იაცენკო (ორივე უბინაო), რომლებსაც კოოპერატიულ მაღაზიებიდან ყალბი ჩეკებით სისტემატიურად გამოჰქონდათ საქონელი.

მეცნიერება და ტეხნიკა

„მოლაპარაკე წიგნი“

შეერთებული შტატების „საყოველთაო ელექტრონული კომპანიის“ ინჟინერმა უიტნიმ გამოიგონა „მოლაპარაკე წიგნი“, „წიგნი“ წარმოადგენს განსაკუთრებულ ლენტს, დამზადებულს გამჭვირვალე ნივთიერებიდან, რომელზედაც ხმების სინათლის იმპულსებათ გადამქცევ აპარატით გადაღებულია ხმები. ლენტს დებენ აპარატში, რომელიც სინათლის სურათს ხმებათ აქცევს. ჩაწერა ლენტებზე ხდება სპეციალურ სტუდიებში, ახლო ხანში უიტნის აპარატი გასასყიდათ გამოვა. გამომგონებელი ფიქრობს, რომ მისი აპარატი 12 მანეთზე მეტი არ ეღირება.

ბრძოლა სოციალურ სნეულებებთან

ნიუ-იორკის მედიკო-სანიტარული სამმართველო ქალაქის მიდამოებში აწყობს მაიმუნების ფერმას იმის შესასწავლად, თუ როგორ გავლენას ახდენს შთამომავლობაზე კაცობრიობის ორი უდიდესი მტერი—ალკოჰოლი და ვენერიული ავადმყოფობანი. ფერმაში მოთავსებული იქნებიან ადამიანის მსგავსი მაიმუნები. ზოგიერთ მაიმუნებს ძალით შეაჩვევენ მაგარ სასმელების სმას, მეორე ნაწილს კი ხელოვნურად დაავადებენ სიფილისს. ფირმის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ ორი სამი წლის განმავლობაში მდიდარ მასალას შეკრებენ შთამომავლობაზე ალკოჰოლისა და სიფილისის ზეგავლენის შესასწავლად.

დაძირული წყალქვეშა ნავის ამოღება

შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო წყალქვეშა ნავის „C 4“-ის ტრაგიკულად დაღუპვის (მთელი შემადგენლობით) შემდეგ დიდ ყურადღებას აქცევს დაძირულ წყალქვეშა ნავების ამოღების ტეხნიკის გაუმჯობესებას და მრავალ ცდებს აწარმოებს ამ მიმართულებით. ამ რამდენიმე ხნის წინად ამ მიზნით დასძირეს წყალქვეშა ნავი „C 27“. მუშაობას მის გადასარჩენად აწარმოებდა იმავე ტიპის წყალქვეშა ნავი „C 28“. დაძირულ ნავთან ჩაეშვა „C 28“ წყალმყვინთავი, რომელმაც ნავის კორპუსზე მიამაგრა რეზინის მილი, რომლითაც „C 27“ შეუშვეს ჰაერი. ნახევარი საათის შემდეგ ჩაძირული წყალქვეშა ნავი წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა.

რა ჯდება დირიჟაბლის ექსპლოატაცია

თუ რა დიდი თანხა უჯდება შეერთებულ შტატებს თავისი საჰაერო ფლოტის შენახვა, ამას ამტკიცებს დირიჟაბლი „ლოს-ანჟელოსის“ მაგალითი, ეს არის მსოფლიოში უდიდესი დირიჟაბლი, რომლის მოცულობა 120.000 კუბიკურ მეტრს უდრის. მისი შენახვა წლის განმავლობაში დაჯდა 1.120.000 მანეთი. ხარჯების დიდი ნაწილი მოდის დირიჟაბლის გავსებაზე იშვიათ გაზით—ჰელიუმით.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 2 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგ უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** ოლღა სარხოშევა, ივანე მაზმანიშვილი, ვასილ ბიჩკოვი, გიორგი გელაშვილი, ვლადიმერ სტეფანიშვილი, იაკობ კამიშევი, ალექსანდრე ამბარლანოვი, არმენაკ პიგაზოვი, ნადეჟდა ნიკიტინა, სტანისლავ ალიოხინი, თამარ ზუმბაძე, ეფიმ ტრეტიაკოვი, ივანე ხაჩატუროვი, ნიკოლოზ ბრეგვაძე, დავით ქამხაძე, თადეოზ ციხისელი, ავაქ მირზახანოვი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** მარიამ ელაზაშვილი, სიმონ კალანდარიშვილი, ევგენი გუბელაძე, ნიკარა ძე-კალანდარიშვილი, გიორგი კიკნაძე, თარხნიშვილი, ალექსი ახვლედიანი, კონსტანტინე ოდიშარია, მიხეილ როსტიაშვილი, ალექსი ბათმანიშვილი; დავით თულაშვილი; სარაჯიშვილი, აკაკი კოხრეიძე, **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** მარიამ პრიშიპენკო, ევდოკია პარაკოპენკოვა, წალიკ ბაღდასაროვი. ანნა სიმონოვა, ეკატერინე ზალტარიოვა, მარგარიტა ტატუზოვა, ტატიანა კოვალიოვა ზარუ ბელანიანი, გიორგი იორამაშვილი, ანასტასია რუსტატოვა, ვერა ანთაძე, **მედსექციიდან:** ვერა კოდუა, ეკატერინე ნანობაშვილი, ტოკარევა, ნინო ჰარამონოვა, რუბენ არაქელოვი.

რადიო-გადაცემა

დღეს, 2 ოქტომბერს, თბილისის ოთხკილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება შემდეგი: მორზეს ანბანის ახსნა-განმარტება (ქართულ ენაზე), გლეხური რადიო-გაზეთი (ქართულ ენაზე). მუშათა და გლეხთა ინსპექციის რადიო-ჟურნალი (რუსულ ენაზე), მუსიკალური ანტრაქტი, ტეხნიკური კონსულტაცია, რადიო გაზეთი (სომხურ ენაზე), გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენაზე). ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (ქართულ და რუსულ ენებზე), კონცერტი სტუდიიდან.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 58

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 34 მუხლის ქართული ტექსტის რედაქციის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხ. შესაბამისად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 34 მუხლის ქართული რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მუხ. 34 ბათილია გარიგება, დადებული მხარეთა შეთანხმებით მხოლოდ საჩვენებლად და უიმგანზრახვოდ, რომ მას იურიდიული შედეგი მოჰყვეს“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

პარტიული კალენდარი

ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ახალ მუშათა კლუბში [illegible] კომპ. თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიონის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია. დღის წესრიგში დასმულია: უჯრედთა ბიუროების გადარჩევის და სარაიონო პარტკონფერენციის მოწვევის საკითხი. კონფერენციაზე მოწვეულია რაიკომის ყველა წევრები და კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, უჯრედების მდივნები და ბიუროების წევრები, უჯრედების სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები და რაიკომის შტატგარეშე მყოფი ინსტრუქტორები. ზემოდ ჩამოთვლილ ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 2 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მე-84 შრომის სკოლის შენობაში (ავლაბრის ქ. № 34) შესდგება **26 კომუნართა სახელობის** რაიკომის მასწავლებელთა უჯრედის ღია სხდომა. ახ. ლენ. კომკავშირის უჯრედისა და უპარტიო ამხანაგებთან ერთად

დღეს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია თბ. სახ. უნივერსიტეტის პოლიტ. ფაკ. პარტკოლექტივის სხდომა. კრება შესდგება უნივერსიტეტის სტატ. სამკითხველოს შენობაში. წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—:—

სამშაბათს, 2 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე შესდგება თათბირი, რომელზედაც მიწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი; თოხაძე; მიქაძე, დუდუჩავა; მხითაროვი, მეგრელიძე; ხუჯიაშვილი; ბედია, დიასამიძე; პოლოსოვი; დადიანი; ხოფერია; ხუციევი; ბაირამოვი და პოლუმორდვინოვი.

სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტთან არსებული ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ დაიწყო კომკავშირელების ხელახალი აღრიცხვა. ამიტომ კომკავშირის ყველა წევრ-კანდიდატებს ევალება გატარდენ აღრიცხვაში უჯრედის ტეხნიკურ მდივანთან ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით დღის 12-დან 2 საათამდე.

—:—

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება სთხოვს ამხ. სუსანა შავერდოვას, მათიკაშვილს და ზ. ვარძიელს სამშაბათს დილის ათ საათზე გამოცხადდნენ ცეკას ქალთა განყოფილებაში.

ღრმად დამწუხრებული დედა ვარდო; ძმები: კოლია, კიტა და დათიკო; დები: მარო და ფენიჩკა; რძლები: მარუსა და იულია გოგეშვილები და სიძე მირიან კუკულაძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბაქოში გარდაიცვალა მათი ძვირფასი ჯერ სიცოცხლით სავსე

აკაკი თედორეს-ძე გოგეშვილი

გასვენება სადგ. ნიგოითიდან სოფ. ჰყონაგვარაში მოხდება სამშაბათს, 2 ოქტომბერს. დაკრძალვა (სოფ. ჰყონაგვარაში), ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს.

დამწუხრებულნი მეუღლე ანასტასია, შვილებს: ნიკოლოზ, ბაბუცა, ვარიჩკა; შვილიშვილები: ოთარი და შოთა ფირცხალაშვილები; და ეკა პატარაიასი; ცოლისდები ეკატერინე ხაზარაძისა, ლიზა მჭედლიშვილისა და ლიუბა ქლენტისა ოჯახითურთ აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

თომა დიმიტრის-ძე ფირცხალაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დერბენდის შესახვევიდან № 3, დაკრძალვა—სამშაბათს 2 ოქტომბერს. ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 4367

ღრმად დამწუხრებულნი: დედა—სოფიო, მამა—ივანე. შვილებით: თამარი, ანიკო, ელენე, ნადია, გიორგი ფანიაშვილები, სიძეები: კონსტანტინე ხაჩიძე, აბრამ მაისურაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 სექტემბერს გარდაიცვალა საყვარელი შვილი

ვარია (ნათელა) ფანიაშვილისა

დაკრძალვა 2 ოქტომბერს, ახალ დაბაში. 4372

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი	გრანდიოზულად დადგმული ფილმი სპარტაკი
არფასტო	მხატვრული საუკეთესო სურათი „მეჟრაბპომ-რუს“-სა ადამიანი იშვა დადგმა რეჟ. ჟელიაბუჟსკის მთავარ როლებში: მოსკვინი, მასალიტინოვა, ტიხომიროვა
სოლეი	
პალასი	
მინიონი	კარმენ ბონი საუკეთესო სურათში ნამდვილი მამაკაცი
აპოლო	მედი ხრისტიანსი მხატვრულ სურათში ლურჯი სისხლი
დარბაზი	მსოფლიო საუკეთესო სურათი მარჩელა ალბანის მონაწ. სიცოცხლე სიცოცხლისათვის
პროლეტარი ავლაბარი	ცნობილი ტრიუკისტი-სპორტსმენი რიჩარდ ტელმეჯი სურათში მე დეტექტივი ვარ

ანონსი: მალე კაზაკები ლ. ნ. ტოლსტოის მოთხ. მიხედ. 0—23

დაიბეჭდა და გამოვიდა
ჟურნალი
მნათობი
№ 8—9
აგვისტო—სექტემბერი

შინაარსი: მხატვრული ლიტერატურა: ნ. ლორთქიფანიძე—ბილიკებიდან ლიანდაგზე (მოთხრობა); **გ. ტაბიძე**—ეპოქა (პოემა); **გიორგი წერეთელი**—გულქან (რომანი); **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—(ლექსი); **ილო მოსაშვილი**—თანამედროვე პოეტებისადმი მიწერილი (ლექსი); **ვარლამ რუხაძე**—ტყის ძმები (პოემა); **ზანოვანი**—სამართალს სისხლით მოვსძებნი (რომანი); **მ. გორკი**—არტამონოვების საქმე.

კრიტიკა—მეცნიერება—პუბლიცისტიკა: ვ. ბახტაძე—ტოლსტოი—მხატვარი და მოაზროვნე; **გ. მუშ-შვილი**—პროლეტარული მწერლობის დასაცავად; **რაჟდენ კალაძე**—ქართული პროლეტარული მწერლობა; **გრიგოლ რობაქიძე**—ტოლსტოის დღეები; **ილია ჭყონია**—ჩემი დღე და სოფელი; **კ. ორაგველიძე**—ამიერ-კავკასიის ეკონომიური განვითარება; **მოსე გოგიბერიძე**—კარლ კაუცკის ახალი ფილოსოფია.

ბიბლიოგრაფია: დემნა შენგელაია—ლევ ტოლსტოი „ყაზახები“; ვ. ბ-ძე—ს. რემონიძე „ადამიანი“; ხ. ა-ძე—ლ. ტოლსტოი „აღდგომა“; ი. მო-ლი—ვაჟა ფშაველა ლექსები ტ. 1; მ-ძე ლადო მაჭავარიანი „მტკვარი ჯავშნოსანი“; პლატონ ქიქოძე—„მემარცხენეობა № 2“; ს. დანელია—წერილი რედაქციის მიმართ.

ჟურნალი შეიცავს 290 გვერდს, გამოცემულია სუფთად.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან. ნ. 1653

„კომუნისტი“-ს
მთავარ კანტორისათვის
საჭიროა გაზეთის
გამავრცელებელი აგენტები
მსურველებმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას, რუსთაველის პროსპ. № 34, დილის 9 ს.—4 საათამდე 4—2

საქართველოს სახკინმრეწვი
ლ. ნ. ტოლსტოის
დაბადებიდან 100 წლის თავის
აღსანიშნავად
საიუბილეო სურათი
კაზაკები
ნ. 1652

თბილისის შრომის ბირჟის
კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოსთან მოეწყო
შრომის კოლექტივი
„უტილიზატორი“
რომელიც ასრულებს ტეხნ.-საამშენებლო, ელექტრომომართ., წყალსადენის სამუშაოებს. ტელ. 5—34.
ნ. 1649

თანახმად სრულიად საქარ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახკომისართა საბჭოს 1926 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. 1) ნიკოლოზ გაბრიელისძე ბაღდასაროვი, 2) სოფიო გიორგის ასული ბაღდასაროვი, 3) ანნა ნიკოლოზის ასული ბაღდასაროვი, 4) დავითი ნიკოლოზის ასული ბაღდასაროვი თავისი გვარი გამოიცვალეს ახალ გვარზე ნიკოლაშვილის გვარზე. 4369

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. 13 მარტის № 12, ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ანასტასია იაკობის ასული ვასილჩენკომ თავისი გვარი გამოიცვალა ასეთ გვარზე „ლოზოვაია.

მმაჩის ბიუროს გამგე
ა. შარაშენიძე
საქმის მწარმოებელი
გ. ალხაზაშვილი
4361

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ 12 ოქტომბერს 1928 წ. დღის 10 საათზე ქალ. ჭიათურის სამრეწველო რაიონში (პატარა ჭიქოურში) დანიშნულია მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა მრეწველ ჩაჩანიძე-რუხაძის ერთ შავი ქვის სარეცხ ქარხნისა თავის მოწყობილობით, ორ დიდ სასწორისა, რელსების, რკინის ვაგონეტკებისა, მილებისა და სხვა მოძრავ ქონებისა, დაფასებული სულ 26120 მან. დასაკმაყოფილებლად საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სამთო-ტრესტის მუშა-მოსამსახურეების, სავაჭრო დაწესებულების და კერძო პირის თავისი ვალისა სულ 67666 მან. თანახმად ქალ. თბილისის № 4 სახელმწიფო სანოტარო კანტორის და სხვ. სასამართლოების აღმასრულებელი ფურცლისა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქარხნის საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს 10 პროც. შ ფასების 2300 მან. 4371

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ 5 ოქტომბერს 1928 წ., დილის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანა მიქელაძის 2 სართულიანი ქვიტკირის სახლს № 41, მდებარე ქ. ქუთაისში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს 10 თვალ საცხოვრებელ ოთახს სამზარეულოთი, შუშაბანდით, სარდაფით, დახურული კრამიტით, აგებული ხაკვ. მიწაზე, ზომით 400 კვ. საჟ., სახლი შეფასებულია 4.000 მან. და იყიდება სახალხო მამულის ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს უნდა წარმოადგინოს ცნობები ს. ს. კოდ. 311 და 312 მუხ. თანახმად, საწინდარი 10 პროც. ნ. 1650

ოზურგეთის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი მ. მაქსიმენიშვილი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 5 ოქტომბერს დღის 12 საათზე გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** დვაბზუს თემში ს. ბაღდადში პორფირე ასალოს-ძე კვაჭანტირაძის კუთვნილი წაბლის ხის მასალის ოდა-სახლი ერთი თვალი, დახურული კრამიტით, სასიმინდე ნალია წამალის ხის მასალის 4 ხის ბოძებით, დახურული ყავრით, ცაცხვის ხის საწნეხელი 70 ფუთის გამოსავალი და 16 ვედრო არაყი 60 გრადუსიანი თავისი კასრით აჭარმრეწველობის არაყის ქარხნის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალაქ ბათომის 1-ლი სახელმწიფო სანოტარო კანტორისაგან 18 ივნისის 1928 წლის თარიღით №№ 1381—1382 გაცემული პროტესტქმნილი თამასუქისა. გასასყიდი ქონება შეფასებულია 530 მანეთი, რომელი თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა და ვისაც სურს მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ამა თანხის 10 პროც.

თუ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნულ რიცხვს არ შესდგა ვაჭრობა, იმ შემთხვევაში მეორე ვაჭრობის დღეთ დანიშნულია 13 ოქტომბერი 1928 წ. ნ. 1651

ექიმი ივ. გველესიანი
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელმ. 6—22 4364 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმმა
ს. ი. ვოლოხმა
განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვების ექიმობა.
ჭავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) კამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიას ქუჩა), 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი —11—78. 25—1.

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი
თოდაძე
დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია.
თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმმა
ი. ვ. ხანდამოვმა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დავადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან. (25—1)

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ ელისაბედის) № 3. 25—19

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს, 5—6 ქალებს.
25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქ. კუთხე.

დაიკარგა: მელითონეთა პროფკავშირის წიგნაკი № 651491 ირაკლი ქურდიანის სახელზე, ჩ. გ. 4373

დაიკარგა საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირის წიგნაკი გენო ხოსიმეს ძე ნემსიწვერიძეს სახელზე, ჩ. გ. 4374

დაიკარგა: უვადო პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი არტო თათოს-ძე დიაროვის სახელზე, ჩ. გ. 4362

დაიკარგა: სახალხო კვების კავშირის საწევრო წიგნაკი № 977 ვასო სიმონისძე სხირელის სახელზე, ჩ. გ 4366

დაიკარგა: განკავშირის წიგნაკი № 26022 ივანე გიორგისძე კუპუხიძის სახელზე, ჩ. გ 4365

დაიკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი მარიამ დავითის ასული გიუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4363

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 90182 ჩ. გ. 4368

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 0856951 და კავშირის წიგნაკი № 13250 ივანე ტოგონიძეს სახელზე, ჩ. გ. 4370

დაიკარგა: ა. ლ. კ. კ. წიგნაკი № 7179ა ვლადიმერ ფოფხაძეს სახელზე ჩ. გ. 4369

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.